

შალვა ჩიკვაშვილი

მემკვიდრეობის სამართალი

საპარტეზლოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული
სპეციალების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „პერიდიანი“
თბილისი
2000

67.99(2)0(2Γ)

347(499.22)

№ 592

წინამდებარე ნაშრომი „მემკვიდრეობის სამართალი“ წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევასა და ანალიზს მემკვიდრეობის სამართლის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე.

მასში გამოკვლეულია მემკვიდრეობის სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის: მემკვიდრეობის ცნება, ამ ურთიერთობის სუბიექტები და ობიექტები, მათი უფლება-მოვალეობანი, სამკვიდროს გახსნის ადგილი და დრო, მემკვიდრეობის სახეები (კანონისმიერი და ანდერძისმიერი), სავალდებულო წილი, საანდერძო დანაკისრი, სამკვიდრო ქონების აღწერისა და მისი დაცვის წესები, პირობები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და რეკომენდირებულია სახელმძღვანელოდ. ვიმედოვნებთ, იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მუშაებს. მას განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობიან ადვოკატები, ნოტარიუსები, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები და მემკვიდრეობის სამართლით დაინტერესებული მკითხველები.

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ლელა ნადიბაიძე

რეცენზენტი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ზურაბ ძლიერიშვილი

© გამომცემლობა „პერიდიანი“. 2000

© შ. ჩიკვაშვილი, 2000

ISBN 99928-22-16-3

შესავალი

სოციალისტური სამეურნეო ურთიერთობებიდან თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს არსი და შესაბამისად მათი მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის სამართლის ნორმებიც.

საქართველოს კონსტიტუციის მიერ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების საყოველთაოდ აღიარებამ ახლებურად დაგვანახა მათი წარმოშობისა და მათთან დაკავშირებული ურთიერთობების შინაარსიც. სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტების მიღებამ პრაქტიკულად ხელი შეუწყო სამკვიდრო ქონების ტრანსფორმაციას. კერძოდ, შეიცვალა სამკვიდრო ქონების შემადგენლობა იმგვარად, რაც წარმოუდგენელი იყო სოციალისტური სამართლის პირობებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის, ანუ პრივატიზაციის პროცესი, რამაც ხელი შეუწყო ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრებაში ისეთი ობიექტების გადასვლას, რომლებიც უახლოეს წარსულში მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო (მაგალითად, ფაბრიკები, ქარხნები და ა.შ.). უფრო მეტიც, ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით შესაძლებელი გახდა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების საკუთრებაში გადასვლა, როგორიც არის: საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და ა.შ.

პირთა საკუთრებაში არსებული ობიექტების მრავალფეროვნებამ მისი მართვის სპეციფიკურმა ხასიათმა, ლოგიკურად დღის წეს-

რიგში დააყენა მათი რეგულირების საკითხი მესაკუთრის გარდაცვალების შემდგომი პერიოდისათვის, რომლის მოწესრიგებაც მემკვიდრეობის სამართლის პრეროგატივას განეკუთვნება.

მესაკუთრის პრიორიტეტული სტატუსიდან გამომდინარე, გაფართოვდა იმ პირთა წრეც, ვინც შესაძლებელია გახდეს მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ქონების მესაკუთრე. თუ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი ასეთ პირთა ჩამოთვლისას კანონისმიერ მემკვიდრეთა მხოლოდ ორი რიგით შემოიფარგლებოდა, დღეს მოქმედმა ახალმა სამოქალაქო კოდექსმა იგი ხუთ რიგამდე გაზარდა და შესაძლებლობა მისცა მის ახლო ნათესაებსა და სხვა პირებს, რომ მამკვიდრებლის ქონებას კანონიერი საფუძვლით დაეუფლონ. ამასთან, ანდერძის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის სამართალმა დაუშვა მისი შედგენისას საიდუმლოების დაცვის არაერთი მექანიზმის შემოღების შესაძლებლობა, რაც ვლინდება, მაგალითად, შინაურული და დახურული ანდერძის შედგენაში, აგრეთვე მისი ნოტარიუსისათვის გადაცემაში მხოლოდ შესანახად და ა.შ.

ახალი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მემკვიდრეობის სამართლის ნორმათა პრაქტიკაში გამოყენებამ, დღის წესრიგში დააყენა მათთან დაკავშირებული სხვადასხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების საკითხი. მაგალითად, ადრე არსებული სასამართლო პრაქტიკისა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის გაანალიზების გათვალისწინებით, შედგენილ იქნა ახალი სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდექსი, დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“, და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშ-

რომი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მემკვიდრეობის სამართლის ახალი ნორმების სწორ გაგებასა და მათ სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში დანერგვას, და რაც მთავარია, გამოეთქვას ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ ნორმათა სრულყოფისათვის.

წიგნის სტრუქტურა შეესაბამება ახალი სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის სტრუქტურას.

დაბოლოს, თხოვნით მივმართავთ მკითხველს, მოგვაწოდოს თავისი შეხედულება და მოსაზრება, რაც შემდგომში გაგვიადვილებს მემკვიდრეობის სამართლის პრობლემებთან დაკავშირებულ მეცნიერულ კვლევასა და პრაქტიკულ საქმიანობას.

თავი პირველი

მემკვიდრეობის (ვნაბა და მისი განვითარების ისტორია

მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს. რომლის მიზანია კანონით დადგენილი წესით მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირება.

სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოშობილი ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ უკვალოდ არ ქრება. ქონებრივი და ზოგიერთი პირადი ხასიათის უფლებები, რომლებიც ეკუთვნოდა გარდაცვლილს, გადადის სხვა პირებზე. უფლება-მოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე ეწოდება მემკვიდრეობა, ხოლო სამოქალაქო სამართლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ამ უფლება – მოვალეობათა მემკვიდრეობით გადასვლის წესსა და პირობებს – მემკვიდრეობის სამართალი.

მემკვიდრეობის სამართალი ხელს უწყობს ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობათა მოწესრიგებასა და განმტკიცებას. ამასთან, მემკვიდრეობის სამართალი უშეუბამო ანდერძის თავისუფლების პრინციპს, რაც გულისხმობს პირის თავისუფალი ნების განხორციელებას – თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ქონებრივი ან სხვა ხასიათის უფლებები, გარდაცვალების შემთხვევაში.

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია და შორს ღვას მისი სოციალური ბუნებისაგან. ბუნებითი სამართლის თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰუგო გროციუსი ამტკიცებდა, რომ „მემკვიდრეობის სამართალი მთლიანად შეესაბამება ბუნების მოთხოვნებს

და მის მსგავსად, საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანის ნებისაგან დაშოუკიდებლად, მარადიულად არსებობს. ბუნებრივია, რომ ადამიანი თავის ქონებას უანდერძებს შვილებს, რომელთა მიმართ მზრუნველობა მას ბუნებისგან აქვს შთაგონებული, ხოლო თუ შვილები არ ჰყავს, სამკვიდრო ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვლილის სხვა უახლოეს ნათესაებს. თუ ვინმე მოისურვებს თავის ქონებაზე გასცეს განკარგულება სიკვდილის შემთხვევისათვის, იგი, ჩვეულებრივ, ხელმძღვანელობს განაწილების სამართლიანობით¹.

სამართლის ფილოსოფიის წარმომადგენლის ჰეგელის თვალსაზრისით კი, „მემკვიდრეობა კანონით ემყარება ბუნებრივ კავშირს ოჯახის წევრებს შორის და გამომდინარეობს იმ წანამძღვრებიდან, რომლითაც ოჯახი წარმოადგენს მარადიულად არსებულ საკუთრების განმგრძობ განსაკუთრებულ პირს, სადაც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ეკუთვნის ამ ქონების შეუზღუდავი განკარგვის უფლება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, საკუთრების უფლება ქონებაზე გრძელდება ოჯახის წევრთა მიერ“².

განსხვავებულ თვალსაზრისზე იდგა სოციალისტური იდეოლოგიის ზოგიერთი მოაზროვნე, რომელიც მემკვიდრეობის უფლებას განიხილავდა, როგორც სოციალურ მოვლენას და მიიჩნევდა მას მემკვიდრის არაშრომით შემოსავლად, რის გამოც საჭიროდ თვლიდა ამ უფლების გაუქმებას.

უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგები სენ-სიმონი და მისი მიმდევრები მემკვიდრეობის სამართალს იხილავდნენ არა როგორც იურიდიულ შედეგს, არამედ საზოგადოების წევრთა ქონებრივი

¹ Гуго Гроций. О праве войны и мира, 1948 г., стр. 43.

² Гегель. Соч., т. VII, 1934 г., стр. 208.

უთანასწორობის მიზეზს. აქედან გამომდინარე, ისინი დღის წესრიგში აყენებდნენ მემკვიდრეობის ინსტიტუტის გაუქმებისა და მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონების (სამკვიდროს) სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის საკითხს და მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ბანკების მეშვეობით სამკვიდრო ქონების განაწილებას საზოგადოების ყველაზე უფრო ღირსეულ და დამსახურებულ წევრებს შორის¹.

მარქსისტული მოძღვრების იდეოლოგები უარყოფდნენ მემკვიდრეობის სამართლის გაუქმებას, რადგან არ თვლიდნენ მას სოციალისტური რევოლუციის ამოსავალ წერტილად, რის გამოც მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელია ჯერ კერძო საკუთრების, ხოლო შემდგომ კი მემკვიდრეობის სამართლის მოსპობა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მემკვიდრეობა წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ შედეგს იმ ეკონომიკური ორგანიზაციისა, რომელიც ემყარება კერძო საკუთრების არსებობას.

მართალია, საკითხისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ბოლომდე ვერ პოვა რეალიზაცია, მაგრამ იმ პერიოდში მოქმედმა კანონმდებლობამ მემკვიდრეობის უფლება მაინც მოაქცია იმ ჩარჩოებში, რომელიც მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეულწილად ფართოვდებოდა.

მემკვიდრეობის ფორმები სახეცვლილებას განიცდის საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლასთან ერთად.

გვარონულ წყობილებაში გვარის საკუთრებას წარმოადგენდა წარმოების ძირითადი საშუალებები, ერთობლივი გამოყენებისა და

¹ Изложение учения Сеп-Симона, изд. АН СССР, 1974 г., кн. 278.

შრომის პროდუქტი. პირად საკუთრებას კი შეადგენდა ინდივიდუალური გამოყენების საგნები და მის მიერ დამზადებული სანადირო იარაღი.

მატრიარქატის პერიოდში იკრძალებოდა გვარის გარეთ (ე.ი. მამაკაცის მხარეს) ქონების გატანა. როგორც წესი, ცოლ-ქმარი ერთი გვარის წევრები არ იყვნენ და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის მემკვიდრეობას არ ფლობდნენ. ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონება ნაწილდებოდა სისხლით ნათესავებზე — შვილებზე, დებზე (არა ძმებზე), ხოლო ინდივიდუალურ ძვირფას ნივთებს ატანდნენ საფლავში.

მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეები იყვნენ ღვიძლი დები, მათი შვილები, ბიძები, დედის მხრიდან და მისი ღვიძლი ძმები. გვარის ფარგლებში ქონების შენარჩუნების მიზნით, მამა და შვილები ერთმანეთის მემკვიდრეები არ იყვნენ.

საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე იკვეთება მამაკაცის როლი ოჯახში. ამ დროს ვითარდება მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, ქონება გროვდება მამაკაცის ხელში და ყალიბდება პატრიარქალური წესწყობილება. შესაბამისად იცვლება მემკვიდრეობის შინაარსიც, რის შედეგადაც შვილები შედიან არა დედის, არამედ მამის გვარში და მისი მემკვიდრეები ხდებიან. აქ უკვე სამკვიდრო ქონების მიღებაში ვაჟიშვილებს ენიჭებათ უპირატესი უფლება. ამ პერიოდშიც უპირველესი მიზანი იყო ქონება დარჩენოდა გვარს. ამიტომ გათხოვილი ქალი მემკვიდრედ არ ჩაითვლებოდა. მამის გარდაცვალების შემთხვევაში ძმები ვალდებული იყვნენ ერჩინათ დები და გათხოვების შემთხვევაში მიეცათ მზითევი. თუ ოჯახში ვაჟი არ იყო, მემკვიდრედ მოიწვევდნენ გაუთხოვარ ქალიშვილს, რომელსაც გათხოვების უფლება არ ჰქონდა.

თუ მამკვიდრებელს შვილები არ ჰყავდა, მაშინ მისი გარდაცვალების შემდეგ ქონებას იღებდნენ აგნატები (მამკვიდრებლის ოჯახში მყოფი პირები).

განხილული წინა პერიოდი არ იცნობდა ანდერძით მემკვიდრეობას. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამ მემკვიდრეობის განვითარების ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი. იმდროინდელი კანონმდებლობა უკვე იცნობს კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას, მათ შორის ანდერძის ზეპირ ფორმას.

მამკვიდრებელს შეეძლო მთელი ქონება ეანდერძა უცხო პირისათვის. თუ ანდერძი არ არსებობდა, გარდაცვლილის ქონებას იღებდნენ შვილები, მათი არარსებობის შემთხვევაში – ძმები და დები.

ხამურაპის მეფობის პერიოდში (1792-1750 წ.წ. ჩვ.წ.ალ-მდე) შეიქმნა ბაბილონის კანონთა კრებული, სადაც ანდერძზე მითითება არ არის, მაგრამ 165-ე მუხლის თანახმად მამას შეეძლო ჩუქების მეშვეობით გაეზარდა ერთი ვაჟის წილი სხვების ხარჯზე, ხოლო 168-169-ე მუხლებით მამას შეეძლო უარი ეთქვა რომელიმე ვაჟისათვის ქონების მიღებაში და ჩამოერთმია მისთვის მემკვიდრეობა.

სამართლის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის სამართლის წარმოშობას. რომის სამართლის XII ტაბულის კანონით, მამკვიდრებელს თავისი სურვილით, ანდერძით შეეძლო გადაეწყოთა ქონებისა და ყმების საკითხი. ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ქონება გადადიოდა უახლოესი აგნატის საკუთრებაში. თუ არც აგნატი ჰყავდა, ქონებას იღებდნენ მისი მოგვარეები, ვალები კი ნაწილდებოდა მათ შორის თითოეულის წილის შესაბამისად.

რომის სამართალი ცნობდა წერილობით ისეთ ანდერძს, რომელიც დამოწმებული იყო შვიდი მოწმობის მიერ (შინაარსის გაცნობის გარეშე) და ასევე ზეპირ ანდერძს, რომელიც წარმოთქმული

იქნებოდა სასამართლოში და დაფიქსირდებოდა ოქმში. ანდერძის შინაარსს ასევე უნდა ეპასუხა გარკვეული მოთხოვნილებისათვის. კერძოდ, მასში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მემკვიდრე. თუ მოანდერძე ართმევდა დამავალი ხაზის მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების მიღების უფლებას, მას უნდა ჩამოეთვალა ყველა ასეთი მემკვიდრე. წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ბათილად იქნებოდა ცნობილი. შემდეგ ცენტუმვირალური მოსამართლე (მოსამართლეები, რომლებიც იხილავდნენ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებს) ბათილად ცნობდნენ ასევე იმ ანდერძსაც, რომელშიც მოანდერძე გარკვეული საფუძვლის მიუთითებლად ართმევდა მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების მიღების უფლებას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე თვლიდა, რომ ანდერძი შედგენილი იყო სულთ ავადმყოფის მიერ.

თუ მამკვიდრებელი არ ტოვებდა ანდერძს, მაშინ სამკვიდრო ქონებას იღებდნენ კანონით მემკვიდრეები. კანონით მემკვიდრეობა დაიშვებოდა ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი ბათილად იყო ცნობილი, ან თუ ანდერძით მემკვიდრე უარს იტყოდა ქონებაზე ან მოანდერძეზე ადრე გარდაიცვლებოდა¹. კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას იცნობდა ასევე ფეოდალური ეპოქის სამართალიც. მოანდერძის უფლებები ძალზედ შემცირებული იყო. კერძოდ, მამკვიდრებელს, რომელსაც ჰყავდა ვაჟი, არ შეეძლო სამკვიდრო ქონების ანდერძით გადაცემა. ასეთ შემთხვევაში მამკვიდრებლის ქონება, მისი ნების მიუხედავად, ნაწილდებოდა ვაჟებს შორის, ხოლო თუ მამკვიდრებელს არ ჰყავდა ვაჟი, მას შეეძლო მთელი ქონება ნებისმიერი პირისათვის ეანდერძა. ეს წესი არ გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც მამკვიდრებელს ჰყავდა ქალ-

¹ Новицкий „Основы Римского гражданского права“. 1972. გვ. 35-40.

იშვილები, რომლებიც იღებდნენ ქონების მეოთხედს სავალდებულო წილის სახით.

განსაკუთრებით დიდი იყო რელიგიის როლი მემკვირეობითი ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში. კერძოდ, ესპანეთში კათოლიკური სარწმუნოების არამქონე პირებს არ ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება; ყურანზე დაყრდნობით მუსულმანების მემკვიდრეობითი სამართალი ადგენდა, რომ:

1. სამკვიდრო ქონება ვერ გადავიდოდა მემკვიდრეზე დედის ხაზით;
2. მამაკაცის სამკვიდრო ქონების წილი ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო ქალის წილთან შედარებით (ყურანი, სურა V, ლექსი მე-12);
3. სამკვიდრო ქონების მხოლოდ 1/3 შეიძლება ყოფილიყო ნაანდერძევი;
4. ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება ყოფილიყვნენ ნებისმიერი პირები, კანონით მემკვიდრეების გარდა.

რუსეთის სამართალი ცნობდა როგორც კანონისმიერ, ასევე ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონით მემკვიდრეობას მიმართავდა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის არარსებობის შემთხვევაში.

1714 წელს პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მსხვილი უძრავი ქონება გადადიოდა ვაჟის საკუთრებაში. იმპერატორმა ანა ივანეს ასულმა რომანოვამ 1731 წელს გამოსცა ახალი ბრძანებულება, რომლის თანახმადაც კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეებად მოიწვეოდა მამკვიდრებლის ყველა ვაჟი, ხოლო სამკვიდრო ქონება მოიცავდა, როგორც მოძრავ, ასევე უძრავ ქონებას. ამავე ბრძანებულებით გაფართოვდა მოანდერძის უფლებამოსილება¹.

¹ А.М. Немков. Очерки истории наследственного права, 1997, стр. 56-58.

საქართველოშიც მემკვიდრეობითმა სამართალმა განვითარების გარკვეული გზა განვლო, კერძოდ, – დაბალიდან მაღალ საფეხურამდე.

გამოკვეთილად ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა, რომლებიც მიუთითებენ ფეოდალურ საქართველოში ანდერძის არსებობის შესახებ. კერძოდ, 1123 წლის „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო მღვიმისადმი“ და 1125 წლის „ანდერძი დავით აღმაშენებლისა“.

ადრინდელ წყაროებში ყველაზე ნათლადაა განხილული ანდერძის განმარტება ბექა-ალბულას სამართალში, რითაც რეგულირდებოდა მემკვიდრეობითი ურთიერთობები.

მეფე ვახტანგ VI სამართალში (233-ე მუხლი) კვითხულობთ: „თუ კაცმან მოკუედავმა თავისი ალალი საქონელი თავის სულს დააკლო და ვისაც უანდერძა, მიეცემის მამული და ნასყიდი აქუს. ისიც მიეცემის სხვა მამული მის პატრონზედ ჰკილია“¹. მეფე ვახტანგის სამართლის წიგნში ძირითადად განხილულია კანონით მემკვიდრეობა, მაგრამ ზემო ციტატიდან ჩანს, რომ იგი არც ანდერძით მემკვიდრეობას უარყოფდა.

ქართული სამართალი მემკვიდრეობის საკითხებში ეფუძნებოდა ბერძნულ სამართალს, კერძოდ მის „ოჯახურ წესს“, როდესაც სამკვიდრო ქონება, პირველ რიგში, გადაეცემოდა დამავალი ხაზის, შემდეგ ალმავალი და გვერდითი ხაზის მემკვიდრეებს.

მეფე დავით აღმაშენებლის დროსაც ძირითადად მიმართავდნენ კანონიერ მემკვიდრეობას, მაგრამ ადგილი ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეებსაც. ანდერძში გადმოიცემოდა მონანდერძის მთელი ბიოგრაფია, წყლებოდა ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის

¹ ბ. ზოიძე, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი, დისერტაცია, 1991 წ. გვ. 361.

საკითხები და გამოკვეთილი იყო მოანდერძეს ინტერესები. ასევე არსებობდა მოანდერძის დანაკისრის ინსტიტუტიც. მოანდერძეს შეეძლო მემკვიდრისათვის დაეკისრებინა ქონების ნაწილის ერთი ან რამდენიმე პირისათვის გადაცემა, ან მათ სასარგებლოდ რაიმეს შესრულება. ანდერძი უნდა ყოფილიყო ნების გამომხატველი, შედგენის მომენტში მოანდერძე უნდა ყოფილიყო ქმედუნარიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ჩაითვლებოდა ბათილად. ანდერძის შემდგენს უნდა სცოდნოდა მისი შედგენის ფორმა, ამიტომ ხშირად მას სასულიერო პირი ჩამოაყალიბებდა და მამკვიდრებელი ხელს მოაწერდა. მიღებული იყო ასევე ანდერძის ზეპირი ფორმა, რასაც მიუთითებს ვახტანგ VI კანონთა კრებულის 94-ე მუხლი, როდესაც დასაშვები იყო ნების დაფიქსირება მომხდარიყო მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

ბექა-ალბულას სამართლით, მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით ანდერძის გაუქმება შეიძლებოდა – ახალი ანდერძი აუქმებდა ძველს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისას, ქონების გადასვლას სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მონათმფლობელური ან ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური წყობის პირობებში¹.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში მემკვიდრეობის სამართალი ხასიათდებოდა გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებული იყო მემკვიდრეობის უფლების ეკონომიკური ხასიათით, კერძოდ: 1) საკანონმდებლო წესით აღიარებულ იქნა შრომითი პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება;

¹ ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართლის პრობლემები გამოკვლეულია პროფ. ბ. ზოიძეს მონოგრაფიულ ნაშრომში „ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი“, ბათუმი, 1992 წ. და ამავე თემაზე შესრულებულ მსივე სადოქტორო დისერტაციაში.

2) მემკვიდრეობის უფლების ობიექტს წარმოადგენდა არა მთელი სამკვიდრო ქონება, არამედ ამ ქონების საერთო ღირებულების ის ნაწილი, რაც გარდაცვლილის ყველა ვალების გამოკლებით ათი ათას მანეთს არ აღემატებოდა. ამასთან, ამ თანხაში არ ითვლებოდა საოჯახო მოწყობილობის ღირებულება და აგრეთვე საავტორო უფლების საფუძველზე მიღებული ან მისაღები ფულადი თანხები;

3) დაწესებულ იქნა მემკვიდრეთა მეტად ვიწრო წრე, რაც გამოიხატებოდა მემკვიდრეებად მხოლოდ პირდაპირი დამავალი ხაზის შთამომავალთა მოწვევაში, აგრეთვე მეუღლისა და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირებისა;

4) დაწესებულ იქნა კანონით მემკვიდრეთა თანასწორუფლებიანობა, განურჩევლად მათი ქონებრივი მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა; აგრეთვე დაწესდა ქორწინებისა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა თანასწორუფლებიანობა;

5) შემოღებულ იქნა მემკვიდრეთა მოწვევა ერთდროულად და უარყოფილ იქნა წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე მემკვიდრეების გამოწვევა;

6) დაწესებულ იქნა საანდერძო განკარგულების უფლება შეზღუდულ ფარგლებში. ამასთან, ყოველ მოქალაქეს მიეცა უფლება მთელი თავისი პირადი საკუთრების ქონება ან ამ ქონების გარკვეული ნაწილი ანდერძით გადაეცა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად იმისა, ჰყავდა თუ არა მას კანონით მემკვიდრე;

7) კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, შემოღებულ იქნა სამკვიდრო ქონების ბეითალმანად გამოცხადება.

საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის განვითარების გზაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებ-

ულუბა – „კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შესახებ“, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა კანონით მემკვიდრეთა წრე. იმ დროისათვის კანონით მემკვიდრეებად ითვლებოდნენ გარდაცვლილის შვილები (ნაშვილები), მეუღლე, შშობლები, დები, ძმები და აგრეთვე სხვა შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებაამდე. დაშვებულ იქნა გარდაცვლილის დამავალი ხაზის შთამომავლების წარმომადგენლობის უფლების საფუძველზე მემკვიდრეებად გამოწვევა. გაფართოებულ იქნა საანდერძო განკარგულების უფლების მოცულობის ფარგლები, რაც გამოიხატებოდა მამკვიდრებლის მიერ ქონების ნებისმიერი პირისათვის ანდერძით გადაცემაში.

მემკვიდრეობის სამართლის შემდგომმა განვითარებამ ასახვა პოვა ისეთ მნიშვნელოვან საკავშირო ნორმატიულ აქტში, როგორიც იყო „სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“, რაც საფუძვლად დაედო მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსების მიღებას, სადაც პრაქტიკულად აისახა 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულებაში მოცემული მემკვიდრეობის პრინციპები და კანონით გათვალისწინებული მოქალაქეთა, ორგანიზაციათა და სახელმწიფოს მემკვიდრეობის გაზრდილი უფლებები. „საფუძვლებმა“ მოკავშირე რესპუბლიკებს დაუდგინა მხოლოდ კანონისმიერ მემკვიდრეთა პირველი რიგი, ხოლო შემდგომი რიგების საკითხი მოწესრიგებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსებით. რაც შეეხება მემკვიდრეობის მიღების წესს, ვადებსა და სავალდებულო წილის მოცულობას „საფუძვლებით“ – განსაზღვრული არ იყო.

ამავე დროს, „საფუძვლებამდე“ მოქმედი კანონმდებლობით, კანონით მემკვიდრეები მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედ-

ვით იმყოფოდნენ თანმყოფ და არათანმყოფ მემკვიდრეებად. ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით. მემკვიდრეები, რომლებიც ცხოვრობდნენ სამკვიდრო ქონების სამყოფელ ადგილზე და ის არ ემთხვეოდა მემკვიდრეობის გახსნის ადგილს, ითვლებოდნენ არათანმყოფ მემკვიდრეებად. მათ შეეძლოთ მიეღოთ მემკვიდრეობა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი გამგებლობის ან მფლობელობის განხორციელებით, ან მემკვიდრეობის გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის მიღების შესახებ განცხადების შეტანით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობდა სათანადო დამამტკიცებელი საბუთები მემკვიდრის მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე ცხოვრების შესახებ, სასამართლოს განსაკუთრებული წარმოების წესით შეეძლო განეხილა საქმე თანმყოფ მემკვიდრედ ცნობის შესახებ.

რაც შეეხება მემკვიდრეს, რომელიც აღიარებულია თანმყოფ მემკვიდრედ, მას რომ კიდევ მემკვიდრეობის გახსნისას შესაბამის სანოტარო ორგანოსთვის განცხადებით არ მიემართა სამკვიდრო ქონების მიღებაზე, მემკვიდრეობა მიღებულად ითვლებოდა.

საბჭოური წყობილების რღვევისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ იქნა ფუძემდებლური ნორმატიული აქტი. ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც მიღებულმა არაერთმა კანონმა, თუ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა, ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს.

მემკვიდრეობის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე,

საქართველოს კონსტიტუციამ 21-ე მუხლში პირდაპირ მიუთითა, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. აქედან გამომდინარე, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს¹, სხვაგვარად წარმართა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება. აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებითა და მასში მონაწილე სუბიექტთა უფლებამოსილების გაფართოებით. გარდა ამისა, გაიზარდა სამოქალაქო ბრუნვაში იმ ობიექტთა წრე, რაც პირს შეიძლება ჰქონდეს საკუთრებაში. მემკვიდრეობის უფლება არის ერთერთი ძირითადი უფლება, რაც მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს უფლებას – საკუთრებას. კერძოდ, მემკვიდრეობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

ახალი სამოქალაქო კოდექსი სხვაგვარად მოიაზრებს მემკვიდრეობის სამართლისათვის მიღებული ძირითადი პრინციპების შეცვლას იმგვარად, რომ არ დაირღვეს მემკვიდრეობის სამართლით გათვალისწინებული უფლებამოსილი სუბიექტების კონსტიტუციური და, აქედან გამომდინარე, სხვა უფლებები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მემკვიდრეობის სამართალმა დამოუკიდებელი ადგილი პოვა სამოქალაქო სამართალში მეექვსე წიგნის სახით.

მემკვიდრეობის სამართლის ისტორიული წანამძღვრები ცხა-

¹ იგი ძალაში შევიდა 1997 წლის ნოემბრიდან.

დყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუტის განვითარება არ ყოფილა ერთგვაროვანი. მას თან სდევდა გარკვეული წინააღმდეგობები, რომელთა გადალახვა, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ხდებოდა კანონმდებლობის მიერ. ყოველივე ეს აშკარას ხდის მისი არსებობის გარდუვალობას.

მემკვიდრეობის სამართლის არსებობის აუცილებლობასთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ ლოგიკურად წარმოშვა კითხვა მისი რეალურად არსებობის შესახებ. კერძოდ, რა შედეგები დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება უარს იტყოდა მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით მამკვიდრებლის ქონების მემკვიდრეობით გადასვლაზე? თუ ერთი წუთით დაეუშვებოდა, რომ მამკვიდრებელთან ერთად „მოკვდება“ მემკვიდრეობის უფლება, რა ბედი ეწევა მის ქონებას და რა უფლებით ისარგებლებენ ის პირები, რომლებიც მამკვიდრებლის ახლო ნათესავთა წრეს განეკუთვნებიან? მემკვიდრეობის ინსტიტუტის გაუქმების შემთხვევაში, ძნელია წარმოვიდგინოთ ის ქაოსი, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მემკვიდრეობის საკუთრებისა და სხვა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული ქაოსი, უპირველეს ყოვლისა, უარყოფით გავლენას იქონიებდა მემკვიდრეებად მოწვეულ პირებზე, რომლებსაც ჩამოერთმეოდათ საარსებო საშუალება მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით.

მემკვიდრეობის ინსტიტუტზე უარის თქმა გაკოტრებამდე მიიყვანდა მრავალ სააქციო საზოგადოებას, ბანკს, სადაზღვევო კომპანიას, რადგანაც დაირღვეოდა მათი ნორმალური სამეურნეო საქმიანობა.

ასეთ დროს არანაკლებ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ

კრედიტორები, რომლებსაც არ ეცოდინებოდათ თუ ვისთვის მიემართათ თავიანთი საკრედიტო უფლებების დაკმაყოფილებისათვის. გარდა ამისა, მემკვიდრეობაზე უარის თქმით შემცირდებოდა შრომითი და საქმიანი აქტიურობა, ვინაიდან თითოეული მოქალაქე, შემდგომში მამკვიდრებელი, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მისი ქონების ბელთან მიმართებაში. მაგალითად, ვისთვის გადაეცა მის მიერ წარმატებით დაწყებული სამეწარმეო საქმიანობა, თუ არა თავისი ოჯახის წევრისათვის და ა.შ. უფრო მეტიც, მემკვიდრეობის ინსტიტუტის არსებობის მოწინააღმდეგენი თვლიდნენ, რომ მემკვიდრეობა კარს უღებს პარაზიტული არსებობის მსურველ მემკვიდრეებს, რომლებსაც მემკვიდრეობა გადაეცემათ უძრავი ქონების, აქციებისა და თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის სახით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფას და, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს თვით მემკვიდრეებზე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ამ მოსაზრებას არ შეუძლია უარყოს ის დიდი უპირატესობა, რაც მემკვიდრეობის სამართალს გააჩნია. იგი პირობას უქმნის ახალ თაობებს ცხოვრება დაიწყონ არა გაპარტახებული ნიადაგიდან, არამედ გარკვეულ მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით.

თავი მეორე

მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ცნებები

§ 1. მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტები

ადამიანის სიკვდილი იწვევს მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობას. ასეთ დროს ადგილი აქვს არა მხოლოდ ცალკეული უფლებისა და მოვალების, არამედ ერთობლიობაში მათ გადასვლას მემკვიდრეებზე, რის გამოც მემკვიდრეობა წარმოადგენს საერთო და უნივერსალურ უფლებამონაცვლებას, რომელიც უნდა განვასხვაოთ კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლებისაგან.

საერთო ანუ უნივერსალური უფლებამონაცვლებისას ადგილი აქვს მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემას ერთდროულად ყველა მემკვიდრისათვის. კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლებისას კი ცალკეული მემკვიდრეობის უფლების გადაცემას კონკრეტული მემკვიდრისათვის. ამავე დროს, როგორც უნივერსალური, ისე სინგულარული უფლებამონაცვლებისას არ დაიშვება მემკვიდრის შეხედულებითა და ნება-სურვილით რომელიმე უფლების მიღება ან მასზე უარის თქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება ერთად ან მათზე განაცხადოს უარი. მემკვიდრის მიერ რომელიმე კონკრეტული უფლების მიღება ავტომატურად იწვევს მის მიერ დანარჩენი უფლებების მიღებასაც.

მემკვიდრეობის გარდაცვალებას თან ახლავს მემკვიდრეობის სამართალურთიერთობების წარმოშობა. ასეთი ურთიერთობები წარმოიშობა აგრეთვე სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად

გამოცხადების შემთხვევაში (მუხლი 22-ე). პირის სიცოცხლეში არავის არ წარმოეშობა მემკვიდრეობის უფლება. ამასთან, მამკვიდრებლის მემკვიდრესთან ერთად ცხოვრება გამორიცხავს ქონებრივი თვალსაზრისით ამ მემკვიდრის უპირატესობას სხვა მემკვიდრებთან მიმართებაში, რომლებიც არ ცხოვრობენ მამკვიდრებელთან.

მემკვიდრეობის სამართალურთიერთობა წარმოიშობა გარკვეულ სუბიექტებს შორის¹, რომელთა ცნებები განსაზღვრულია კანონმდებლობით.

მამკვიდრებელი არის პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი კუთვნილი ქონება მემკვიდრეობის წესით გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში. იგი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი შეიძლება „აღმოჩნდეს“ ცოცხალი პირიც, რომელიც კანონით დადგენილი პირობების არსებობისას, სასამართლოს მიერ გამოცხადებულია გარდაცვლილად.

კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი შეიძლება იყოს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი

¹ სამართლის თეორიაში მიღებული გაგებით, მამკვიდრებელი მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტი არ არის, ვინაიდან მამკვიდროს გახსნის დროს, რომელიც წარმოადგენს საფუძველს მემკვიდრეობის ურთიერთობის წარმოშობისათვის. მამკვიდრებელი ცოცხალი აღარ არის. მისი გარდაცვალებით ისპობა უფლებაუნარიანობა და მასთან ერთად უფლება, იყოს რომელიმე კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილე (სუბიექტი). ამდენად, არ ვეთანხმებით პროფ. სუხანოვის რედაქტორობით გამოცემულ სა მოქალაქო სამართლის სახელმძღვანელოში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელი, მემკვიდრის მსგავსად, არის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტი (იხ. Гражданское право, т. I, მე-2 გამოცემა, გვ. 533). მიუხედავად ამისა, მემკვიდრეობის სამართალურთიერთობა წარმოუდგენელია ამ ცნების გარეშე, რომელიც პრაქტიკულად ერთდერთი საფუძველია ამ ურთიერთობის წარმოშობისათვის.

პირი, ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ დადგენილი წესით ქმედუნაროდ აღიარებული პირი. რაც შეეხება მამკვიდრებელს ანღერძისძიერი მემკვიდრეობისას, ის აუცილებლად უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი. შეზღუდულქმედუნარიანი პირი არ სარგებლობს საანდერძო ქმედუნარიანობით.

იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს მამკვიდრებელი. ძისი რეორგანიზაციის შემთხვევაში, ქონება გადადის სხვა პირებზე უფლებამონაცვლეობის წესით. რაც შეეხება მის ლიკვიდაციას, ასეთ დროს უფლებამონაცვლეობას ადგილი არა აქვს და ამიტომ დღის წესრიგში არ შეიძლება დადგეს მემკვიდრეობის საკითხი.

მემკვიდრე არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით შეიძლება გადაეცეს მამკვიდრებლის ქონება. ასეთები კანონის შესაბამისად შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და სახელმწიფო.

საზღვარგარეთის უძრავლესი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით თითქმის ერთნაირად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. კანონისძიერი მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტიანათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადება.

ჩასახული, რომლის ინტერესები მის დაბადებამდე უკვე დაცულია, იწოდება nasciturus, ე.ი. ჯერ კიდევ დაუბადებელი. ასეთი პირის ინტერესები დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის „ბ“ პუნქტით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დაუბადებელი ბავშვი სამართლის სუბიექტია. რა თქმა უნდა, არა,

რადგანაც მისი ინტერესები დაცულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცოცხალი დაიბადება. თუკი იგი მკვდარი დაიბადება, მისი ჩასახვის ფაქტი კარგავს ნებისმიერი სახის იურიდიულ მნიშვნელობას, რადგანაც მისი უფლებაუნარიანობა არ წარმოშობილა; მოცემულ შემთხვევაში იგი საერთოდ არ მოიწვევა როგორც მემკვიდრე და ამიტომ არ გამოიყენება როგორც მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესები, ისე სამკვიდრო წილის გაზრდისა და სხვა წესებიც, რაც გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის, როცა მემკვიდრე იღუპება და ვერ ასწრებს სამკვიდროს მიღებას. თუ nasciturus-ის სასარგებლოდ დატოვებულია სამკვიდრო და იგი მკვდარი დაიბადება, მაშინ კანონისმიერი მემკვიდრეობა კარგავს სამართლებრივ ძალას, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

ანდერძით მემკვიდრეები კი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტი-სათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა. ანდერძისათვის დამახასიათებელია მემკვიდრეთა კონკრეტულად განსაზღვრა. იმ პირის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, რომელიც შეიძლება დაიბადოს მომავალში, განუსაზღვრელ დროში ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: მამკვიდრებელს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ბავშვს ელოდებოდა. ბაბუამ იცოდა თავისი მძიმე უკუნებელი დაავადების შესახებ და ვარაუდობდა, რომ ვერ მოესწრებოდა შვილიშვილის დაბადებას. მან წინასწარ, კანონით დადგენილი წესების დაცვით, დატოვა ანდერძი მისი მომავალი შვილიშვილის სასარგებლოდ. მის გარდაცვალებას მოჰყვა ბავშვის დაბადება, რომელიც მისი ანდერძისმიერი მემკვიდრე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ანდერძში კონკრეტულად არ იყო მითითებული მემკვიდრის ვინაობა, ასეთი ანდერძი არ შეიძლება მივიჩნიოთ ბათილად, რადგან ანდერძში ძითითებული იყო პირი, რომელიც მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე იყო ჩასახული. სულ სხვა შედეგი დგება მაშინ, როდესაც მოანდერძე მომავლისათვის მემკვიდრედ ასახელებს პირს, რომელიც მის სიცოცხლეში ჩასახული არ არის და დაიბადება მისი გარდაცვალების შემდეგ.

ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ აგრეთვე იურიდიული პირები. ამასთან, ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს მისაღებად მოიწვევა იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

მემკვიდრეები, მათი ქმედუნარიანობისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის მიუხედავად შეიძლება იყვნენ: მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხოელები.

მამკვიდრებელს შეიძლება ჰყავდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე მემკვიდრე. თუ მემკვიდრე რამდენიმე პირია, მაშინ მათ სამკვიდროს გახსნიდან მის გაყოფამდე ეწოდებათ თანამემკვიდრეები და მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე არსებული ქონება ითვლება თანასაკუთრებად და ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის. სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები. ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროს ღირებულებიდან ყველა სხვა, მათ შორის, იპოთეკისა და სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 1310-ე,

1311-ე, 1313-ე მუხლების ანალიზი იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნებიან უღირს მემკვიდრეებად, ჩამოერთმევათ როგორც კანონისმიერი, ისე ანდერძისმიერი მემკვიდრეობა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირი (უღირსი მემკვიდრე) კარგავს მხოლოდ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებას, მაგრამ იგი შეიძლება მოწვეულ იქნეს როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრე. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის თანახმად, არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც თავისი მოქმედებით განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში, რითაც ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ან ჩაიდინა განზრახვი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ და თუ ეს დადასტურებულ იქნება სასამართლო განაჩენით. ამ დროს მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მამკვიდრებლის ნების წინააღმდეგ მიმართულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ან განზრახ დანაშაულად. მაგალითად, უღირსად არ ჩაითვლება მემკვიდრე, რომლის გაუფრთხილებლობით ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა მანქანაში მასთან ერთად მყოფი მამკვიდრებელი და პირიქით, უღირსად ჩაითვლება მემკვიდრე, რომელმაც განზრახ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოიწვია მამკვიდრებლის გარდაცვალება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლით კი, ვერ იქნებიან კანონით (და არა ანდერძით) მემკვიდრეები აგრეთვე პირები, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ

მოვალეობას – ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. ასევე არ შეიძლება იყენენ შეილების მემკვიდრეები ის მშობლები, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ აქვთ აღდგენილი ეს უფლება. მშობლის უფლების ჩამორთმევაში იგულისხმება ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც ძირითადად განაპირობებენ მისთვის ამ უფლებათა ჩამორთმევას. კერძოდ, მშობელს (მშობლებს) მშობლის უფლება ჩამოერთმევა თუ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნება, რომ ის (ისინი) სისტემატურად თავს არიდებს შეილების აღზრდის მოვალეობას, ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას, სასტიკად ეპყრობა შეილებს, ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია და თავისი ამორალური ყოფაქცევით ცუდ გავლენას ახდენს შეილებზე. უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებაში მიუთითებს იმ გარემოებათა შესახებ, რაც საფუძვლად დაედო აღნიშნულ გადაწყვეტილებას. სასამართლო ასეთი კატეგორიის საქმეებს განიხილავს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ იმ პირის სარჩელის საფუძველზე, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. რაც შეეხება სარჩელის წარდგენის ვადებს, იგი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შემთხვევაში დაინტერესებულ პირთა მიერ წარდგენილ უნდა იქნეს ხუთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას. არცთუ იშვიათად შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხი მის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემდეგ. ასეთ დროს იგი ვალდებულია დააბრუნოს მემკვიდრეობით მიღებული ქონება ნაყოფსა და შემოსავალთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ვალდე-

ბულება განხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. მართალია, პირის უღირს მემკვიდრედ ცნობა ართმევს მას სამკვიდროს მიღების უფლებას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს მისი ნათესავების მიმართ მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას, რომლებიც სარგებლობენ მემკვიდრეობის წარმომადგენლობის უფლებით. ბუნებრივია, პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება დღის წესრიგში აყენებს მისი კუთვნილი სამკვიდროს ბედის გადაწყვეტის საკითხს, რომელიც წესრიგდება კანონით დადგენილი წესის თანახმად. კერძოდ, მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეული პირის სამკვიდრო წილი გადადის მემკვიდრეებად მოწვეულ დანარჩენ მემკვიდრეებზე და თანასწორად ნაწილდება მათ შორის. ამ წესიდან არის ერთი გამონაკლისი, – თუ მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეულ პირს ანდერძით მემკვიდრე ჰყავდა დანიშნული.

კანონის ჰუმანური ბუნების დამადასტურებელია მისი დამოკიდებულება უღირსი მემკვიდრის მიმართ, როდესაც იგი შესაძლებლად მიიჩნევა მამკვიდრებლის მიერ იმ საქციელის პატიებას, რაც საფუძველად დაედო სასამართლოს მიერ პირის უღირს მემკვიდრედ ცნობას. პირი, რომელიც მხილებულია იმ მოქმედებათა ჩადენაში, რაც მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას იწვევს, ამის მიუხედავად დაიშვება მემკვიდრედ, თუ მამკვიდრებელი აპატიებს მას და თავის გადაწყვეტილებას აშკარა ფორმით გამოხატავს ანდერძში. საგულისხმოა, რომ პატიების უკან წაღება არ დაიშვება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1313-ე მუხლი).

§ 2. მემკვიდრეობის საშემოქმედო საკითხები

მემკვიდრეობის სუბიექტთა განხილვასთან ერთად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვსაზღვროთ აგრეთვე მემკვიდრეობის ობიექტი. სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობათა ერთობლიობას, რაც შეიძლება იყოს მემკვიდრეობის ობიექტი.

სამკვიდრო ქონებად მიჩნეულია ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიდან¹. სამკვიდრო ქონებაში (სამკვიდროში) შედის აგრეთვე საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა (იმ შემთხვევაში, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება).

სამკვიდროს ცნება მოიცავს არა კონკრეტულ ქონებას, არამედ უფლებას ამ ქონებაზე. მაგალითად, სამკვიდროში შედის არა სახლი, არამედ უფლება მასზე, არა აგარაკი, არამედ უფლება

¹ მემკვიდრეობის საშემოქმედო საკითხებზე გვიჩვენა, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ იყო განსხვავებული მიდგომა. ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ სამკვიდროს შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები. В. Сердюковичи, Очерки советского наследственного права, М., 1953, с. 32-33. შემდგომში ეს მოსაზრება სამართლიანი კრიტიკის ობიექტი გახდა. ასე მაგალითად, პროფ. ვ. სერებროვსკის საწინააღმდეგოდ პროფესორები ბ. ანტიმონოვი, კ. გრავე და ე. ფელიშვიცი, ვ. სერებროვსკის წიგნის რეცენზიაში გამოთქამდნენ აზრს, რომ მემკვიდრეობით შესაძლებელია გადავიდეს არა მარტო მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები, არამედ მოვალეობებიც. კანონმდებლობის შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა ამ კრიტიკის ჭეშმარიტება. »Курьера «Советское государство и право», 1954, N 1, стр. 144-148.

მასზე, არა საწარმო, არამედ უფლება მასზე და ა.შ. გასათვალ-
ისწინებელია ისიც, რომ სამკვიდრო ქონებაში (სამკვიდროში)
არ შედის მამკვიდრებლის პიროვნებასთან დაკავშირებული პი-
რადი ქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რომ-
ლებიც მის გარდაცვალებასთან ერთად ისპობა.

კანონი უშვებს პირადი არაქონებრივი უფლებების მემკვიდრეო-
ბით გადაცემას მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მემკვი-
დრეობით მიღებულ უფლებათა განხორციელებისათვის (მაგალი-
თად, ნაწარმოების გამოცემისა და ხელახალი გამოცემის, გამოგ-
ონებისა და სამეცნიერო აღმოჩენის გაფორმების, ნაწარმოების ხე-
ლშეუხებლობის უფლებები და ა.შ.).

სამკვიდროს შემადგენლობის გარკვევისას ურიგო არ იქნე-
ბა დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება საავტორო უფლების
მემკვიდრეობით გადასვლაში. ტერმინი – „საავტორო უფლება“
სამოქალაქო სამართალში აღინიშნება, როგორც ავტორის
გარკვეული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების
ერთიანობა, რომლებიც წარმოიშობა ლიტერატურული, მეც-
ნიერული და ხელოვნების ნაწარმოების შექმნისას.

საავტორო სამართალი იცავს საავტორო უფლებასთან დაკავ-
შირებულ ქონებრივ და პირად არაქონებრივ, ასევე ზოგიერთ მათ
მომიჯნავე უფლებებს, რომელიც დაკავშირებულია შემსრულე-
ბლებთან, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებსა და
მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

საავტორო უფლება არ ვრცელდება: ოფიციალურ დოკუმენტ-
ებსა და მათ ოფიციალურ თარგმანებზე, სახელმწიფოს ოფიციალ-
ურ სიმბოლოებზე, მოვლენებისა და ფაქტების შესახებ ინფორ-
მაციული ხასიათის ცნობებზე და ა. შ.

საავტორო უფლებაზე საუბარი უსაფუძვლო იქნება თუ არ გაირკვა ამ უფლების სუბიექტისა და ობიექტის სამართლებრივი სტატუსი მემკვიდრეობით ურთიერთობებში.

საავტორო უფლების სუბიექტად მიჩნეულია ნაწარმოების ავტორი, ანუ ის პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შექმნილია ნაწარმოები. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანაავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედეგა ნაწილები-საგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

საავტორო უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, ისე არასრულწლოვანი. რაც შეეხება ავტორის ქმედუნარიანობას, მას საავტორო უფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. საავტორო უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე იურიდიული პირიც (როგორც უფლებამონაცვლეობით, ისე ავტორთან ხელშეკრულების დადებით, ანდერძით და ა.შ.).

საავტორო უფლების სუბიექტად მიჩნეულია არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირიც.

ავტორის გარდაცვალების შემთხვევაში. საავტორო უფლების სუბიექტი ხდება მისი მემკვიდრე. საავტორო უფლებათა მემკვიდრეობა, საერთო წესების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს კანონით ან ანდერძით.

კანონით მემკვიდრეობისას საავტორო უფლებათა მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ პირები, რომლებიც შედიან

მემკვიდრეობის რომელიმე რიგის შემადგენლობაში. ანდერძით მემკვიდრეობისას საავტორო უფლებები შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ პირს მისი მოქალაქეობისა და გარდაცვლილთან ნათესაური ურთიერთობის მიუხედავად.

საავტორო სამართლის მიხედვით მემკვიდრეები განიხილებიან, როგორც წარმოებული საავტორო უფლების მატარებელნი. ეს უფლება წარმოიშობა არა მათ მიერ ნაწარმოების შექმნით, არამედ სხვა იურიდიული ფაქტების საფუძველზე (მემკვიდრეობის გახსნა, კანონით მემკვიდრეთა წრის შემადგენლობაში შესვლა ან ანდერძით მათი მოწვევა, მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღება).

საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე, მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოქვეყნდა, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში ასეთი ნაწარმოების მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან¹. თუ აღნიშნულ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას, ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, მაშინ ავტორის გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. საავტორო უფლება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს ავტორთა სიცოცხლის მანძილზე და უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ავტორის გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოქვეყნებულ

¹ აღრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, საავტორო უფლება მემკვიდრეობით გადადიოდა 15 წლის განმავლობაში მამკვიდრებლის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან. 1973 წელს, ჟენევის კონვენციასთან მიერთებით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლის ვადა გაიზარდა 25 წლამდე.

ნაწარმოებებს, მათზე საავტორო უფლება მოქმედებს გამოქვეყნებიდან 70 წლის განმავლობაში. ამ ვადების ათვლა იწყება მომავალი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

საავტორო უფლების მემკვიდრეობის ვადებთან მიმართებაში განსაკუთრებით საინტერესოა თანავტორობასთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, იწვევს თუ არა თანავტორობაგან ერთ-ერთის გარდაცვალება საავტორო უფლებაზე მემკვიდრეობის გახსნას? პასუხი ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახისაა თანავტორობა – გაყოფადი თუ განუყოფადი.

თუ თანავტორობა განუყოფადია, ანუ შეუძლებელია თანავტორობით შექმნილი ნაწარმოების გამოქვეყნება ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე, მაშინ მემკვიდრეობა იხსნება თანავტორობის შორის უკანასკნელი თანავტორის გარდაცვალების შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, ხოლო თუ თანავტორობა გაყოფადია, ანუ თანავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და შესაძლებელია მისი სხვა ნაწილების გარეშე გამოქვეყნება, მაშინ თანამემკვიდრეობის უფლებაზე მემკვიდრეობა იხსნება თითოეული თანავტორის გარდაცვალების შემდგომი წლის პირველი იანვრიდან. მიგვაჩნია, რომ იმ მემკვიდრეთა უფლებების დასაცავად, რომლებიც განეკუთვნებიან გაყოფადი თანავტორობით შექმნილი ნაწარმოების თანავტორის მემკვიდრეებს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება გაყოფადი და განუყოფადი თანავტორობის შესახებ და შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 1999 წლის 24 ივნისის კანონში.

რაც შეეხება განუყოფად თანაავტორობას, კანონის მოთხოვნა მასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებების მემკვიდრეობით გადასვლასთან მიმართებაში სწორია.

ავტორის გარდაცვალების შემდეგ პირველად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე საავტორო უფლება მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი გამოქვეყნებიდან.

საავტორო უფლებებთან დაკავშირებული მემკვიდრეობის საკითხები წესრიგდება მემკვიდრეობისათვის დადგენილი საერთო წესების საფუძველზე. მაგრამ აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით, ამ საერთო წესებიდან არის ერთი გამონაკლისი, თუ ავტორის მიერ საავტორო უფლებაზე არ არის დატოვებული ანდერძი და არ არიან კანონისმიერი მემკვიდრეები ან კანონით დადგენილი წესით მათ ჩამორთმეული აქვთ ეს უფლება, მაშინ აღნიშნული საავტორო უფლება მემკვიდრეობით არ გადადის სახელმწიფოზე და იგი წყვეტს არსებობას.

კონკრეტულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლებისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

ნაწარმოები, რომლის საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, ხდება საყოველთაო კუთვნილება და იგი შეიძლება თავისუფლად გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის ანაზღაურების გარეშე. ამასთან, დაცულ უნდა იქნეს ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

დაბოლოს, იბადება კითხვა – თუ რა შედეგი დგება, როდესაც გარდაიცვლება ერთ-ერთი თანაავტორი, რომელსაც არ ჰყავს არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრე? ამ საკითხთან დაკავშირებით, გვსურს დავეთანხმოთ იურიდიულ ლიტერატურა-

ში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გაყოფადი და განუყოფადი თანავეტორობის დროს გარდაცვლილი თანავეტორობის საავტორო უფლებები ისპობა და მისი კუთვნილი წილი არ გადადის ცოცხლად დარჩენილ სხვა თანავეტორებზე¹.

ავტორთა და მათ შემკვიდრეთა გვერდით საავტორო უფლების სუბიექტებად გვევლინებიან სხვა უფლებამონაცვლები, როგორც არიან გამოძცემლობები, თეატრები, კინოსტუდიები და სხვა ამგვარი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს. ისინი საავტორო უფლებებს მოიპოვებენ ავტორებთან ან მათ შემკვიდრებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაციები ხდებიან რა საავტორო უფლებათა მფლობელები, იყენებენ საავტორო ნაწარმოებებს და განკარგავენ მათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების ფარგლებში. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, მათ გადაეცემათ საავტორო უფლებები არა მთლიანი მოცულობით, არამედ შემზღუდულად. არ შეიძლება არც შემკვიდრებით, არც ხელშეკრულებით და არც სხვა საფუძვლით ისეთი პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებების გადაცემა, როგორცაა ავტორობისა და სახელის უფლება.

ამავე დროს, უფლებამონაცვლეთა მიერ მოპოვებული საავტორო უფლებები ექვემდებარება დაცვას იმავე მოცულობით, როგორც თვით ავტორის უფლებები.

ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით, ავტორს მის მიმართ წარმოეშობა როგორც პირადი არაქონებრივი, ისე პირადი ქონებრივი უფლებები.

¹ Сергеев А.П. Право интеллектуальной собственности в Российской Федерации. 1996. с. 183.

ნაწარმოების ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს განეკუთვნება:

ა) ავტორობის უფლება;

ბ) სახელის უფლება;

გ) ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება;

დ) უფლება, ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებასა და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას;

ე) უფლება, წინ აღუდგეს ნაწარმოების დამახინჯებას ან იმგვარ შეცვლას, რამაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია;

ვ) უფლება, მისცეს თავისი ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოებების დართვის ნებართვა (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და ა.შ.);

ზ) უფლება, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები გამოქვეყნებულ ნაწარმოებში;

თ) უფლება, მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ასეთ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ.

ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად, მემკვიდრეობით გადადის აგრეთვე ავტორის ქონებრივი უფლებებიც. მაგალითად, მის მიერ შექმნილი ლიტერატურის, მეცნიერების ან ხელოვნების ნაწარმოების გამოყენებისათვის ანაზღაურების უფლება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სამკვიდროს დამტოვებლის ზოგიერთი ქონებრივი უფლება არ გადადის მემკვიდრეობით. იმ ქონებრივ

უფლებათა რიცხვს, რაც მემკვიდრეობით არ გადადის, მიეკუთვნება, მაგალითად, საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება. მართალია, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრები განაგრძობენ საცხოვრებელი სახლით სარგებლობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მემკვიდრეობით მიიღეს საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება, რომელიც გარდაცვლილ დამქირავებელს ეკუთვნოდა. მამკვიდრებლის უფლება ისარგებლოს საცხოვრებელი სახლით ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი პირადი უფლებაა. დაუშვებელია მისი გადაცემა მემკვიდრეობით. რაც შეეხება მამკვიდრებელთან მცხოვრებ მემკვიდრეებს, მათ გააჩნიათ აღნიშნული ფართობით მხოლოდ სარგებლობის უფლება, რაც არ შედის სამკვიდროს შემადგენლობაში და არ არის დაკავშირებული მამკვიდრებლის გარდაცვალებასთან.

გარდაცვლილის პიროვნებასთან დაკავშირებულ ქონებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც, აგრეთვე არ გადადის მემკვიდრეობით, მიეკუთვნება: დავალების ხელშეკრულების შესრულების მოვალეობა, ალიმენტის მიღების, სახელმწიფო სოციალური დახმების მიერ დანიშნული დახმარების მიღების, დასახიჩრებით ან მარჩენალის დალუპვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების, კავშირში წვერობის, პენსიის მიღების უფლება და ა.შ. მართალია, მამკვიდრებლის გარდაცვალებისას (ცოლი, მშობლები, არასრულწლოვანი შვილები და სხვა), განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, ზოგიერთ მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს პენსია, მაგრამ აღნიშნული არ არის დაკავშირებული მემკვიდრეობასთან და ურთიერთრჩენის ვალდებულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხშირად ისმის კითხვა, შედის თუ არა შერეული დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხა სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში?

ასეთ დროს მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის სასარგებლოდ არის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება და რომელ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით უნდა გაიცეს სადაზღვევო თანხა. შერეული დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება სადაზღვევო მოწმობაში მითითებული კონკრეტული პირის სასარგებლოდ იმ განკარგულების საფუძველზე, რომელიც დაზღვეულმა გამოთქვა დაზღვევის შესახებ განცხადებაში. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო თანხის მიღების უფლება, დაზღვეული პირის გარდაცვალების შემდეგ, დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, აქვს მხოლოდ დაზღვეულს, ამიტომ ეს თანხა არ შედის დაზღვეულის სამკვიდრო ქონებაში.

თუ პირი, რომლის სასარგებლოდაც იყო დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, დამზღვევზე ადრე გარდაიცვალა და მან არ დანიშნა სხვა მიმღები, მაშინ მისი სიკვდილის შემთხვევაში, სადაზღვევო თანხა შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში და მისი მიღების უფლებას მოიპოვებენ დაზღვეულის კანონისმიერი მემკვიდრეები.

სადაზღვევო თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების გასვლასთან დაკავშირებით, მხოლოდ მაშინ შედის დაზღვეულის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში, თუ ის გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ამ თანხის მიღება. ამ შემთხვევაში სადაზღვევო თანხა ეძლევათ დაზღვეულის მემკვიდრეებს.

სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი დადგენილი ანაბრების-სათვის.

ბანკში შეტანილი ანაბარი შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში, თუ არ არსებობს მეანაბრის წერილობითი განკარგულება პირად ანგარიშზე წარწერის სახით ან ბანკისადმი განცხადება მისი სიკვდილის შემთხვევაში ანაბრის რომელიმე პირისათვის, ანდა ცალკე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ. თუ მეანაბრის წერილობითი განკარგულების საფუძველზე ირიცხება ანაბარი და, ამავე დროს, ეს პირი წარმოადგენს მეანაბრის მემკვიდრესაც, მის მიერ მისაღები სამკვიდრო ქონების წილში არ ჩაეთვლება ის მისაღები ანაბარი, რომელიც მეანაბრის წერილობითი განკარგულების საფუძველზე უნდა მას გადაეცეს. ასეთ შემთხვევაში ეს პირი მიიღებს როგორც მის კუთვნილ სამკვიდრო წილს, ისე ანაბარსაც.

წერილობითი განკარგულება იმ ანაბარზე, რომელიც მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას შეადგენს, შეეხება მხოლოდ ანაბრის იმ ნაწილს, რომელიც თვითონ მეანაბრეს ეკუთვნის, თუ საქორწინო კონტრაქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეანაბრის განკარგულების არარსებობა იწვევს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომას. ანაბარი შედის რა სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში, მასზე ვრცელდება მემკვიდრეობის საერთო წესები. მათ შორის წესი სავალდებულო წილზე და ა.შ.

სამკვიდროში არ შედის სავარაუდო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატრიანე, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ეს საგნები გადაეცემა მემკვიდრეს საკუთრების უფლებების დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. ამ საგნების მიღება შეუძლია იმ მემკვიდრესაც, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს

მიღებაზე. დოკუმენტები, რომლებიც ეხება მამკვიდრებლის პიროვნებას, მის ოჯახს ან მთელ სამკვიდროს, რჩება საერთო ქონებად.

ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად მცხოვრებ კანონისმიერ მემკვიდრეებს, მათი მემკვიდრეობის რიგისა და სამკვიდრო წილის მიუხედავად, თუ ისინი ცხოვრობდნენ სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად არანაკლებ ერთი წლის მანძილზე მის სიკვდილამდე და თანაც საერთო მეურნეობა ჰქონდათ მასთან ან მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა ამ საკითხთან მიმართებაში და უფრო სამართლიანი გახადა, რადგანაც არ იყო გამორიცხული, რომ საოჯახო მოხმარების საგანი თავისი ღირებულებით უფრო მეტი ყოფილიყო ვიდრე ის ქონება, რომელიც მემკვიდრეთა შორის ნაწილდებოდა. ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა რა ეს ხარვეზი, საოჯახო მოხმარების საგნების, საცხოვრებელი სადგომის, სახლის ან ბინის მიმართ დააწესა სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე მამკვიდრებელთან მცხოვრები მემკვიდრის მიერ მათი მიღების უპირატესი უფლება, მხოლოდ ერთი პირობით – თუ მემკვიდრეთა შორის ქონების გაყოფისას ქონება საკმარისი არ არის მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მაშინ უპირატესი უფლების განმხორციელებელმა მემკვიდრეებმა უნდა მისცენ სხვა მემკვიდრეებს შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. ამასთან, იმ მემკვიდრეების მოთხოვნით, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაცია მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლის ვადით (სამოქალაქო კოდექსის 1483-ე მუხლი).

სამკვიდრო ქონებაში შემაგალი საოჯახო მოხმარების საგნების მემკვიდრეობის უპირატესი უფლების მქონე პირთა და ამ უფლების განხორციელების წესების გარკვევის შემდეგ, მნიშვნელოვანია გაირკვეს ისიც, თუ რა იგულისხმება საოჯახო მოხმარების საგნების ცნებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სამწუხაროდ, არც კანონმდებლობით და არც მეცნიერ-ცივილისტთა მიერ არ არის შემუშავებული ის კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა გაგვერკვია თუ რა უნდა მიეკუთვნოს სამკვიდრო ქონებაში შემაგალი ნივთებიდან საოჯახო მოხმარების საგნებს. ავტორთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ საოჯახო მოხმარების საგნის განმსაზღვრელი კრიტერიუმი უნდა იყოს ნივთის არა მოხმარებითი დანიშნულება, არამედ მისი ღირებულება. სხვები კი ასეთ კრიტერიუმად მიიჩნევენ ნივთის მოხმარებით დანიშნულებას, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ნივთი ყოველდღიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, თუ ძვირადღირებულ ავეჯს მამკვიდრებელი და მემკვიდრეები იყენებდნენ ყოველდღიური მოხმარების დანიშნულებით, როგორც ავეჯს, მაშინ იგი უნდა მიეკუთვნოს საოჯახო მოხმარების საგანთა კატეგორიას და უნდა შევიდეს სამკვიდროს შემადგენლობაში, მაგრამ თუ იგივე ავეჯი არ გამოიყენებოდა აღნიშნული მიზნით და ემსახურებოდა ბინაში გარკვეული ინტერიერის შექმნას, მაშინ მისდამი ასეთი მიდგომა სასამართლო და სანოტარო პრაქტიკისათვის დაუშვებელია. იგივე უნდა ითქვას ძვირადღირებულ ხალიჩებზე, „უნიკალურ“ და ანტიკვარულ ნივთებზე და ა.შ.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათად დგება საკითხი ე.წ. ფუფუნების

საგნებისა და საოჯახო მოხმარების საგნებს შორის ურთიერთ-
დამოკიდებულების შესახებ. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის
მართებულად მიგვაჩნია ეიხელმძღვანელოთ იმ კრიტერიუმით,
რომელიც მიუთითებს მათ ყოველდღიურ მოხმარების ხასიათზე.
მაგალითად, თუ ვერცხლის სერვიზი ანტიკვარულია და გამოიყ-
ენება მხოლოდ სადღესასწაულო სუფრების გაწყობისას, მაშინ
იგი არ შეიძლება ეკუთვნოდეს საოჯახო მოხმარების საგნებს.
მაგრამ, თუ ისინი მოიხმარება ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში,
მათი ძვირადღირებულებისა მიუხედავად, ისინი საოჯახო მოხ-
მარების საგნებად უნდა მივიჩნიოთ. ასევე საკამათოა საკითხი,
მაგალითად, სურათებისა და ხელოვნების სხვა საგნების მიმართ,
რომლებიც, როგორც წესი, განეკუთვნებიან განსაკუთრებით ძვირ-
ფას ნივთებს და მეშვიდრეობით გადაეცემა არა როგორც საო-
ჯახო მოხმარების საგნები.

ზემოაღნიშნული განმარტების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ
„საოჯახო მოხმარების საგანი“ არცთუ წარმატებული ტერმინია
მისი შინაარსისა და მასთან სამართლებრივი დამოკიდებულების
თვალსაზრისით. ამგვარი მიდგომით, ზოგიერთ შემთხვევაში, ასე-
თი განსაზღვრა ვერ ახდენს ნივთის დანიშნულების კომპენსაციას.
ამიტომ უმჯობესი იქნებოდა „საოჯახო მოხმარების საგანი“ შეცვ-
ლილიყო „საოჯახო საყოფაცხოვრებო საგნით“, რაც კიდევ უფრო
დააკონკრეტებდა მას. პირველ რიგში. ასეთი განმარტებისას მასში
მოიაზრებოდა ისეთი საგნები, რომლებიც გამოიყენებოდა ოჯახის
წევრთა კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის,
მეორე, ხაზს გაუსვამდა ოჯახის მიერ მისი მოხმარების ფაქტს.

სამკვიდრო ქონებაზე მეშვიდრეთა უფლებების გამორკვევასა
და მის სამართლებრივ რეჟიმთან დაკავშირებით გარკვეულ ინ-

ტერესს იმსახურებს მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში დაწყებული და დაუსრულებელი ბინის პრივატიზების უფლების მემკვიდრეობით გადასვლის საკითხი.

მოქალაქეს, რომელსაც დაკავებული აქვს საცხოვრებელი ფართობი სახელმწიფო ან მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლება აქვს მოახდინოს მისი პრივატიზაცია. იგი ბინის შესაკუთრედ ზღვება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ბინის პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნება კანონით დადგენილი წესით. ცხოვრებაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოქალაქემ დაიწყო თავისი საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია, მაგრამ გარდაცვალების გამო ვერ მოასწრო ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლიათ თუ არა მის მემკვიდრეებს დაასრულონ პრივატიზაციის პროცესი? გამომდინარე იქიდან, რომ მამკვიდრებელმა ვერ მოასწრო პრივატიზაციის საფუძველზე გამხდარიყო ბინის შესაკუთრე ამ საკითხთან დაკავშირებული სასამართლო და სანოტარო პრაქტიკა წარიმართა იმგვარად, რომ მემკვიდრეებს არ შეეძლოთ დაეკავებინათ მამკვიდრებლის ადგილი და დაესრულებინათ პრივატიზაციის პროცესი. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ჩამოყალიბებული პრაქტიკისა და კანონის ზუსტი გაგების მიხედვით, მათ მიეცათ უფლება მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის საფუძველზე, დაემთავრებინათ დაწყებული პრივატიზაციის პროცესი.

აღნიშნული საკითხის სამართლებრივი არსის სწორად გაგებისათვის აუცილებელია მამკვიდრებლის უფლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფუძემდებლური ნორმის ანალიზი. თუ მამკვიდრებელმა სიცოცხლეში არავითარი ღონისძიება არ მიიღო ბინის

პრივატიზაციისათვის. მაშინ უფლება პრივატიზაციაზე არ გამოდის მისი უფლებაუნარიანობის ფარგლებიდან და შესაბამისად არ გადადის სხვა პირებზე უფლებამონაცვლეობის წესით, მათ შორის, მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მემკვიდრებელმა მის სიცოცხლეშივე მოასწრო გამოეხატა თავისი ნება ბინის პრივატიზაციაზე (მაგალითად, შეიტანა განცხადება სანოტარო ორგანოში, სხვადასხვა ორგანოებიდან აიღო ცნობები ან სხვა დოკუმენტები პრივატიზაციისათვის და ა.შ.), მაგრამ ვერ მოასწრო მისი განხორციელება ბოლომდე, მაშინ პრივატიზაციაზე უფლება გადადის რეალიზაციის სტადიაში, ჩერდება სუბიექტური უფლების გზაზე და სწორედ ამიტომ შესაძლებელია იგი გახდეს მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის ობიექტი და შევიდეს სამკვიდროს შემადგენლობაში.

ამასთან, მემკვიდრეობით გადადის არა მხოლოდ ბინაზე, არამედ ნებისმიერ პრივატიზებულ ობიექტზე (ფართობზე, საწარმოზე და ა. შ.) საკუთრების უფლებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული გარემოება თავისთავად არ შეიძლება იყოს უარის თქმის საფუძველი მემკვიდრისათვის ამ საცხოვრებელი ბინის სამკვიდროს შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან. მოსარჩელე ა. ცხოვრობდა ღელასთან მ-სთან ერთად. ბინა იყო ოროთახიანი. ოჯახური უთანხმოების გამო ძმები ა. და გ. ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე მათთვის გამოყოფილ ოთახებში. მ-ს გარდაცვალების შემდეგ ა-მ მოახდინა მთლიანი ბინის პრივატიზება.

მოსარჩელე ზ-მ, რომელიც ასევე წარმოადგენდა მ-ს შვილს, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სადავო ბინაზე

ა-ს უფლებადაკარგულად ცნობა და ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების გაუქმება, რადგანაც დედამ ანდერძით მიაკუთვნა მას თავისი უძრავი და მოძრავი ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მამკვიდრებელმა პრივატიზაციის თაობაზე განცხადებით მიმართა საბინაო-საექსპლოატაციო უბანს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ ზ-ს უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგანაც ბინის პრივატიზაციის პროცესი დასრულებული არ იყო, ბინა კვლავ სახელმწიფო ფონდში შედიოდა და, ამდენად, მ-ს არ შეეძლო დაეტოვებინა ანდერძი იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მის საკუთრებას არ წარმოადგენდა.

დაადგინა რა, მამკვიდრებლის მიერ პრივატიზაციის თაობაზე განცხადების შეტანის ფაქტი სასამართლოს უნდა გაეუქმებინა ა-ს მიერ განხორციელებული პრივატიზაციის ხელშეკრულება. ზ-ს მიერ განსახორციელებელი პრივატიზაციის უფლება კი უნდა გამხდარიყო მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლების ობიექტი და ბინა შესულიყო სამკვიდროს შემადგენლობაში.

რა თქმა უნდა, პრივატიზაციის განხორციელების შედეგად, უკვე პრივატიზებული ბინის თანამესაკუთრე გახდებოდა ა-ც, რომლის წილიც იქნებოდა მოცემული ბინის ფართის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი სავალდებულო წილის გამოკლებით (რომელიც ა-ს ღარჩებოდა, როგორც პირველი რიგის კანონიერ მემკვიდრეს), მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემოდა ზ-ს.

ანალოგიურ მიდგომას იმსახურებს სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლი ითვალისწინებ-

და უპირატესი შესყიდვის უფლებას, რომელიც არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საინტერესოა შედარებითი ანალიზი ამავე კოდექსის 1470-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც თანამემკვიდრეს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც გადადის მემკვიდრებით. ე.ი. გასარკვევია საკითხი, თუ რომელი უპირატესი შესყიდვის უფლება მოიაზრება 516-ე მუხლში და არის თუ არა ეს ის უფლება, რასაც ითვალისწინებს 1470-ე მუხლის მე-3 პუნქტი. აღსანიშნავია, რომ 516-ე მუხლით გათვალისწინებული უპირატესი შესყიდვის უფლება მოიცავს მემკვიდრეობას სამართალურთიერთობის წარმოშობამდე პირთა უფლებას მესამე პირებთან, უპირატესად შეისყიდოს ნივთი გამყიდველისაგან, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ გადადის მემკვიდრეობით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უპირატესი შესყიდვის მქონე პირმა შეასრულა გარკვეული მოქმედება (გამოხატა ნება, უპირატესად შეისყიდოს გასასხვისებელი ნივთი ზეპირად, წერილობით, დათქმულ ვადაში და ა.შ.), ამ უფლების განსახორციელებლად, მაგრამ ვერ დაასრულა იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (გარდაცვალება), მაშინ ვფიქრობთ, რომ მოცემული უფლება უნდა გადავიდეს მემკვიდრეობით, ანუ მემკვიდრეებს მიეცეთ უფლება დაასრულონ დაწყებული პროცესი, სამკვიდროს გახსნის შემდეგ მესამე პირებთან წარმოშობილი ურთიერთობის უპირატესად. მაგალითად, ნ.პ-მ სიცოცხლეში მოისურვა განეხორციელებინა უპირატესი შესყიდვის უფლება, რაც ვერ დაასრულა იმის გამო, რომ გამსხვისებელმა კანონის დარღვევით გაასხვისა ნივთი მესამე პირზე. ნ. პ-მ მიმართა სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად, მაგრამ გარდაიცვალა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ისმის კითხვა, აქეთ თუ არა მის მემკვიდრეებს უფლება მოითხოვონ უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის, როგორც წესი, მათ ამისი უფლება არა აქვთ, მაგრამ რადგანაც უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება დაწყებული ჰქონდა მამკვიდრებელს, ეს უფლება უნდა შევიდეს სამკვიდრო აქტივში და მათ უნდა მიეცეთ ამ უფლების განხორციელების უფლება.

რაც შეეხება 1470-ე მუხლში მოცემულ უპირატეს შესყიდვის უფლებას, მოცემული ენება მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის დროს მემკვიდრეთა მიერ მიღებული სამკვიდროს გასხვისებას სხვა თანამემკვიდრეთა მიერ ამ ქონების უპირატესად შესყიდვას, რომელიც კანონით გადადის მემკვიდრეობით და წყდება თანამემკვიდრისათვის წილის გადაცემის შემდეგ.

სამკვიდროს შეძაღვენლობაში შეძავალი უფლების გადასვლასთან დაკავშირებით, მკითხველის ყურადღებას მივიპყრობთ სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს ჩუქების ხელშეკრულებას.

შესაძლებელია მამკვიდრებელს, საჩუქრის დაპირების შესახებ სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გააჩნდეს მისგან წარმოშობილი ვალდებულება. ამასთან დაკავშირებით. პრობლემურია ორი საკითხი. ერთი, შედის თუ არა მამკვიდრებლის ეს ვალდებულება სამკვიდროში და მეორე, სამკვიდროს რა ნაწილიდან და რა პერიოდში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული დასაჩუქრებული პირის მოთხოვნა.

პირველთან დაკავშირებით შედარებით მარტივია პრობლემა იმის გამო, რომ სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვი-

დრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიანთვის. ამდენად, მოცემული ვალდებულება არის სამკვიდრო პასივის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მემკვიდრეთა მიერ მის დაკმაყოფილებას სამკვიდროს რეალური ღირებულების ფარგლებში, რაც შეეხება მემკვიდრეთა მიერ ვალდებულების შესრულების პერიოდსა და სამკვიდროს შემადგენლობას, იგი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სამკვიდროს გაყოფამდე თანამემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელის ავადმყოფობის, მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები, რაც თავის მხრივ კმაყოფილდება იპოთეკისა და სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად. გამომდინარე იქიდან, რომ იპოთეკაცა და გირავნობაც კრედიტორს აძლევს უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. ჩუქების დაპირების ვალდებულება მემკვიდრეთა მიერ, ჩვენი აზრით, უნდა დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრეობით გადაღის არა მარტო მამკვიდრებლის უფლებები, არამედ მისი ვალდებულებებიც. სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე ვალდებულია დაფაროს მამკვიდრებლის ვალეები. ამავე დროს, მემკვიდრეობის სამართალი უარყოფს სამკვიდროს დამტოვებლის ვალეებისათვის განუსაზღვრელი ვალდებულების პრინციპს.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით მემკვიდრის სავალლო

პასუხისმგებლობა შეუზღუდავი უნდა ყოფილიყო, ისე როგორც ეს იყო რომის სამართალში. აქედან გამომდინარე, ქართული სამართლის მიხედვით, მემკვიდრეობის ცნებაში დაფუძნებულია უნივერსალური უფლებამონაცვლეობის პრინციპი¹. რაც შეეხება დღეს მოქმედ სამართალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა და იგი არ სცილდება სამკვიდროს ნაძვეილი ღირებულების ფარგლებს². ასეთი პასუხისმგებლობა დადგენილია მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდრო ქონების ფარგლებში. აქ იგულისხმება სამკვიდრო ქონების (მათ შორის საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების) ფულადი შეფასებაც.

კრედიტორთა დაკმაყოფილებისას აუცილებელია განისაზღვროს სამკვიდროს ღირებულება, რომლის ფარგლებშიც ხდება მათი დაკმაყოფილება. სამკვიდროს ღირებულება განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. მისი გახსნის შემდეგ ქონების გაზრდა სამკვიდროს ღირებულებაში არ ჩაითვლება და პირიქით, სამკვიდროს ღირებულებას არ გამოაკლდება ის ხარჯები, რომლებიც გასტუმრებულ უნდა იქნეს მემკვიდრეების მიერ კანო-

¹ ბ. ზოიძე, მემკვიდრეობის საეკონომიკური პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, 1991, №3, გვ. 50.

² კონტინენტური ევროპის ქვეყნები არსებითად მემკვიდრის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას უჭერენ მხარს დღესაც. მაგრამ, ამასთან, ზოგჯერ შეზღუდულ პასუხისმგებლობასაც ცნობენ. ინგლისურ-ამერიკელი სამართლის დანაწესები ამ დარგში კი რამდენადაც წააგავს მუსლიმანური სამართალით გათვალისწინებულ წესს. საქმე იმაშია, რომ მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ მთელი სამკვიდრო გადადის მისი „პირადი წარმომადგენლის“ ხელთ, რომელიც აქედან იხდის ვალებს და ამის შემდეგ რაც ღარჩება, იმას აბარებს მემკვიდრეს. ასე რომ, მემკვიდრე ვალებს ქონებას, რომელიც თავისუფალია მემკვიდრეობის ვალებისაგან. იხ. Гражданское и торговое право капиталистических государств. Учебник, ч. II, под редакцией проф. Р. П. Нарышкиной, М., 1984, гв. 295-296.

ნით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად.

მემკვიდრეთა ვალდებულება მამკვიდრებლის ვალებისათვის მხოლოდ მისი დაფარვით როდი ამოიწურება. კანონით მემკვიდრეები ვალდებული არიან შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის თაობაზე, თუ მათთვის ცნობილია გარდაცვლილის ვალების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 1487-ე მუხლი).

მემკვიდრეებზე სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობაა კრედიტორების მიერ პრეტენზიების წარდგენა კანონით დადგენილ ვალებში, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია ექვსი თვით.

მამკვიდრებლის კრედიტორებს უფლება აქვთ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში წარუდგინონ თავიანთი პრეტენზიები სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს ან ანდერძის აღმსრულებელსა და სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოს, ხოლო სადაც სანოტარო ორგანო არ არის – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ან აღძრან სარჩელი სასამართლოში სამკვიდრო ქონების მიმართ. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მემკვიდრეებს ჯერ არა აქვთ მიღებული სამკვიდრო ქონებიდან თავიანთი წილი, ხოლო ექვსთვიანი ვადა კი იწურება. პრეტენზიების წაყენება ხდება, მიუხედავად იმისა, თუ როდის დგება ამა თუ იმ მოთხოვნის ვადა.

აღნიშნული ექვსთვიანი ვადა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ მოთხოვნათა მიმართ, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის ვალდებულებებიდან გამომდინარეობს და არა მაშინ, როდესაც დაეა საკუთრების უფლებას ეხება.

კრედიტორები ვალდებულნი არიან კანონის მოთხოვნათა შე-

საბაძისად, კერძოდ კი, ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს. რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. თუ კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან. აღნიშნული წესების დაუცველობა იწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

ეს არ არის ჩვეულებრივი ხანდაზმულობის ვადა, რომლის გაგრძელებაც შეუძლია სასამართლოს პატივსაცემი მიზეზების არსებობის შემთხვევაში. ამ ვადის გაშვება სპობს იხი გაგრძელების ან შეჩერების შესაძლებლობას და აბათილებს კრედიტორების მიერ კუთვნილი მოთხოვნის უფლებას. სახლის დაგრაგვებით უზრუნველყოფილი სესხის დაფარვის ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში ბანკს, როგორც კრედიტორს (მოგირავნეს), შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება დაგრაგვებული ქონების საფასურიდან. ამ შემთხვევაში მოვალის სიკვდილი არ წყვეტს ვალდებულების შესრულების გარაოთი უზრუნველყოფის უფლებას. დაგრაგვებულ ქონებაზე საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემის, ან ამ ქონების მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება ძალას ინარჩუნებს.

მემკვიდრე, რომელიც დროულად მიიღებს კრედიტორთა პრეტენზიას. მოვალეა გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები დადგენილ ვადაში ან დაფაროს იგი ვადაზე ადრეც.

თუ მემკვიდრეთა მიერ მიღებული სამკვიდრო ქონების ღირებულება აღემატება ვალების ოდენობას, მაშინ მამკვიდრებლის დავალიანება სრული მოცულობით უნდა იქნეს დაფარული, ხოლო თუ ვალების საერთო თანხა აღემატება მემკვიდრეობით მიღებუ-

ლი ქონების ღირებულებას. მაშინ კრედიტორთა ჩოთხონა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მსოლოდ ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. ასეთ დროს, მემკვიდრემ უნდა დაამტკიცოს, რომ მამკვიდრებლის ვალები აღემატება სამკვიდროს, იმ შემთხვევის გარდა, როცა სამკვიდრო აღწერილი იყო ნოტარიუსის მიერ.

რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას თითოეული მათგანი პასუხს აგებს სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის მათ მიერ სამკვიდრო ქონებიდან მიღებული წილის ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრეობის ობიექტი განუყოფელი საგანია, მემკვიდრეები სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის პასუხს აგებენ თანაბრად.

მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

თუ მამკვიდრებელი სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

კრედიტორთა მოთხოვნაზე ანაზღაურების შესახებ დანახარჯებზე, რომლებიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით, ასევე შესაბამე პირების მოთხოვნებზე, ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობისა და მათი კუთვნილი ქონების გამოთხოვის თაობაზე, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადები. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. თუ მოთხოვნის წარმოშობა

დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე. ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განხორციელებინა ეს მოქმედება. კერძოდ, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს სამი წლის განმავლობაში, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების – ექვსი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას მამკვიდრებლის კრედიტორებს უპირატესობა აქვთ მემკვიდრის კრედიტორებთან შედარებით. უმკვიდრო ქონების ხაზინაზე გადასვლისას ხაზინა პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებზე ისეთივე წესებით, როგორც მემკვიდრე. თუ მამკვიდრებელმა ქონება თავის კრედიტორს უანდერძა, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად. კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მამკვიდრებლის არაქონებრივ უფლებებზე საუბრისას რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ იმ ზოგადი ხასიათის პირად უფლებებზე, რომელიც განხილულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში (სახელი, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ.). მართალია, ეს უფლებები არ გადადის მემკვიდრეობით, მაგრამ მემკვიდრეების მიერ (ან იმ პირების მიერ, რომელთაც მათი დაცვის ინტერესი გააჩნიათ). შესაძლებელია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება მათი სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ე.ი. ცხადია, რომ აღნიშ-

ნულ პირად უფლებათა დაცვა შეუძლიათ მემკვიდრეებს იმავე საშუალებებითა და გზებით, რაც მამკვიდრებელს ჰქონდა, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გარდა. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, მემკვიდრეების მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებების და არა გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა. ხოლო მორალური ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს მოკლებულია. ამასთან, როგორც თ. ნინიძე სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის კომენტარებისას აღნიშნავს, უსაფუძვლოდ არ უნდა ჩაითვალოს მორალური ზიანის ანაზღაურება, რომლის მოთხოვნით დაზარალებულმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე იგი გარდაიცვალა. მორალური ზიანის ფულადი საზღაური, ასეთ შემთხვევაში, სამკვიდრო მასის შემადგენელი ნაწილია¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ხასიათის უფლებათა მემკვიდრეობით გადასვლის საკითხი, რომელიც წესრიგდება არა მხოლოდ მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი პრინციპებით, არამედ იმ სპეციალური წესებით, რომლებიც თავმოყრილია მეწარმეთა შესახებ სპეციალურ კანონმდებლობაში².

სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა არ არის მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის თანმდევი მოვლენა. მას

¹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 1999, გვ. 81.

² ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბ., 1998.

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

სამეწარმეო საქმიანობის უფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა სახელმწიფოში. შესაბამისად, ამ საქმიანობის სუბიექტისათვის დამახასიათებელია თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ამავდროულად, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ მიღებულ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში განმტკიცებულია კერძო სამართლის სუბიექტთათვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული“.

მეწარმეობა ფართო ცნებაა და ამ გაგებით იგი მოიცავს ყველა იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც რეგულირდება ვალდებულთი სამართლის ნორმებით. სამეწარმეო სამართალი, მისი სპეციფიკური ხასიათის მიუხედავად, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სამართლის სხვადასხვა დარგებთან, კერძოდ: შრომის, ადმინისტრაციულ, სისხლისა და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალთან. ვინაიდან მეწარმე არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობით შექმნილი ან მიღებული ქონების მესაკუთრე, მისი უფლებაუნარიანობის ერთ-ერთი ელემენტი სწორედ მასთან დაკავშირებული მემკვიდრეობის უფლების განხორციელებაა.

სამეწარმეო საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირების მეშვეობით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი მისი განსხვავებული იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს საწარმოთა ორგა-

ნიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს:

- ა) ინდივიდუალური საწარმო;
- ბ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს.პ.ს.);
- გ) კომანდიტური საზოგადოება (კ.ს.);
- დ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს.);
- ე) სააქციო საზოგადოება (ს.ს.);
- ვ) კოოპერატივი.

აღნიშნულთაგან, თითოეულ მათგანს ახასიათებს გარკვეული თავისებურება, მათ შორის, მემკვიდრეობის საკითხებთან მიმართებაშიც.

ინდივიდუალურ საწარმოში მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით და რომლის პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობები მემკვიდრეობით გადადის მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე. კერძოდ, თუ სამკვიდროს გახსნისათვის ინდივიდუალური საწარმო შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში და მემკვიდრეები აგრძელებენ ამ საწარმოს საქმიანობას, მაშინ მემკვიდრეობის სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, ისინი პასუხს აგებენ ყველა იმ ვალდებულებისათვის, რომლებიც წარმოიშვა საწარმოს საქმიანობიდან. სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის სამართლის აღნიშნული ნორმიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, თუ სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის ვადაში მემკვიდრეები გააჩერებენ საწარმოს საქმიანობას, მაშინ მათ აღარ ეკისრებათ პასუხისმგებლობა. მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი საფირმო სახელწოდებით აგრძელებენ ისინი საქმიანობას: ინარჩუნებენ სამკვიდროს გახსნამდე არსებულ საფირმო სახელწოდე-

ბას თუ უმატებენ მას მემკვიდრეობის აღმნიშვნელ დამატებას.

განსხვავებულად არის მოწესრიგებული მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის სიკვდილი, როგორც წესი, არ იწვევს საზოგადოების შეწყვეტას, მის ლიკვიდაციას, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ საზოგადოება შედგება მხოლოდ ორი პარტნიორისაგან, გარდაცვლილ პარტნიორს არა ჰყავს მემკვიდრეები ან მისი წილი ქონება ანდერძით გადასცა სხვა პარტნიორს, საზოგადოება ექვემდებარება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლას. საზოგადოებაში ორზე მეტი წევრის ან მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში, პარტნიორის ქონება არ ექვემდებარება ანდერძით სხვა პირებზე გადაცემას, გარდაცვლილი პარტნიორის წილი ემატება სხვა დანარჩენი პარტნიორის წილს, ისე როგორც ეს შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში.

მართალია, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების მემკვიდრეები, მამკვიდრებლის (პარტნიორის) გარდაცვალების შემთხვევაში არიან კანონით ან ანდერძით გათვალისწინებული მემკვიდრეები, მაგრამ ისინი საზოგადოების წევრებად დარჩებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი პარტნიორები დათანხმდებიან მათ წინადადებას, რომ მემკვიდრეები ამ საზოგადოებაში შევიდნენ კომანდიტის სტატუსით. რადგან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემყარება სპეციალურ პირად და ქონებრივ დამოკიდებულებას პარტნიორებს შორის, ამიტომ სოლიდარული საზოგადოების პარტნიორთა მემკვიდრეებს

სხვა სტატუსით საზოგადოებაში შესვლის მოთხოვნის უფლება კანონით არ გააჩნიათ. ამასთან, კანონით დასაშვებია საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ იქნეს გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის მიღება პარტნიორადაც.

ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე სრულფასოვნად იჭერს გარდაცვლილი პარტნიორის ადგილს საზოგადოებაში არსებულ პირად და ქონებრივ უფლებრივ ურთიერთობებში.

მემკვიდრე, რომელიც საზოგადოების პარტნიორი გახდა, ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება სხვა მემკვიდრეებთან. ეს ანგარიშსწორება ხორციელდება იმავე წესით, როგორც საზოგადოებიდან პირის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში.

თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები უარს განაცხადებენ გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის საზოგადოებაში მიღებაზე კომანდიტის ან პარტნიორის სტატუსით, მაშინ მემკვიდრე უფლებამოსილია განაცხადოს საზოგადოებიდან გასვლის შესახებ, ვიდრე ეს ჩვეულებრივი წესით ხდება, სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე. აღნიშნული განცხადების გაკეთება პარტნიორის მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროს მიღებიდან სამი თვის განმავლობაში, ვიდრე საზოგადოების სხვა პარტნიორებისაგან განსაზღვრულ პასუხს მიიღებდეს. საზოგადოების ვალებზე იგი პასუხს აგებს იმ წესით, რაც მემკვიდრეს ეკისრება საანდერძო დანაკისრისათვის.

კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტის წილი განეკუთვნება სამკვიდრო ქონებას და გადადის მემკვიდრეობით. კომანდიტის წილის მემკვიდრეობით გადაცემასთან კანონით დაშვებულია გამონაკლისი, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ საზოგადოების წესდებით. კერძოდ, წილის მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებე-

ლია დამოკიდებული იყოს სხვა პარტნიორის თანხმობაზე ან პარტნიორებს ჰქონდეთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში „მეწარმეთა შესახებ“ კანონი აღიარებს პარტნიორის წილი ქონების თავისუფალი განკარგვის პრინციპს, ამავე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით (მაგალითად, სანოტარო ფორმა, დანარჩენი პარტნიორების თანხმობა და ა.შ.).

წილის გასხვისების თავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია წილის გადაცემა მემკვიდრეობით. აღნიშნული ურთიერთობა წესრიგდება მემკვიდრეობის სამართლით. პარტნიორის გარდაცვალებისას, მისი კუთვნილი წილი შედის სამკვიდრო ქონებაში და კანონის თანახმად გადადის მემკვიდრეებზე. შ.პ.ს.-ის წესდებას არ შეუძლია აკრძალოს პარტნიორთა წილის მემკვიდრეობით გადაცემა, მაგრამ საზოგადოების პარტნიორები (დამფუძნებლები) უფლებამოსილნი არიან საზოგადოების წესდების საშუალებით მოაწესრიგონ მემკვიდრეების პარტნიორებად მიღების საკითხი. პარტნიორის გარდაცვალებისას შ.პ.ს.-ში წევრობა მის მემკვიდრეებზე გადადის ისეთივე მოცულობითა და ოდენობით, როგორც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს, მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ფუნქციების შესრულების უფლება მანამ, სანამ იგი კანონით გათვალისწინებული წესითა და პირობებით მიიღებს მემკვიდრეობას. თუ მემკვიდრე რამდენიმეა, მაშინ მამკვიდრებლის წილი, მემკვიდრეობის სამართლის ნორმათა გათვალისწინებით, გადადის მათ საერთო საკუთრებაში. კანონის 46.2-ე მუხლის თანახმად, პარტნიორს უფლება აქვს შეიძინოს რამდენიმე წილი. ასეთ დროს თითოეული წილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას. წილი დამოუკიდებლობას

ინარჩუნებს მაშინაც, როდესაც რამდენიმე ან ყველა წილი მემკვიდრეობის გზით ერთი პირის ხელში გადადის.

რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, აქ აქციონერთა წილი გამოხატულია აქციებში. იგი არის სააქციო საზოგადოების წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი. კანონით გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდის გაცემა აქციათა სახით, რაც ფასიანი ქაღალდების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. შესაძლებელია აქციები გაიცეს ბარათების ფორმით (52.1-ე მუხლი). თუმცა დასაშვებია აქციათა სხვა ფორმით გამოშვებაც. აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და მასზე საკუთრების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომლის თანახმადაც დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ავალებს სახელმწიფოს, არ შელახოს საკუთრების უფლება. მისგან უნდა განვასხვაოთ აქციონერებს შორის შეთანხმება, რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს აქციის გასხვისების ან მემკვიდრეობით გადაცემის თავისუფლება. აღნიშნული შეთანხმება კერძოსამართლებრივ აქტს წარმოადგენს.

აქციონერის გარდაცვალებისას მისი კუთვნილი წილი, რომელიც გამოიხატება აქციებში, შედის სამკვიდრო ქონებაში და მასზე ვრცელდება მემკვიდრეობის სამართლის ნორმები, ანუ იგი საერთო წესით გადადის მემკვიდრეზე. აქციების მემკვიდრეობით გადასვლა ნიშნავს მემკვიდრეზე აქციონერის უფლებათა და მოვალეობათა იმ რაოდენობითა და მოცულობით გადასვლას, რაც გათვალისწინებული იყო მამკვიდრებლის წევრობით სააქციო საზოგადოებაში. ამასთან, მამკვიდრებლის პირადი უფლებები არ არის დაკავშირებული აქციების მემკვიდრეობით გადასვლასთან. მაგალითად,

თუ მამკვიდრებელი იყო სააქციო საზოგადოების ღირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აქციათა მემკვიდრეობით გადასვლა არ გელისხმობს მემკვიდრის უფლებას ღირექტორობაზე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაზე.

აქციებზე სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, ნოტარიუსი აქციებს განიხილავს, როგორც ქონებას, რომელიც ექვემდებარება შეფასებას და იგი ითვალისწინებს აქციათა ნოშინალურ ღირებულებას.

სამეწარმეო იურიდიული პირების დამფუძნებელთა უფლება მათ წილზე საკუთრებისა და მემკვიდრეობის შესახებ, კონსტიტუციური უფლებაა და მათ მიმართ ვრცელდება სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების, მაგალითად, სანივთო, ვალდებულებისა და მემკვიდრეობის სამართლის შესაბამისი ნორმები. აღნიშნული ეხება კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობებსაც. კოოპერატივის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, კოოპერატივის წევრობა, კანონით აღიარებული ზოგადი წესის თანახმად, გადადის მის მემკვიდრეებზე. თუმცა კოოპერატივის წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ გარდაცვლილი წევრის მემკვიდრის მიღება მოხდება მხოლოდ კოოპერატივის წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

კოოპერატივის წევრის სიკვდილის შემდეგ ხდება მის წილზე სამკვიდროს გახსნა. სამკვიდროს მიღება ხორციელდება (მამკვიდრებლის) გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ კოოპერატივის წევრის (მამკვიდრებლის) გარდაცვალებისას მისი წევრობა კოოპერატივში წყდება არა სამკვიდროს გახსნის დროისათვის, არამედ იმ სამეურნეო წლის ბოლოს, როცა მოხდება სამკვიდროს გახსნა¹.

¹ ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბ., 1998, გვ. 385

თუ სამკვიდროს დამტოვებელს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, ისინი უფლებამოსილნი არიან თავიანთი ხმის უფლება საეროიო კრებაზე განახორციელონ ერთი საეროიო წარმომადგენლის მეშვეობით. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში კოოპერატივის წესდებით შესაძლებელია განისაზღვროს წევრობის გადაცემა მხოლოდ ერთი მემკვიდრისათვის. ამასთან, თუ რამდენიმე მემკვიდრიდან, წესდების მიხედვით, წევრობის უფლება არ მიიღო ერთ-ერთმა განსაზღვრულ ვადებში, შესაძლებელია, წევრობის უფლებამონაცვლეობა შეწყდეს.

§ 3. სამკვიდროს გახსნა

სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად.

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში, გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

გარდაცვალებით წყდება პირის უფლებაუნარიანობა. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. თუმცა მედიკოს-მეცნიერთა ერთი ნაწილი ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტად მიიჩნევს გულის მუშაობის გაჩერებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავადმყოფის ხელოვნურად სიცოცხლის შენარჩუნება აპარატურის მეშვეობით არ წარმოადგენს სამკვიდროს გახსნის საფუძველს.

კანონი აღნიშნულ იურიდიულ ფაქტებს უკავშირებს მემკვი-

დრეობის უფლების წარმოშობასა და მის განხორციელებას. მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობები მიმართულია სამოქალაქო უფლება-მოვალეობების ერთი პირიდან (მამკვიდრებლიდან) სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) გადასვლისაკენ.

მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მემკვიდრე ხდება იმავე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომლის სუბიექტიც იყო მამკვიდრებელი.

მემკვიდრეობით ურთიერთობებში მემკვიდრეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს გახსნის დროისა და ადგილის ზუსტ განსაზღვრას.

სამკვიდროს გახსნის დრო. სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე (სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლი). ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირთა ერთ დღეს გარდაცვალებისას, სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის სიკვდილის შემდეგ, დამოუკიდებლად. აღნიშნული ეხება სხვა პირთა, და არა ერთმანეთის, მიმართ მემკვიდრეობას. აქედან გამომდინარე, ერთმანეთის მემკვიდრეები ვერ იქნებიან პირები, რომლებიც გარდაიცვალნენ ერთსა და იმავე დღეს. ასეთ დროს გარდაცვალების საათს ერთი დღის განმავლობაში იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება ერთმანეთის მიმართ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირთა გარდაცვალებას სხვადასხვა დღეს, მათ შორის თუნდაც მცირეოდენი დროით განსხვავებას, უკვე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობის გახსნის მომენტის დადგენას. მაგალითად, თუ ერთი პირი გარდაიცვალა 23 საათსა და 50

წუთზე. რაც დადასტურებულია შესაბამისი სამედიცინო ცნობით, ხოლო მეორე – 0 საათსა და 5 წუთზე, ე.ი. მეორე დღეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარდაცვალებას შორის სხვაობა სულ რაღაც 15 წუთია, ადგილი აქვს უფლებამონაცვლეობის წარმოშობას და მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ქონება პირველად გარდაცვლილ პირისაგან მემკვიდრეობით გადადის მის შემდეგ გარდაცვლილ პირზე.

ერთ დღეს გარდაცვლილად უნდა ჩაითვალოს პირები მაშინაც, როცა შეუძლებელია მათი გარდაცვალების თანმიმდევრობის ზუსტად (უდავოდ) დადგენა. ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ერთი მეორეზე ადრე გარდაიცვალა, დაუშვებელია.

ინტერესმოკლებული არ იქნება ისეთი საკითხის განხილვა, როგორც არის სასამართლოს მიერ პირთა ერთდროულად გარდაცვლილად გამოცხადება. ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები ერთ დღეს გარდაცვლილად მიიჩნევიან, თუ სასამართლომ ისინი გარდაცვლილად გამოაცხადა ისეთ გარემოებაში ყოფნის შედეგად, რაც მათ სიკვდილს უქადდა.

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე მიიჩნევა სამკვიდროს გახსნის დღედ და მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები სამკვიდროს მიიღებენ ზოგადად დადგენილი წესების შესაბამისად. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების შემთხვევაში, ამ პირსა და „მემკვიდრეებს“ შორის ურთიერთობა წესრიგდება სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით. კერძოდ, დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ის პირი, რომელ-

მაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექმნისას მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას, რომელმაც მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

სულ სხვაგვარად წყდება საკითხი მაშინ, როდესაც პირი სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა არ იწვევს მემკვიდრეობის გახსნას. ამ შემთხვევაში მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების უფლებით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მინდობილი საკუთრების უფლებით მართვის შესახებ და „მემკვიდრეებს“ აღარ აქვთ მეურნეობის სათანადოდ გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

მემკვიდრეობის გახსნის დროის ზუსტად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ მასთან დაკავშირებულია ისეთი საკითხების გარკვევა, როგორიც არის: 1) სამკვიდრო ქონების შემადგენლობა; 2) სამკვიდროს მიღებისა და უარის თქმის ვადები; 3) კრედიტორების მიერ პრეტენზიის წარდგენის ვადები; 4) მემკვიდრეებისათვის სამკვიდრო ქონებაზე

საკუთრების უფლების წარმოშობის ქომენტი; 5) სამკვიდრო მოწმობის გაცემის ვადები; 6) კანონმდებლობა, რომლითაც სათანადო ორგანოებმა (სასამართლოებმა და ნოტარიუსებმა) უნდა იხელმძღვანელონ მემკვიდრეობის საქმის განხილვისას.

ამასთან დაკავშირებით, შესაბამისმა თანამდებობის პირებმა (მოსამართლეებმა და ნოტარიუსებმა) უნდა იხელმძღვანელონ იმ კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებდა მემკვიდრეობის გახსნის და არა საქმის განხილვის დროს.

მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტი და სამკვიდროს გახსნის დრო დასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული მოწმობით. ერთმანეთის მემკვიდრე პირთა ერთდროულად გარდაცვალების შემთხვევაში (კომპორიენტები) მემკვიდრეობა იხსნება თითოეულის გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებლად.

სანოტარო პრაქტიკაში შესაძლებელია დადგეს ისეთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მემკვიდრეობის უფლების წარმოშობასთან ერთსა და იმავე დღეს გარდაცვლილ პაპა-ბებია და მის შვილიშვილებს შორის, როდესაც მათი მშობლები ცოცხლები არიან. ასეთ დროს მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით ადგილი არა აქვს, რადგან შვილიშვილების მშობლები ამ მომენტისათვის ცოცხლები არიან და მათზე ვრცელდება კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები. ასევე არ იხსნება მემკვიდრეობა მონადირძისა და მის მიერ დანიშნული მემკვიდრის ერთდროულად გარდაცვალების შემთხვევაში.

მემკვიდრეობის გახსნის დროის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას პირის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე.

პატივსადები მიზეზების არსებობისას, მემკვიდრის მიერ გარდაცვალების მოწმობის წარუდგენლობის შემთხვევაში, ნოტარიუსი უფლებამოსილია გამოითხოვოს მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებიდან (საროდან) სააქტო ჩანაწერის ასლი.

თუ გარდაცვალების მოწმობაში მითითებულია გარდაცვალების მხოლოდ წელი და თვე, მაშინ მემკვიდრეობის გახსნის დროდ მიიჩნევა მითითებული წლის ან თვის უკანასკნელი დღე.

კომლის წევრთა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება, რაც უწინარესად განპირობებულია კომლში არსებული სამკვიდრო ქონების განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის არსებობით, კერძოდ, იმ ქონებრივ ურთიერთობათა სირთულით, რაც წარმოიშობა კომლის წევრთა შორის. კომლში ადგილი აქვს საკუთრების სამ სახესხვაობას: 1) ქონება, რომელიც კომლის ყველა წევრის საერთო თანასაკუთრებას შეადგენს; 2) ქონება, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას და 3) ქონება, რომელიც განეკუთვნება კომლის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებას.

კომლის საერთო თანასაკუთრებაში შემავალ ქონებას შეადგენს:

ა) საგნები, რომლებიც შესაბამისად, მხოლოდ კომლს შეიძლება ეკუთვნოდეს;

ბ) კომლის წევრების მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი და კომლის საერთო საკუთრებაში გადაცემული ნივთები.

კომლში მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება, თუ კანონით ან საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება კომლის წევრთა ინდივიდუალურ საკუთრებას, მას განეკუთვნება კომლის წევრის შრომითი საქმიანობის შედეგად

მიღებული ხელფასი ან სხვაგვარი შემოსავალი, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება და ა.შ., თუ კომლის წევრს იგი კომლის საკუთრებად არა აქვს გადაცემული;

კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. მანამდე კი კომლის წევრების გარდაცვალებამ არ შეიძლება გამოიწვიოს მემკვიდრეობის გახსნა. კომლის წევრის გარდაცვალება ფაქტობრივად ზრდის კომლის სხვა წევრების ქონებას. კომლის ბოლო წევრის გარდაცვალება იწვევს მხოლოდ მისი კანონისმიერი მემკვიდრეების გამოწვევას სამკვიდრო ქონების მისაღებად. მასვე აქვს უფლება დატოვოს ანდერძი. რაც შეეხება კომლში მეუღლეთა თანასაკუთრებაზე მემკვიდრეობის გახსნას, ასეთს ადგილი შეიძლება ჰქონდეს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ მემკვიდრეობა იხსნება მის წილზე თანასაკუთრებაში და მემკვიდრედ ჰოიწვევიან კანონისმიერი მემკვიდრეები რიგიუბობის პრინციპის მიხედვით. ის ქონება, რომელიც კომლის თითოეულ წევრს ეკუთვნის ინდივიდუალური საკუთრების უფლებით, მემკვიდრეობით გადადის ამგვარი ქონების მიმართ კანონით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

სამკვიდროს გახსნის ადგილი. სამკვიდროს გახსნის დროსთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, სამკვიდროს ადგილსამყოფელი, ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება არა ის ადგილი, სადაც ადამიანი გარდაიცვალა, არამედ

მისი უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ამას კი გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასე მაგალითად, ქუჩაში გარდაცვლილი პირის სამკვიდროს გახსნის ადგილად ჩაითვლება არა გარდაცვალების, არამედ მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. იგივე უნდა ითქვას პატიმრობაში გარდაცვლილი პირის შესახებაც, რომლის სამკვიდროს გახსნის ადგილი იქნება არა საპატიმრო, არამედ მისი საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. აღნიშნულ მუხლში არის შინაგანი წინააღმდეგობა, რაც ვლინდება, ერთი მხრივ, ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის შერჩევასა და, მეორე მხრივ, ამ პირობებში რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შესაძლებლობაში. კერძოდ, თუ პირს აქვს უფლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან აირჩიოს „ჩვეულებრივ“ საცხოვრებელი ადგილი, მაშინ რა იგულისხმება რამდენიმე საცხოვრებელ ადგილის ცნებაში? თუ აღნიშნული მუხლი უშვებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შესაძლებლობას, საინტერესოა, რომელ მათგანს უნდა დაუკავშირდეს სამკვიდროს გახსნის ადგილის ცნება? ამავე დროს, კანონმდებელმა საცხოვრებელი ადგილისაგან განსხვავებით გაითვალისწინა სამკვიდრო ქონების რამდენიმე ადგილას ყოფნის შესაძლებლობა და განმარტა, რომ ასეთ შემთხვევებში სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების, ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი. მიგვაჩნია, რომ უფრო მართებული იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის მიერ ფრანგული, ინგლისური, რუსული და იტალიური სამართლის მსგავსად (სადაც დაიშვება მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი). პირი-

სათვის ერთი საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლების გათვალისწინება. იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდრო ქონება იმყოფება ერთ ადგილას, იმემკვიდრეობის საქმეთა წარმოება არ არის დაკავშირებული სირთულეებთან. პრობლემაურია საკითხი მაშინ, როდესაც სამკვიდრო განთავსებულია სხვადასხვა ადგილას, მაგალითად, ერთ ადგილას ბანკში შეტანილი ანაბარი, რომელიც შეიძლება ბევრად ჭარბობდეს სხვა ადგილას არსებულ სახლის ღირებულებას და ა.შ. ასეთ დროს მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენისათვის უპირატესობა ენიჭება უძრავი ქონების ადგილსამყოფელს.

მემკვიდრეობის გახსნის ადგილის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე განისაზღვროს თუ რომელ სანოტარო ბიუროს უნდა მიმართონ მემკვიდრეებმა. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში იმპერატიულად არის განსაზღვრული მემკვიდრეობის საქმის წარმოების (სამკვიდროს აღწერა, დაცვა, მართვა და ა.შ.) პირობა, კერძოდ, განსაზღვრულია, თუ ვის აქვს უფლება აწარმოოს მემკვიდრეობის საქმე.

ცნობების წარუდგენლობის ან მემკვიდრეობის გახსნის ადგილის განსაზღვრის სადავო შემთხვევებში, მემკვიდრეობის გახსნის ადგილს განსაზღვრავს სასამართლო, მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე.

მემკვიდრეობის გახსნის ადგილის საკითხის განხილვისას, ინტერესმოკლებული არ იქნება ისეთი პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, როგორც არის მამკვიდრებლის დიდი ხნით მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არყოფნა. მაგალითად, მსჯავრდებულთა ხანგრძლივი ვადით სასჯელის მოხდის ადგილებსა და შრომა-

გასწორებით კოლონიებში ყოფნა. ასეთ ადგილებში გარდაცვალება არ იწვევს მემკვიდრეობის გახსნას იმ ადგილას, რადგანაც იქ ხანგრძლივი დროის მიუხედავად ყოფნა, არ ნიშნავს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. ასეთი პირებისთვისაც მემკვიდრეობის გახსნის ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც ისინი მსჯავრის დადებამდე ცხოვრობდნენ, ხოლო, თუ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, მემკვიდრეობის გახსნის ადგილად, როგორც წესი, ჩაითვლება, ძირითადი ქონების ან მისი ნაწილის ადგილსამყოფელი. ანალოგიურად უნდა იქნეს გადაწყვეტილი საკითხი მაშინ, როდესაც საქმე ეხება პირის ხანგრძლივი დროით სასწავლებლად წასვლას სხვა ადგილას და ა.შ.

სამკვიდროს გახსნის ადგილი დასტურდება ადგილობრივი ორგანოების ან გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობით მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ხოლო თუ გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით ან სხვა დოკუმენტით სამკვიდრო ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეებს არ მოეპოვებათ აღნიშნული დოკუმენტები, ნოტარიუსი მოითხოვს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების ასლს სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ.

როგორც აღინიშნა, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ მემკვიდრეებს მამკვიდრებლის სიცოცხლეში, როგორც წესი, არა აქვთ უფლება გაასხვისონ მამკვიდრებლის ქონება (საკუთრება) იმ მოსაზრებით, რომ ის

მომავალში მაინც მათი იქნება მემკვიდრეობითი ურთიერთობებიდან გამომდინარე. მოცემული შეზღუდვა ვრცელდება მესამე პირებთან ურთიერთობებში, კერძოდ. პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია. იგივე წესი გამოიყენება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილია ანდა საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ. თუმცა კანონი (სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლი) ამ წესიდან ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევასაც, როდესაც მომავალი კანონით მემკვიდრეებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება ერთ-ერთი მათგანის კანონით სამკვიდრო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე. მაგალითად, ოჯახში დედასთან ერთად მცხოვრები და-ძმა შეთანხმდნენ იმაზე, რომ ძმა წინასწარ გადაუხდიდა დას მისი სამომავლო სამკვიდრო წილის ღირებულებას იმ მიზნით, რომ სამკვიდროს გახსნისას უარს განაცხადებდა კანონით მისთვის კუთვნილ სამკვიდრო წილზე.

თავი მესამე

მემკვიდრეობა კანონით

მოქმედი კანონმდებლობა განასხვავებს ორი სახის მემკვიდრეობას – კანონითა და ანდერძით. მათი განსხვავებული სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ექვემდებარებიან განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს.

როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობისას, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ურთიერთობებს.

კანონისმიერ მემკვიდრეობას ცხოვრებაში უფრო ხშირად აქვს ადგილი, ვიდრე ანდერძისმიერს, რაც იმით აიხსნება, რომ მოქალაქეთა უმრავლესობისათვის უფრო მისაღებია გამოყენებულ იქნეს კანონისმიერი მემკვიდრეობისათვის დადგენილი წესები. ბუნებრივია, ამდგვარი დამოკიდებულება განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეებად მოწვეული არიან ისეთი პირები, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მამკვიდრებელთან. გარდა ამისა, ადამიანის სიკვდილი, როგორც წესი, მოულოდნელია და იგი ყოველთვის ვერ ახერხებს თავის ნება კუთვნილი ქონების განკარგვის თაობაზე გამოხატოს ანდერძის მეშვეობით, დაბოლოს, არსებითი მნიშვნელობა აქვს ანდერძის შედგენის ფსიქოლოგიურ მომენტს, როცა მონდერძე ანდერძის შედგენისას ქვეცნობიერად ფიქრობს იმ ფაქტზე (გარდაცვალებაზე), რაც საფუძვლად უნდა დაედოს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის გახსნას.

კანონისმიერი მემკვიდრეობა არის კანონით განსაზღვრული სამკვიდრო ქონების გადასვლა მამკვიდრებლიდან სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე).

კანონით მემკვიდრეობას გააჩნია რთული იურიდიული შემადგენლობა, რომელშიც მამკვიდრებლის სიკვდილის ფაქტის გარდა, შედის ორი ელემენტი – უარყოფითი (ანდერძის არარსებობა) და დადებითი (იმ პირთა არსებობა, რომლებიც იძყოფებიან მამკვიდრებელთან ნათესაურ ურთიერთობაში).

მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი). კერძოდ, თუ: ა) სამკვიდროს დამტოვებელს არ დაუტოვებია ანდერძი; ბ) ანდერძის გარეშე დარჩა ქონების ნაწილი, რომელიც მემკვიდრეობის კანონისმიერი წესით უნდა იქნეს გადაცემული; გ) ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი; დ) ანდერძში აღნიშნული არიან მხოლოდ ის მემკვიდრეები, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის უფლება და არაფერია ნათქვამი სხვა მემკვიდრეებზე.

იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს განეკუთვნებიან, ამომწურავია და საკმაოდ ვრცელი, ხოლო მათი ნათესაობის ხარისხი მამკვიდრებლისადმი – განსხვავებული. ამიტომ მათი მოწვევა მემკვიდრეებად ერთდროულად არ ხდება. სამკვიდროს მისაღებად მოწვევის დროს განსაზღვრული თანამიმდევრობის დადგენის მიზნით, მამკვიდრებლისადმი ნათესაობის ხარისხის გათვალისწინებით, კანონი კანონისმიერ მემკვიდრეებს ყოფს ხუთ რიგად. წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეებს.

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები. გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესაების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ თავისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ნათესაების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხლები აღარ არიან მათი მშობლები, რომლებიც მამკვიდრებლის მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ და თანასწორად მიიღებენ იმ წილს, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ეკუთვნოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ იქნებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

მშვილებელი და მისი ნათესაები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესაებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესაებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნიან კანონით მემკვიდრეობა გაშვილებულის ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები, მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით

მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არიან მათი მშობლები, რომლებიც მამკვიდრების მემკვიდრეები იქნებოდნენ. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა როგორც დედისა ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები. ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან – მათი შვილები.

ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის ესოდენ გაფართოებამ, გამოიწვიოს მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრედ ისეთი პირის მოწვევა, რომელიც მამკვიდრებისათვის არ იყო სასურველი, უფრო მეტიც, შესაძლებელია მტრულ დამოკიდებულებაშიც კი იმყოფებოდა მასთან. მაგრამ, აღნიშნული გამონაკლისია კანონმდებლის მიერ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის გაზრდისას. ამავე დროს, აღნიშნული გამონაკლისი დასაშვებია მამკვიდრების შესაძლებლობით, თავისი ნება გამოხატოს ანდერძში.

შვილები მემკვიდრეები არიან დაქორწინებული მშობლების გარდაცვალების შემდეგ. დაუქორწინებელი მშობლების შვილები, კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან დედის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო მამის გარდაცვალების შემთხვევაში მათი მოწვევა მემკვიდრეებად ხდება იმ პირობით, თუ მამობა დადგენილია კანონით განსაზღვრული

წესით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი); მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებენ ის შვილებიც, რომლებიც დაიბადნენ შემდგომში ბათილად ცნობილი ქორწინების შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა მემკვიდრეობის უფლებას.

მშვილელების გარდაცვალების შემდეგ, ნაშვილები ბავშვები, როგორც კანონისმიერი მემკვიდრეები, არ კარგავენ უფლებას მიიღონ სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილი, თუ ქონება ანდერძითაა დატოვებული სხვა პირზე.

ნაშვილები არ მოიწვევა მემკვიდრედ თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ლეიძლი ნათესავების, აგრეთვე დაძმების გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან შეილად აყვანისას იგი კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი მშობლებისა და წარმომავალი ნათესავების მიმართ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1259-ე და 1260-ე მუხლები). გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც შეილად აყვანა ხდება ერთი პირის მიერ. ამ დროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1260-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ნაშვილები ინარჩუნებს პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს დედის სურვილით – თუ მშვილეებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით – თუ მშვილეებელი ქალია.

მშვილეებელი ისევე ღებულობს მემკვიდრეობას ნაშვილების გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც მშობელი ლეიძლი შვილის გარდაცვალების შემდეგ. ნაშვილების ლეიძლი მშობლები კარგავენ მემკვიდრეობის უფლებას მისი გარდაცვალების შემთხვევაში შეილად აყვანის ფაქტის გამო.

თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით ნაშვილები მშვილე-

ბლის ღვიძლი შვილის თანასწორუფლებიანი მეძვედრეა (სამოქალაქო კანონი, 447-ე მუხლი), თუმცა მშვილბეელი ნაშვილების მეძვედრე არ არის. ნაშვილები ინარჩუნებს თავისი ღვიძლი ოჯახის მეძვედრის უფლებასაც. თურქეთის სამოქალაქო კანონის 254-ე მუხლის თანახმად, „ნაშვილები მშვილბელის მეძვედრეა, რაც ღვიძლი მშობლების მეძვედრეობის მიღებაში მას ხელს არ შეუშლის“.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, ნაშვილები ინარჩუნებს პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს ერთ-ერთი მშობლის მიმართ. ამიტომ, თუ ბავშვის მშვილბეელი მამაკაცია, მეძვედრეობის უფლებას კარგავს ბავშვის მამა, დედა კი ინარჩუნებს ამ უფლებას და პირიქით, თუ ბავშვს იშვილებს მხოლოდ ქალი, მაშინ მეძვედრეობის მიღების უფლებას კარგავს დედა, მამა კი ინარჩუნებს ბავშვის მიმართ ყველა, მათ შორის, მეძვედრეობის უფლებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეთა შორის მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მიერ ხდება შვილად აყვანა, შვილად ამყვანის მეუღლემ წერილობით უნდა განაცხადოს შვილად აყვანაზე უარი. ასეთ შემთხვევაში ნაშვილები იძენს პირად და ქონებრივ უფლებამოვალეობებს მხოლოდ მშვილბეელი მეუღლის (მომავალში დედის ან მამის) მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ მშვილბელის გარდაცვალების შემთხვევაში, ნაშვილების მიმართ მეძვედრეობა გაიხსნება მხოლოდ მისი მშვილბეელი (დედის ან მამის) პირის სამკვიდროზე.

მეუღლე გარდაცვლილი მეუღლის მეძვედრეა, თუ იგი მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გარდაცვალების მო-

მენტაჲდე. ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლის სახელზეა რეგისტრირებული ქონება იმ წილის გარდა, რომელიც მას ერგება საერთო თანასაკუთრებიდან (თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი) როგორც მეუღლეს (თანამესაკუთრეს), კანონის ძალით, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, ღებულობს განსაზღვრულ ნაწილს გარდაცვალებული მეუღლის კუთვნილი სამკვიდროდან-აც. გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ საერთო ქონების გაყოფა, თუნდაც იგი ცოცხალი მეუღლის სახელზე იყოს რეგისტრირებული.

ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და სხვა მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონებაზე დავა გადაწყდება სასამართლო წესით. სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებულ იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან სამკვიდროს გახსნამდე ფაქტობრივად არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ მათ შორის ქორწინება კანონით დადგენილი წესით შეწყვეტილი არ არის, არ ართმევს მემკვიდრეობის უფლებას ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს. ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა, ისევე როგორც სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი ქორწინება, არ წარმოშობს მეუღლეთა შორის ურთიერთსამემკვიდრეო უფლებას. გამონაკლისი დაშვებულია იმ პირთა მიმართ, რომელთა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა წარმოიშვა 1944 წლის 8 ივლისამდე. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას მეორე მეუღლეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს მათ შორის ფაქტობრივი

საქორწინო ურთიერთობის დადასტურების მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ასეთი ფაქტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მოთხოვნა ქორწინების საეალდებულო რეგისტრაციის შესახებ არ ვრცელდება რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვით შესრულებულ ქორწინებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების შექმნამდე. ყველა ქორწინება, რაც ამ ორგანოების შექმნამდე მოხდა რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვით, სავსებით გათანაბრებულია რეგისტრირებულ ქორწინებასთან.

განქორწინების შემთხვევაში მეუღლეებს არავითარი მემკვიდრეობის უფლება არა აქვთ იმ ქონებაზე, რაც დარჩება თითოეული მათგანის გარდაცვალების შემდეგ.

მშობლები უფლებამოსილი არიან მიიღონ შვილების კუთვნილი სამკვიდრო ქონება, მათი შრომისუნარიანობისა და შვილების კმაყოფაზე ყოფნის მიუხედავად.

მამინაცვალი და დედინაცვალი არ ითვლებიან გერის მემკვიდრეებად, ისევე როგორც გერები არ ითვლებიან მამინაცვლის ან დედინაცვლის მემკვიდრეებად. დედა ყოველთვის არის გარდაცვლილი შვილის მემკვიდრე, თუ მას მშობლის უფლება არა აქვს ჩამორთმეული. რაც შეეხება მამას, იგი იმ შვილის მემკვიდრეა, რომელიც მამის მემკვიდრე იქნებოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ რომ ეცოცხლა.

შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან) თავიანთი მშობლის სიცოცხლის განმავლობაში მოწვეული არ იქნებიან მემკვიდრეებად; ისინი კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებიან მხოლოდ მაშინ, თუ

სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი (ან მშობლები), რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო (მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით). შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები თანასწორად იღებენ იმ ნაწილს, რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მათ მშობელს ერგებოდა. თუ, მაგალითად, მამკვიდრებელს დარჩა ცოლი და ვაჟი, აგრეთვე ორი ბავშვი სიკვდილამდე გარდაცვლილი ქალიშვილისაგან, მაშინ ცოლი და ვაჟი თითოეული მიიღებს სამკვიდროს $1/3$ ნაწილს, ხოლო შვილიშვილი ქალიშვილისაგან – $1/6$ ნაწილს ($1/3:2$).

და-ძმები გარდაცვლილის მეორე რიგის მემკვიდრეები არიან. აქ მნიშვნელობა არა აქვს ისინი ღვიძლი და-ძმები (დედითა და მამით ერთნი) არიან თუ არაღვიძლი (მხოლოდ დედით ან მხოლოდ მამით ერთნი). ღვიძლი და-ძმები არავითარი უპირატესობით არ სარგებლობენ ამ უკანასკნელთა მიმართ და ისინი თანასწორად მოიწვევიან მემკვიდრეებად.

კანონის ეს მოთხოვნა ხშირად ირღვევა პრაქტიკაში. მოვიყვანთ მაგალითს. გ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხის ი-ს სადავო სახლიდან გამოსახლება იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული სახლი ანდერძით მიიღო მისი დისგან მ-გან და დღეისათვის მთელი სახლი მისი საკუთრებაა. მოპასუხემ მამკვიდრებლის ძმისშვილმა ი-მ სასამართლო სხდომაზე სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ სადავო სახლში ცხოვრობდა დაბადებიდან. ამასთან, მისი თქმით, მოსარჩელეზე გაცემული ანდერძი ყალბი იყო, რადგანაც მოსარჩელის დას მძიმე ავადმყოფობის გამო არ შეეძლო ანდერძის შედგენა, რადგან იგი ქმედუნარო იყო.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს

1999 წლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე ი. გამოსახლდა სადავო სახლიდან. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ანდერძის გარეშეც „მოსარჩელე პირველი რიგის კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენდა, ხოლო მოპასუხე მომდევნო რიგისას“.

სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე პირველი რიგის მემკვიდრეა, ხოლო მოპასუხე მომდევნო რიგის, არ გამომდინარეობს კანონის განმარტებიდან. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის ძმები და დები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა (წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა). ასევე მიეკუთვნებიან მეორე რიგის მემკვიდრეებს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე არის გარდაცვლილი მამკვიდრებლის და, ხოლო მოპასუხე ი. ძმისშვილი. მისი მამა, მამკვიდრებლის ძმა, სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი არ იყო. ამდენად, კანონის თანახმად, მოსარჩელეცა და მოპასუხეც ორივე მეორე რიგის მემკვიდრეები არიან.

გარდაცვალებულის დედინაცვლის ან მამინაცვლის შვილები არ სარგებლობენ მემკვიდრეობის უფლებით, რადგანაც ნათესაებად არ ითვლებიან და ერთმანეთის მიმართ გარეშე პირებს წარმოადგენენ.

პაპა და ბებია როგორც მამის, ისე დედის მხრიდან ითვლებიან მემკვიდრეებად შვილიშვილის გარდაცვალების შემდეგ.

რაც შეეხება ბიძებს, დეიდებსა და მამიდებს, მათ კანონი მემკვიდრეებად მოიწვევს წინა რიგში ჩამოთვლილი მემკვიდრეებ-

ის არარსებობის შემთხვევაში. ბიძებში იგულისხმება არა ყველა ბიძა (როგორც ეს მიღებულია ქართული ტრადიციებით), არამედ ბიძა დედისა და მამის მხრიდან, კერძოდ, დედის ძმა და მამის ძმა.

ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი არ არიან მათი შშობლები (ბიძები, დეიდები, მამიდები).

მემკვიდრეთა ზემოაღნიშნული დიფერენციაციიდან ირკვევა, რომ არავის არა აქვს კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლება კანონში ზუსტად მითითებული პირების გარდა, თუნდაც იგი ძალიან ახლობელი და ძვირფასი ადამიანი იყოს მამკვიდრებლისათვის. ამასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის დამოკიდებულება სხვა პირების, კერძოდ, მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლებასთან. აღნიშნული კოდექსი კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს აკუთვნებდა შრომისუუნარო პირებს, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე იყვნენ არანაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე. თუ მათ გარდა სხვა მემკვიდრეებიც იყვნენ, ისინი იღებდნენ სამკვიდრო ქონების წილს იმ რიგის მემკვიდრეების თანასწორად, რომლებიც აღიარებული იყვნენ მემკვიდრეებად.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის განსაზღვრისას გამორიცხა აღნიშნული კატეგორიის პირთა მემკვიდრეებად მოწვევა, თუმცა კანონის ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, ყურადღების გარეშე არ დატოვა ისინი. კერძოდ, შრომისუუნარო პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის კმაყოფაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ, თუ მათ შესახებ ანდერძში მითითებული არ არის, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან. ამასთან, თანხის ოდენობა, რაც

გადახდილ უნდა იქნეს სარჩოს (ალიმენტის) სახით, განისაზღვრება ურთიერთობაში მონაწილეთა შეთანხმების საფუძველზე და თუ ასეთი შეთანხმება არ იქნება მიღებული, საკითხს წყვეტს სასამართლო და იგი შეიძლება შემცირდეს სამკვიდროს აქტივის მოცულობის გათვალისწინებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პრობლემურია ისეთი საკითხის გარკვევა, რომელსაც, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის. საინტერესოა, თუ რა იგულისხმება მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის სამკვიდროდან დანიშნულ ალიმენტში. კერძოდ, ალიმენტი წარმოადგენს ერთჯერად გადასახდელ თანხას მემკვიდრეების მიერ, თუ მემკვიდრეებს ევალებათ ყოველთვიურად (ან სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით) ამისათვის უფლებამოსილ პირს უხადონ სასამართლოს მიერ დადგენილი თანხა, მათ მიერ მიღებული სამკვიდროს პროპორციულად.

საშუალოდ, აღნიშნული პრობლემა ღიად არის დატოვებული როგორც სამოქალაქო, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

ვფიქრობთ, რომ არსებული ხარვეზი უნდა შეივსოს მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, იმ მიმართებით, რომ მემკვიდრეს უფლება ჰქონდეს ალიმენტის მიმღებ პირს მისცეს ერთჯერადი თანხა, სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით.

იმისათვის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1338-ე მუხლით გათვალისწინებულმა პირებმა, მოითხოვონ სამკვიდროდან სარჩო, არ არის აუცილებელი, რომ მამკვიდრებელი და კმაყოფაზე მყოფი პირი ცხოვრობდნენ ერთად. აქ მთავარია, რომ მამკვიდრებლის მიერ გაღებული ხარჯები მის კმაყოფაზე მყოფი პირისათვის რჩენის ძირითადი წყარო იყოს.

თავი მეოთხე

მემკვიდრეობა ანდერძით

ადამიანი წლების მანძილზე ხშირად უფიქრდება, თუ როგორ წარიმართება მისთვის ახლობელი ადამიანების ბედი იმ დროისათვის, როდესაც ის უკვე აღარ იქნება მათ გვერდით. ამასთან, ფიქრობს იმაზეც, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მან წინასწარ, რომ გარკვეულად შეუმსუბუქოს მათ მომავალი ცხოვრება და გამოხატოს დამსახურებული მადლიერების გრძობა ან მოინანიოს ოდესღაც უსამართლოდ მიყენებული წყენა ან ტკივილი. იგი აფასებს რა უარყოფით და დადებით დამოკიდებულებებს, პოულობს ისეთ გამოსავალს, რომელიც ყველაზე მეტი სისრულით ხორცს ისხამს ანდერძში.

ანდერძი წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას თავისი ქონების იურიდიული ბედის შესახებ მისი სიკვდილის შემთხვევაში.

მკვლევართა აზრით, ტერმინი „ანდერძი“ სპარსულიდანაა ნასესხები. იგი, მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, საშუალო სპარსულიდანაა შემოსული. სპარსულ სიტყვას „ანდარზ“, ყველა ლექსიკონი თითქმის ერთნაირად განმარტავს: „ანდარზ — ანდერძი, უკანასკნელი დანაბარები, მცირე ამბავი, ზღაპარი“. სპარსულიდან შემოსული ტერმინი „ანდარზი“ არსებითად იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებს ქართულ დიალექტებშიც, „ანდერძი“ ქართულ სამართალში შედარებით გვიან დამკვიდრებული ტერმინია. ძველად, ჩვენში გამოიყენებოდა „აღთქუმა“, რომელსაც ძირითადად ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილი სუ-

რათი რომაულ სამართალს აქვს. საქართველოში კი უფრო მეტად იგრძნობოდა ბიზანტიური სამართლის გავლენა.

ანდერძის თავისუფლება რომში ემყარებოდა განვითარებული კერძო საკუთრების ინსტიტუტს. რომის სამართალმა ყველაზე უფრო მეტად შეძლო თავი დაეღწია კოლექტივისტური შეგნებისათვის და ინდივიდუალიზმის გზას დადგომოდა.

ანდერძის შესახებ ნორმებს ვხვდებით უძველეს სამართლებლივ აქტებში. ერთ-ერთ ასეთ აქტს კაცობრიობის ისტორიაში წარმოადგენს ხამურაბის კანონები (ბაბილონი, ძვ. წ. XVIII ს. II ნახ.), რომელშიც მემკვიდრეობის ორივე სახეა ნახსენები. ამ ძეგლის მიხედვით სამკვიდროს დამტოვებელს გარდაცვალების წინ შეეძლო დაეტოვებინა წერილობითი ან ზეპირი განკარგულება ანდერძის სახით, არამემკვიდრე პირებისათვის სამკვიდრო ქონებიდან, რაიმე ნაწილის გამოყოფის შესახებ.

ანდერძისმიერ მემკვიდრეობას იცნობს მუსლიმანური სამართალიც. „ყურანი“ რამდენიმე ფრაგმენტს უთმობს მას. მაგრამ აქაც ანდერძის თავისუფლების საზღვრები გარკვეულად შეზღუდულია და მემკვიდრეობის გაბატონებულ სახედ რჩება კანონისმიერი მემკვიდრეობა. უნდა ითქვას ისიც, რომ რომაული ანდერძის თავისუფლების დონემდე არც ერთი სხვა ხალხის სამართალი არ ამალღებულა. რომის სამართალი მაინც რჩება ანდერძის თავისუფლების კლასიკურ ნიმუშად. როგორც ჩანს, ანდერძის თავისუფლებას ეკონომიკური საფუძველი გააჩნია. იქ, სადაც სუსტადაა განვითარებული კერძო საკუთრება — ეს თავისუფლებაც შეზღუდულია. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, ხომ არ უქმნის ანდერძის თავისუფლება საშიშროებას კანონისმიერ მემკვიდრეობას, რომელიც ისტორიულად ყალიბდებოდა როგორც ად-

ამიანის ბუნებითი უფლებების რეალიზაციის გზა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ანდერძის თავისუფლების ვითარებაშიც კი მემკვიდრეობითი ურთიერთობანი კანონისმიერი მემკვიდრეობის კალაპოტში მიმდინარეობს და განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ მიმართავს პიროვნება კანონით მისთვის მინიჭებული საანდერძო განკარგულების თავისუფლების პრინციპს. „ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, როგორც წესი, საკანონმდებლო ფიქციაა და სავარაუდოა, რომ მეტწილად იგი კანონისმიერი მემკვიდრეობის სუროგატს წარმოადგენდეს. იგი იშვიათად იჭრება ხოლმე კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებიდან“.¹

ქართული ანდერძის კანონიერი სახე რომაულ-ბიზანტიური სამართლის ნორმებს მისდევს.

ანდერძის განმარტებისას ივანე ჯავახიშვილი წერს: „ჩვეულებრივ, განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომაკვდავის სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად, განკუთვნილს უკანასკნელი ნების გამოცხადებას „ანდერძი“... ეწოდება“.²

იოანე ბაგრატიონის ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ანდერძი – მოკუდავის კაცისაგან ან სიტყვით დარიგება და განკარგულება სახლისა თვისისა და ანუ წერილით დატევება წიგნისა, რომელ შემდგომად სიკუდილისა მისისა, მემკვიდრეთა მისთა აღასრულონ ანდერძი მომკვდრისა მის“.³

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ანდერძი – მოკუ-

¹ ბ. ზოიძე. ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1991.

² ივანე ჯავახიშვილი. თხზულება 12 ტომად. ტომი 7, თბ., 1984, გვ. 421.

³ ლ. ქუთათელაძე. „იოანე ბაგრატიონის ქართული ლექსიკონი“, თბ., 1975, გვ. 211.

დავისაგან დარიგება (ნ. იანდერძა. ძიანდერძა, ნაანდერძევი, საანდერძო, უანდერძა)¹.

ძველ ქართულ სამართალში ანდერძით მკმკიდრეობის შესახებ ცნობები მცირეა. თუმცა შემორჩენილია რამდენიმე, მათ შორის 1123 წელს შედგენილი დავით აღმაშენებლის ანდერძი. ასევე ანდერძი გრიგოლ ქართლისა, ერისთავთ-ერისთავისა, შედგენილი 1127-1130 წლებში. მათი საშუალებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება: ძველ ქართულ ანდერძში მიითითებული უნდა ყოფილიყო მონადერძის ვინაობა სრულად, რომელიც ანდერძის შედგენის მომენტში „სიმართლესა შინა ტანისა“ და „სულითა ცნობითა“ იყო აღჭურვილი. მას აგრეთვე უნდა მიეთითებინა, რომ ანდერძი დაუწერია „თავისითა ხელითა“. საჭირო იყო ისიც, რომ ანდერძს მოწმეები ჰყოლოდა, რომელთაც ხელი უნდა მოეწერათ და საბუთი შეემოწმებინათ. ანდერძს, ისევე როგორც ბევრ სხვა დოკუმენტს, საქართველოში უმაღლეს სამღვდელეობას აძლევდნენ შესანახად, რათა მათ „კანონითა უჯუარობითა წყევითა და შეჩუენებითა“ ანდერძის დამრღვეველთაგან განემტკიცებინათ და დაეცვათ².

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოშიც იცნობდნენ ანდერძის თავისუფლებას, მაგრამ მას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, როგორც რომში. წყაროთა სიმცირის მიუხედავად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ადრეფეოდალური ხანის საქართველოში გვქონდა ანდერძის თავისუფლების გარკვეული ღონე, ზოგადად, ქართული საკანონმდებლო ძეგლები ძალზე ტუნწ ცნობებს შეიცავენ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შესახებ, თუმცა ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება — ქართული სამართალი ოდითგანვე იცნობდა ანდერძის

¹ ს.ს. ორბელიანი. „ქართული ლექსიკონი“. თბ., 1928. გვ. 480.

² ივანე ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 277.

ინსტიტუტს, რომელმაც ისეთივე ევოლუციური გზა განვლო, როგორც ანდერძმა სხვა ქვეყნებში, რა თქმა უნდა, ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

დღეს, თანამედროვე ქართულ სამართალში არსებული ანდერძი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ანდერძის თავისუფლების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც გამოხატავს მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებას.

მემკვიდრეობის სამართალი აღიარებს საანდერძო განკარგულებათა თავისუფლების პრინციპს, რომლის შესაბამისად ყოველ ადამიანს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების ჩათვლით) დაუტოვოს ანდერძით ერთ ან რამდენიმე პირს როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირსაც. მონადერძეს შეუძლია მემკვიდრეობა ანდერძით ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონისმიერ მემკვიდრეს, განუსაზღვროს მათ წილის ოდენობა თავისი შეხედულებისამებრ. მაგალითად, მონადერძეს შეუძლია მის მემკვიდრეთა რიგის მიუხედავად, თავისი ქონების 2/3 დაუტოვოს ცოლსა და ვაჟიშვილს, ხოლო 1/3 — ორ ძმას და ა.შ. მას უფლება აქვს მიუთითოს კონკრეტულად, თუ რომელი ქონება უნდა გადაეცეს ამა თუ იმ მემკვიდრეს. თუ მონადერძემ არ აღნიშნა ანდერძში თითოეული მემკვიდრის წილი, ქონება მათ შორის ნაწილდება თანაბრად, კანონით დადგენილი წესის თანახმად. მონადერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი (მათ განეკუთვნებიან აგრეთვე პირები, რომლებიც იქორწინებენ სრულწლოვანების მიღწევამდე, კანონით დადგენილი პირობების დაცვით და შეიძენენ სრულ ქმედუნარიანობას), რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია

გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება.

უფრო მეტიც, ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. მისი შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის თანახმად, მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ვიდრე უშუალოდ ამ მუხლს შეეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სპეციალურ მუხლს, რომელიც საანდერძო ქმედუნარიანობას შეეხებოდა, არ შეიცავდა. პრაქტიკაში გამოიყენებოდა ქმედუნარიანობის შესახებ ზოგადი ნორმები, რაც ანდერძთან მიმართებაში გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ამჯერად, ახალ კოდექსში გვაქვს სპეციალური ნორმა, რომელიც ბევრ სადავო საკითხს ერთმნიშვნელოვნად პასუხობს, მაგრამ მუხლის ფორმულირება გარკვეულ გაუგებრობას მაინც იწვევს.

მივეყვით თანმიმდევრობით. როგორც ვიცით, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სრულწლოვანი პირია ის, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს. ამ მუხლის 1-ლი ნაწილი გვაძლევს ქმედუნარიანობის ლეგალურ დეფინიციასაც, კერძოდ, ქმედუნარიანობა არის პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით იგი დაბადებიდანვე არ წარმოიშობა. უფრო ზუსტად კი, კონკრეტული ქვეყნის სამართალი აღჭურავს ამ უნარით იმ პირებს, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს ან

აქტო ნორმალური განსჯის უნარი და შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ მათ მიერ განხორციელებულ მოქმედებებს. ამიტომ ქმედუნარიანობა ყოველთვის დაკავშირებულია ამა თუ იმ გარემოებასთან. ასეთ სამართლებრივად მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირთა ქმედუნარიანობა, წარმოადგენს ასაკი და ჯანმრთელობა. ასაკის მიხედვით ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების ანუ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 18 წლის ასაკიდან. კანონმდებლის მიერ სრულწლოვანების კრიტერიუმად ამ ასაკის დადგენას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ 18 წლის ასაკში ფსიქიკურად ნორმალური ადამიანი, როგორც წესი, ფლობს აუცილებელ გონებრივ შესაძლებლობებს, გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და დამოუკიდებლობას, რათა თვითონ განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული მოქმედება, საკუთარი თავისა და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად, ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე. ეს კი უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ მუხლის მიხედვით საქორწინო ასაკად მიჩნეულია 18 წელი, მაგრამ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით, გამონაკლის შემთხვევაში, დაქორწინება დაიშვება 16 წლის ასაკიდან, მაგრამ ამისათვის საჭიროა მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობა. ასეთ თანხმობაზე უარის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზის არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ. კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი 16-დან 18 წლამდე

არასრულწლოვანი მოიპოვებს სრულ ქმედუნარიანობას ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და თავის უფლებებში უთანაბრდება სრულწლოვანს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ამ წესით დაქორწინებული მეუღლეები სრულწლოვანების მიღწევამდე განქორწინდებიან, ისინი ინარჩუნებენ მოპოვებულ ქმედუნარიანობას.

ანალოგიური ნორმა მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც თუკი კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით როგორც პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, „მართალია, 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არასრულწლოვანის ემანსიპაცია საწარმოს საქმიანობის სფეროში ითვალისწინებს სრულ ქმედუნარიანად მიჩნევას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა სფეროებში პირი ქმედუნაროა“¹. იქვე ავტორი სრულ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქმედუნარიანი პირი სამართლებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად მონაწილეობს. ამგვარ მოსაზრებებს ვხვდებით საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგალითად, 1996 წელს გამოცემულ რუსულენოვან სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანისათვის ქმედუნარიანობის მინიჭება ამტკიცებს იმას, რომ ამ არასრულწლოვანებს შესწევთ უნარი დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება

¹ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997. გვ. 155.

ქონებრივ ან სხვა სამოქალაქო სამართლებრივ საკითხებზე, ე.ი. მათ გონებრივი განვითარების ისეთ ღონეს მიაღწიეს, რაც ჩვეულებრივ დაკავშირებულია სრულწლოვანების დადგომასთან. ამასთან, ემანსიპაციის მიზანი, ავტორის აზრით, არის ასეთი არასრულწლოვანისათვის სრული სამოქალაქო სამართლებრივი სტატუსის მინიჭება¹.

ცხადია, სრულ სამოქალაქო ქმედუნარიანობას თანაბრად ფლობს ყველა სრულწლოვანი პირი, აგრეთვე ის არასრულწლოვანები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არიან დაქორწინებულნი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩამოთვლილ პირებს უფლება აქვთ, განახორციელონ ნებისმიერი მართლზომიერი ქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1345-ე მუხლში მოანდერძის მიმართ წაყენებული მოთხოვნა... „სრულწლოვანი“, „ქმედუნარიანი“... დაზუსტებას საჭიროებს.

კერძოდ, ჩვენი აზრით, 1345-ე მუხლში უნდა აღინიშნოს, რომ კანონით დადგენილი წესით, ქმედუნარიანობა მოპოვებულ არასრულწლოვან პირებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, ვინმესთან შეთანხმების გარეშე, გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული ქონება, ე.ი. შეუძლიათ გაყიდონ, გააჩუქონ და, რა თქმა უნდა, ანდერძით დაუტოვონ ეს ქონება მათთვის სასურველ პირებს. ეს ხარვეზი ალბათ უნდა გამოსწორდეს და 1345-ე მუხლში ძირითადი აქცენტები გადატანილ უნდა იქნეს ქმედუნარიანობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, პირდაპირ პასუხს გვაძლევს პროფესორი ა. რუბანოვი 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოანდერძე შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, მათ შორის, ისიც, ვინც საქორწინო ასაკამდე იქორწინებს და

¹ Гражданское право под ред. Ю.К. Толстого, А.П. Сергеева, часть первая. Санкт-Петербург, 1996. გვ. 92.

მოიპოვებს ქმედუნარიანობას სრული მოცულობით¹. ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს პროფესორი ი. ტოლსტოი 1999 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.

მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ემანსიპაციას, ანუ 16 წელს მიღწეული პირის მიერ სრულქმედუნარიანობის შექმნას. ეს ნორმა სპეციალური ნორმაა და მის საფუძველზე არასრულწლოვანის ემანსიპაცია ხდება მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობაში. ამ ურთიერთობის გარეთ, იგი ჩვეულებრივად შეზღუდულქმედუნარიანია. აქედან გამომდინარე, ემანსიპირებულ პირებს არა აქვთ უფლება იყვნენ მონადერძეები. სწორედ ამით განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლისაგან, რომლის თანახმად ემანსიპირებული პირი სრულქმედუნარიანი ხდება ყველა და არა მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობაში.

რაც შეეხება ქმედუნარო პირებს, ისინი, რა თქმა უნდა, მამკვიდრებლები ვერ იქნებიან, განსხვავებით კანონისმიერი მემკვიდრეობისაგან, სადაც ეს მოთხოვნა არ დგას. კანონით მემკვიდრეობისას მამკვიდრებელი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პათ შორის მცირეწლოვანი 7 წლამდე, შეზღუდულქმედუნარიანი 7-დან 18 წლამდე, აგრეთვე სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარებულიც.

ცნობილია, რომ კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი, ისე, რომ რაიმე სპეციალური აქტი ამისათვის აუცილებელი არ არის. ამიტომ მო-

¹ Рубанов А.А. „Право наследования“, М., 1978, стр. 51; Ю. Толстой, „Наследственное право“, 1999, с 27.

ქმედებს პრეზუმფცია, რომ 18 წლის ასაკს მიღწეული ყველა პირი ქმედუნარიანია. მაგრამ სამოქალაქო სამართალი ქმედუნარიანობას უკავშირებს არა მარტო ასაკს, არამედ ჯანმრთელობასაც. ჯანმრთელობაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ფიზიკური ნაკლი. პირი-ქით, ფიზიკური ნაკლი არ წარმოადგენს ქმედუნაროდ პირის ცნობის საფუძველს. ასეთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნის სამართალი, მიიჩნევს ჭკუასუსტობას ან სულის ავადმყოფობას (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხ. მე-5 ნაწ.). ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირის მიჩნევა ქმედუნაროდ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა არც ერთი სახელმწიფო ორგანო არაა უფლებამოსილი ცნოს პირი ქმედუნაროდ.

პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად ავადმყოფობის ფაქტი, თუნდაც სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული, არ არის საკმარისი პირის ქმედუნაროდ აღიარებისათვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი სრულწლოვანია თუ არასრულწლოვანი, ე.ი. ქმედუნაროდ პირის აღიარებას ამ შემთხვევაში საფუძვლად უდევს მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთი პირები, რა თქმა უნდა, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას იყვნენ მონადერძებები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფობის გამო ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია კვლავ აღიაროს პირი ქმედუნარიანად, რასაც მოჰყვება შესაბამისი შედეგები.

სამოქალაქო სამართალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედუნარიანობის ან ქმედუნარობის ცნებებით. კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში დაიშვება ქმედუნარიანობის შეზღუდვა

(სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლის I წინადადება.). ასეთ შემთხვევებს კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს: შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონეა არასრულწლოვანი 7-დან 18 წლამდე. შეზღუდულ ქმედუნარიანად მიიჩნევა ასევე სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. სასამართლოს მიერ კი, მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვანს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას და ამის გამო თავის ოჯახს აყენებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ეს უკანასკნელნი სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით უფლებამოსილნი არიან დაღონ ქონების განკარგვის გარიგება, ასევე განკარგონ ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადების გარდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში დაისვა საკითხი შეზღუდულქმედუნარიანი პირის საანდერძო განკარგულების უფლებამოსილების შესახებ. იბადება კითხვა – აქვთ თუ არა ასეთ პირებს უფლება, გააკეთონ საანდერძო განკარგულება, ანუ თავიანთი ქონება ანდერძით დაუტოვონ მათთვის სასურველ პირს ან პირებს.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიხმოთ სამოქალაქო კოდექსის მე-16 და 1345-ე მუხლები. 1345-ე მუხლით: „მონდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება“.

ინგლისის, შვეიცარიისა და აშშ-ის ზოგიერთ შტატებში ანდერძის შედგენის უფლება აქვთ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს 18 წლის, ხოლო გერმანიაში 16 წლის ასაკს. მეტად საინტერესო

წესი არსებობს საფრანგეთის კანონმდებლობაში. მაგალითად, არასრულწლოვანებს 16-18 წლამდე ანდერძი შეუძლიათ დაწერონ მხოლოდ თავიანთი ქონების ნახევარზე, ხოლო თუ მათ არ ჰყავთ მემკვიდრეები, რომლებიც განეკუთვნებიან მეექვსე ხარისხის კანონით მემკვიდრეებს, მაშინ ისინი უფლებამოსილნი არიან დატოვონ ანდერძი მთელ თავის ქონებაზე. ასევე საინტერესოა ინგლისის კანონმდებლობის დამოკიდებულება სამხედრო პირებისა და მეზღვაურების მიმართ, რომლის თანახმადაც ისინი უფლებამოსილნი არიან დაწერონ ანდერძი 14 წლის ასაკიდან.

ცხადია, მოანდერძე უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად კი, შეზღუდულქმედუნარიან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, უფლება აქვს დადოს ქონების განკარგვის გარიგება მხოლოდ მზრუნველის თანხმობით.

თუ ვიხელმძღვანელებთ იმ პრინციპით, რომ ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა მოანდერძის (მესაკუთრის) მიერ მისი ქონების განკარგვის თაობაზე, და თუ მე-16 მუხლის თანახმად, შეზღუდულქმედუნარიან პირებს შეუძლიათ ანდერძის დაწერა მზრუნველის თანხმობით, მაშინ იბადება კითხვა – ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ანდერძის პირადულ ხასიათს და, ამავე დროს, ხომ არ არღვევს იგი მისი საიდუმლოების პრინციპს. მით უმეტეს, ნორმიდან არ ირკვევა თუ უშუალოდ რაში ვლინდება მზრუნველის თანხმობა – იმაში, რომ პირმა გააკეთოს საანდერძო განკარგულება, თუ მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მზრუნველის შეხედულებაც.

აქედან გამომდინარე, მე-16 მუხლში შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ ქონების განკარგვის შესახებ გარიგების დადების შესაძლებლობა არ ითვალისწინებს მის მიერ საანდერძო განკარ-

გულუბის გაკეთების შესაძლებლობას. აღნიშნულს ცალსახად მოწმობს სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის დეფინიციაც.

რაც შეეხება საბჭოთა სამართლის დამოკიდებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით, იგი არ იყო ცალსახა. მაგალითად 1955 წელს გამოცემულ ნაშრომში, რომელიც ანდერძით მემკვიდრეობის საკითხებს ეძღვნება, აღნიშნულია, რომ 14-დან 18 წლამდე ნაწილობრივ ქმედუნარიან პირებს, მაშინ მოქმედი კანონმდებლობით უფლება ჰქონდათ საანდერძო განკარგულება გაეკეთებინა იმ ქონებაზე, რომელიც მოპოვებული იყო მათი პირადი შრომითი შემოსავლებით. თუმცა, როგორც ავტორი აღნიშნავს, პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათი ყოფილა¹.

საბჭოთა პერიოდის ბევრი ცივილისტი თვლიდა, რომ არასრულწლოვნებს საერთოდ არა აქვთ უფლება შეადგინონ ანდერძი, თუმცა არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც. კერძოდ, იმ ქონებაზე, რომელიც 15-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს შეეძლო განეკარგა მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ითვლებოდა, რომ ანდერძის შედგენა არ შეიძლებოდა, ხოლო იმ ქონებაზე, რომელთა განკარგვაც 15-დან 18 წლამდე ნაწილობრივ ქმედუნარიანს შეეძლო განეკარგა დამოუკიდებლად (ხელფასი, სტიპენდია, ავტორისა და გამომგონებლის უფლებები), შესაძლებელი იყო საანდერძო განკარგულების გაკეთება². ზოგიერთი ავტორი კი შესაძლებლად მიიჩნევდა გარიგების შესახებ ზოგადი ნორმების გამოყენებას და ანდერძის შედგენას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითაც³.

¹ З.И. Можухина „Наследование по завещанию в СССР“, М., 1955, гл. 24.

² Я.Р. Веберс. Правосубъектность граждан в советском гражданском и семейном праве. Рига, 1976 гл. 155. Иодфе О.С. Советское гражданское право. т. 3. 1. 1965. гл. 309.

³ М.Г. Прошина „Право наследования“, Минск, 1989, гл. 79.

სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარებულ პირებს კანონი შესაძლებლობას აძლევს დაიბრუნოს ანდერძის შედგენის უფლება. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, თუკი არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ პირი გარკვეული დროის შემდეგ თავს ანებებს და არ ეძალება სპირტიან სასმელებს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამასთან დაკავშირებით მას შეიძლება მიენდოს თავისი ქონებისა და ფულადი სახსრების დამოუკიდებლად განკარგვა, ასევე მაშინ, როცა შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული პირის ოჯახმა შეწყვიტა არსებობა (განქორწინება, ოჯახის გაყოფა) და, მაშასადამე, აღარ არსებობს ამ პირის ვალდებულება არჩინოს ოჯახი, სასამართლო გააუქმებს ქმედუნარიანობის შეზღუდვას, იგივე მოხდება ქმედუნაროდ აღიარებული პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ქმედუნარიანობის აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება პირზე დაწესებული მეურვეობა ან მზრუნველობა¹.

აღსანიშნავია, რომ აუცილებელია პირი ანდერძის შედგენის მომენტში იყოს ქმედუნარიანი. ქმედუნარიანობის დაკარგვა ან მისი შეზღუდვა ანდერძის შედგენის შემდეგ ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას ვერ მოახდენს. ამასთან, კანონმდებელმა გაითვალისწინა ისიც, რომ შესაძლებელია ქმედუნარიანი პირი ანდერძის შედგენის მომენტში ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, რომ ვერ შეძლოს გონივრულად გამოხატოს თავისი ნება სხვადასხვა გარემოების (მაგალითად, დიდი ფიზიკური ტკივილის, მძიმე სულიერი განცდის და ა.შ.) გამო და სწორედ ამიტომ დასჭირდა 1345-ე მუხლის ფორმულირებაში კანონმდებელს

¹ ზ. ძლიერიშვილი, „უდავო წარმოება“. თბილისი, 1998. გვ. 42.

ხაზგასმით იმის აღნიშვნა, რომ ანდერძის შედგენის მომენტში პირს უნდა შეეძლოს თავისი მოქმედების გონივრული განსჯა და თავისი ნების ნათლად გამოხატვა.

ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მეუღლეები გამოთქვამენ სურვილს, ერთობლივად შეადგინონ ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. ასეთი ანდერძი შესაძლებელია გაუქმდეს ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ აუცილებლად ორივე მეუღლის სიცოცხლეში.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაც ითვალისწინებს მსგავსი ანდერძის შედგენას. მაგალითად, ასეთი დაშვებულია გერმანიის კანონმდებლობით (მეუღლეთა მიერ ერთმანეთთან მიმართებაში), ინგლისსა და აშშ-ში. ანგლოამერიკული სამართლის მიხედვით ცნობილია ისეთი ანდერძიც, რომელიც შეიცავს რამდენიმე პირის ურთიერთვალდებულებას. საფრანგეთის კანონმდებლობა კრძალავს როგორც ერთობლივ, ისე ერთმანეთის მიმართ გარკვეული ვალდებულების წარმომშობ ანდერძებს. შვეიცარიის კანონმდებლობა კი საერთოდ არ შეიცავს არავითარი დებულებას ამ საკითხთან მიმართებაში, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ასეთი სახის ანდერძებს ბათილად ცნობს.

ანდერძით მემკვიდრეობისას, კანონისმიერი მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, მემკვიდრე შეიძლება იყოს არა მარტო ფიზიკური ან იურიდიული პირი, არამედ ხაზინაც.

რამდენადაც ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, მისი შედგენისას საჭირო არ არის იმ პირის თანხმობა, რომლის სასარგებლოდაც დგება ანდერძი. იგი არ გულისხმობს რაიმე შემხვედრი ნება-სურვილის გამოვლინებას დანიშნული მემკვიდრის მხრიდან.

ამ შემთხვევაში მემკვიდრეზეა დაპოკიდებული – მიიღოს თუ არა მემკვიდრეობა. მონადერძის ცალმხრივი მოქმედება მიმართულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენის. შეცვლის ან მოსპობისაკენ, რასაც ადგილი აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალებისას.

ქონების ნაწილზე, რომელსაც არ შეეხებია საანდერძო განკარგულება, ხორციელდება კანონით მემკვიდრეობა და გადანაწილდება კანონით მემკვიდრეთა შორის, რომელთა რიცხვში შედიან კანონით მემკვიდრეებიც, რომლებსაც ეანდერძათ ქონების ნაწილი, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, თუ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან ოთხიდან ერთერთმა ანდერძით მიიღო სამკვიდროს ნახევარი. ეს უკანასკნელი, როგორც კანონისმიერი მემკვიდრე, სამკვიდროს მეორე ნახევრის ერთ მეოთხედსაც მიიღებს.

საინტერესოა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მონადერძე ნიშნავს ორ მემკვიდრეს და თითოეულს უანდერძებს ერთ მესამედს. ე.ი. გაუნაწილებელი რჩება სამკვიდრო ქონების ერთი მესამედი. ეს უკანასკნელი განაწილდება ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე თანაბარ წილად, თუ არ არსებობენ სხვა კანონისმიერი მემკვიდრეები.

თუ არსებობენ მხოლოდ ის მემკვიდრეები, რომლებიც ანდერძით არიან დანიშნულნი, მაშინ მათი წილი თანაზომიერად გაიზრდება, თუ თითოეულ მემკვიდრეს ანდერძით განსაზღვრული აქვს თავისი წილი, მაშინ ყველას წილი არ ამოწურავს სამკვიდროს მთლიანად.

გარდა ამისა, მონადერძეს არ შეუძლია ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს წილი სამკვიდროდან და რა რაოდენობით.

თუ ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილებულია მთელი

სამკვიდრო ქონება და, ამავე დროს, ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის, კანონით მემკვიდრეობა არ წარმოიშობა და მის წილ ქონებას გაინაწილებენ ანდერძში მოხსენიებული მემკვიდრეები.

თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული მემკვიდრეთა შორის და ერთ-ერთმა ანდერძით მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ მიუთითა თუ ვის სასარგებლოდ, მაშინ მისი წილი სამკვიდრო გადავა სხვა ანდერძით მემკვიდრეებზე. აღნიშნული მოსაზრება ემყარება ანდერძის თავისუფლების პრინციპს და მიუთითებს მამკვიდრებლის მიერ კანონისმიერ მემკვიდრეთათვის სამკვიდროს არდატოვების სურვილზე.

რაც შეეხება ერთ-ერთი ანდერძისმიერი მემკვიდრის მიმართ ანდერძის ბათილად ცნობას, იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, გადადის კანონით მემკვიდრეებზე.

თუ ანდერძით დანიშნულია რამდენიმე მემკვიდრე, მაგრამ მასში განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მათგანის წილი, სხვებისა კი არა, მაშინ ისინი (ანუ სხვები) თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას. მაგრამ, შესაძლებელია, რომ ანდერძით დანიშნული იყოს რამდენიმე მემკვიდრე და მათთვის განსაზღვრული ქონება მოიცავდეს მთელ სამკვიდროს, მაშინ ყველა ანდერძისმიერმა მემკვიდრემ უნდა მიიღოს თანაბარი წილი სამკვიდროდან.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული პირობა ანდერძში პირის ზუსტად მითითების თაობაზე კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ანდერძისმიერ მემკვიდრეთა წილის ოდენობას. კერძოდ, თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ნიშნებით, რომლებიც რამდენიმე პირს შეიძლება მიუღდეს და შეუძლებელია დადგენა, თუ რომელი ჰყავდა მხედ-

ველობაში მამკვიდრებელს, მაშინ ყველა ისინი ჩაითვლებიან მემკვიდრეებად თანაბარი წილის უფლებით.

კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის გარდა, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია მემკვიდრეობის ისეთი სახე, როგორცაა უმკვიდრო ქონების მემკვიდრეობა.

უმკვიდრო ეწოდება ქონებას, თუ არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მათგანმა არ მიიღო სამკვიდრო ან როდესაც ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. ასეთი ქონება კანონის თანახმად გადადის ხაზინაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უმკვიდრო ქონებაზე უფლების ცნების განსაზღვრა. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოთქმულია ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება სამკვიდრო ქონებაზე ხაზინის (სახელმწიფოს) უფლების ცნების განსაზღვრის შესახებ. მაგალითად, პროფ. ნ. მეიერის თვალსაზრისით, სახელმწიფო უმკვიდრო ქონებას (რომელსაც ადრე მოქმედი კანონმდებლობით ეწოდებოდა ბეთალმანი ქონება) ღებულობს არა მემკვიდრეობის უფლებით, არამედ როგორც „უპატრონო“ ქონებას¹.

მსგავსი შეხედულება გამოთქვა გ. შერშენევიჩმა². მათი მოსაზრებისაგან განსხვავებით, კ. პობედონოსცევი და კ. ანენკოვი პირდაპირ და კატეგორიულად მიუთითებენ ასეთი ქონების მიღების უფლებაზე, როგორც მემკვიდრეობის უფლებაზე და კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების შეძენის ერთ-ერთ სახედ თვლიან³.

¹ Д. Н. Мейер. Русское гражданское право, 1902 г., с. 669.

² Г. Ф. Шершеневич. Учебник русского гражданского права, 1910 г., с. 109

³ К. Анненков. Система русского гражданского права, т. IV, 1902 г., с. 352-353; К. Победоносцев. Курс гражданского права, 1871, с. 286-288, 799. ანალოგიურად ფიქრობდა ქართველი მეცნიერი ს. ჯაფარიძე, რომელიც მიუთითებდა, ბეთალმანი და უპატრონო ქონების იურიდიული ბუნების განსხვავებაზე, იხ. ს. ჯაფარიძე, საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 1960, გვ. 172-175.

აღნიშნულს საფუძველად უდებენ სახელმწიფოს მიერ უმკვიდრო ქონების მემკვიდრეობით მიღებას კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობისათვის დადგენილი წესებით, და აზუსტებენ, რომ სახელმწიფო უმკვიდრო (ბეითალმან) ქონებას მიიღებდა მხოლოდ სამკვიდროს დამტოვებლის (მამკვიდრებლის) გარდაცვალების ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ის არასწორი დამოკიდებულება, რომელიც ზოგიერთ მეცნიერსა და პრაქტიკოსს გააჩნდა უმკვიდრო (ბეითალმანი) ან ე.წ. „უპატრონო“ ქონებასთან ურთიერთდამოკიდებულებაში. უმკვიდრო ქონებისაგან განსხვავებით, უპატრონოდ ითვლება: 1) ქონება, რომლის საკუთრების უფლებაზე მესაკუთრემ უარი განაცხადა; 2) ქონება, რომელიც მესაკუთრეს ჩამოერთვა სპეციალური კანონის საფუძველზე; 3) ქონება, რომლის მოთხოვნის უფლება მესაკუთრემ დაკარგა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო; 4) ნაპოვნი ქონება, რომელიც მესაკუთრემ კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში არ მოითხოვა; 5) ქონება, რომლის მესაკუთრე არ არის ცნობილი და 6) ქონება, რომლის მესაკუთრის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი¹.

ამ წესისაგან განსხვავებით ქონება, რომლის მესაკუთრე გარდაიცვალა ან კანონით დადგენილი წესით გამოცხადებულ იქნა გარდაცვლილად, და არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მათგანმა არ მიიღო სამკვიდრო ან როდესაც ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, არის უმკვიდრო ქონება და კანონის თანახმად, გადადის ხაზინაზე.

¹ Н.В. Орлова. Правовая природа выморочного имущества. В сб. „Вопросы советского гражданского права“, М., 1955. с. 117-135.

ასეთ დროს ხაზინის (სახელმწიფოს) უფლება უმკვიდრო ქონებაზე არაავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „უპატრონო“ ქონების მიღების უფლება.

უმკვიდრო ქონება ხაზინის საკუთრებაში გადადის, როგორც სამკვიდროს დამტოვებლის (მამკვიდრებლის) ქონებრივ უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა არა უმკვიდრო ქონების მიღების, არამედ მემკვიდრეობის გახსნის მომენტიდან; ხაზინა (სახელმწიფო) პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის¹.

იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი იმყოფებოდა მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელით ან სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა კმაყოფაზე, მაშინ სამკვიდრო ქონება გადადის აღნიშნული დაწესებულებების საკუთრებაში. რაც შეეხება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით არსებულ უმკვიდრო ქონებას, ის გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი).

სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება არა მემკვიდრეობის მიღების, არამედ მისი გახსნის დღიდან.

¹ როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ბეთალმანი ქონების ცნებას იცნობდა ძველი ქართული სამართალიც. როგორც ჩანს, ბეთალმანი მამულის შემთხვევაში, ვალს იხდიდა არა ბატონი, მეფე ან ეკლესია, რომელთაც ჰქონდათ მასზე უფლება, არამედ ის, ვისაც ისინი უწყალობებდნენ. სანიშნოდ გამოდგება XVIII საუკუნის „წყალობის წიგნი ანტონ I-ისა ოქუანთ დანელასა და სტეფანესადმი“. ამ საბუთიდან ჩანს, რომ უშვილოდ გარდაცვლილ გაყრილი კაცის მამული ეკლესიას დაუჭერია, როგორც ბეთალმანი. შემდგომ იგი, უწყალობებით გარდაცვლილის ბიძაშვილებისათვის, რომლებზედაც გადასულა სავალო პასუხისმგებლობაც „და თუ დღეის უკან აღექსას (გარდაცვლილის) აღებული ვალი გამოჩნდეს, ისიც თქვენვე გარდაუხალოთ. და ან ასაღები გამოჩნდეს, ისიც თქვენთვის გამოართვით“. იხილეთ ბ. ზოიძე. მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში, ჟურნალი „სამართალი“, 1991, №3-4, გვ. 50.

დაუშვებელია ხაზინის უარი სამკვიდროს მიღებაზე.

ანდერძის თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, უფლებამოსილია მონადერძე ანდერძის საშუალებით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს მოტივი. თუ პირს ასეთი გზით ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობა, იგი კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რაც ანდერძში არ შესულა, ასევე მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. ის მემკვიდრეები, რომლებიც განეკუთვნებიან კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს და მითითებული არ არიან ანდერძში, მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებენ სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც არ შეხება ანდერძი.

როდესაც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ანდერძისმიერი მემკვიდრეები ცოცხლები არ არიან, ან ყოველმა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ზემოაღნიშნული კანონისმიერი მემკვიდრეები აგრეთვე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც.

რაც შეეხება ანდერძის ობიექტს, იგი უნდა იყოს მონადერძის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აგრეთვე კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული პირებზე, რომლებიც ანდერძით მიიღებენ ქონებას. მაგალითად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ასეთ პირებს განეკუთვნებიან უნივერსალური უფლებამონაცვლე მემკვიდრეები, რომლებზედაც მემკვიდრეობით გადადის მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები და სინგულარული უფლებამონაცვლე მემკვიდრეები (ლეგატები), რომლებიც სამკვიდრო ქონების მიმართ იძენენ მხოლოდ განსაზღვრულ ქონებრივ უფლებებს.

უნივერსალურ ლეგატში იგულისხმება ისეთი საანდერძო გან-

კარგულება, რომლის საშუალებითაც მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა გადადის ერთ ან რამდენიმე პირზე. უნივერსალური ტიტულის ლეგატის ძალით ხორციელდება სამკვიდრო ქონების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის გადასვლა (მაგალითად, ნახევარი, მეოთხედი და ა.შ.). უნივერსალური ლეგატარები, ისე როგორც უნივერსალური ტიტულს განკუთვნილი ლეგატარები, პასუხს აგებენ მამკვიდრებლის ვალებისათვის. სინგულარულ ლეგატარებს თავის საგნად გააჩნიათ მხოლოდ ცალკეული ქონებრივი უფლებები, ანუ არიან ლეგატარები ამ სიტყვის ვიწრო გაგებით.

§ 1. ანდერძის ფორმა

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს. ამასთან, ძველისაგან განსხვავებით, ანდერძი შეიძლება იყოს ორი სახის: ა) სანოტარო წესით დადასტურებული და 2) სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. თვით სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს როგორც მოანდერძის მიერ, ასევე ნოტარიუსის მიერ მოანდერძის კარნახით.

სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძის ერთ-ერთი სახეა, როდესაც მოანდერძე თვითონ ადგენს ანდერძის ტექსტს და მიაქვს იგი ნოტარიუსთან დასადასტურებლად, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირთან, აღნიშნული სახის ანდერძი ხელმოწერილი უნდა იყოს თვით მოანდერძის მიერ. ასეთ დროს ანდერძის დადასტურებისას ორი მოწმის დასწრება კანონით გათვალისწინებული არ არის.

სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძის მეორე სახეს

წარმოადგენს ანდერძი, რომელსაც მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და ორი მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი. ანდერძის შედგენა შესაძლებელია საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებითაც (მუხლი 1358-ე). ასეთ შემთხვევაშიც ორი მოწმის დასწრება სავალდებულოა. მოწმეთა დასწრება ანდერძის შედგენისას უნდა დადასტურდეს მათ მიერ ხელის მოწერით სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის განკუთვნილ ჟურნალში – ე.წ. რეესტრში. ასეთი ანდერძის შედგენისას, როგორც წესი, მოწმეები არ ეცნობიან ანდერძის შინაარსს, არამედ ადასტურებენ, რომ ანდერძზე ხელის მოწერა ხდება ნამდვილად მოანდერძის მიერ.

თუ მოანდერძე რაიმე ობიექტური მიზეზით თვითონ ვერ აწერს ხელს ანდერძს, შეიძლება მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა, ამასთან, ნოტარიუსმა უნდა აღნიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. ასეთებს განეკუთვნებიან ყრუ, მუნჯი, ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარი და ბრმა მოანდერძეები, რომლებმაც საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთონ ნოტარიუსთან ორი მოწმისა (ბრმებისათვის სამი მოწმის) და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გაავებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით. ჩამწერი და წამკითხველი შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი არ შეიძლება იყოს წამკითხველი.

ნოტარიუსის მიერ გაკეთებულ ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა ანდერძის შინაარსი მოანდერძეს; ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

ანდერძის მოწმეებად არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვანები, ქმედუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესაები დამავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიძღვნილი (ლეგატარი). შესაბამისად, მოწმეებს განემარტებათ სამოქალაქო კოდექსის 1362-1363-ე მუხლები, რაც, თავის მხრივ, ასახვას პოვებს ანდერძზე გაკეთებულ დამადასტურებელ წარწერაში. ნოტარიუსს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც შეეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას. ანდერძის შედგენისა და მის შინაარსის საიდუმლოების გამჟღავნება იწვევს ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების განმახორციელებელ უფლებამოსილი პირების, ასევე სხვა პირების, რომლებმაც იცოდნენ ანდერძის შედგენის ფაქტი ანდა მისი შინაარსი, მოქმედი კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ნოტარიუსი და მოწმეები მოანდერძის სურვილისა და „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით დადგენილ შემთხვევაში, შესაძლებელია გათავისუფლდნენ საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან. მოქალაქეს, რომელსაც უანდერძებენ ქონებას, უფლება არა აქვს დაესწროს ანდერძის შედგენას და ხელი მოაწეროს მას მოანდერძის მაგიერ, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას თვით მოანდერძე ითხოვს. ასეთ დროს ანდერძის ორივე ვგზემპლარზე კეთდება აღნიშვნა მოანდერძის თხოვნის შესახებ, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს მოანდერძისა (ან მისი დავალებით ანდერძზე ხელის მომწერი პირის) და ნოტარიუსის ხელმოწერითა და ნოტარიუსის ბეჭდით.

ანდერძის დადასტურება წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშ-

ვება. ამასთან, ანდერძზე მონადერძის თხოვნით სხვა პირის მიერ ხელის მოწერა არ არის წარმოჩადგენლობის გათვალისწინებით მოქმედება.

არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქე ფიზიკურად მოკლებულია შესაძლებლობას მივიდეს ნოტარიუსთან. კანონმდებელმა გაითვალისწინა ყოველივე და განსაზღვრა იმ პირთა წრე, რომელთა მიერ დადასტურებული ანდერძიც გათანაბრებულია სანოტარო წესით დადასტურებულ ანდერძთან. ასეთებს განეკუთვნებიან:

– საავადმყოფოს, პოსპიტლის, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მონადერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

– საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მონადერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება.

– გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მონადერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

– სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მონადერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

– თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მონადერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

კანონმა „ნოტარიატის შესახებ“ გააფართოვა ზემოაღნიშნულ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ დაადასტურონ ანდერძი. ასეთებს განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობისა და

საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირები (მუხლი 42-43-ე და 44-ე).

აღნიშნულ პირთა ჩამოთვლა, რომელთაც აქვთ ანდერძის დადასტურების უფლება, ამომწურავია და არ ექვემდებარება გაფართოებას.

რაც შეეხება სანოტარო წესით დადასტურების გარეშე შედგენილ ანდერძს, მას განეკუთვნება შინაურული და დასაქმებული, ანდერძი.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია მითითებული „ანდერძი, რომლის შედგენა ხდება ნოტარიუსის (ან სხვა შესაბამისი თანამდებობის პირის) მონაწილეობის გარეშე, უფრო ნაკლებ ნდობას იმსახურებს. ამიტომ კანონი ასეთ ანდერძებს მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უყენებს“¹. ვიდრე ამ მოთხოვნებზე ვისაუბრებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა სამართალი საერთოდ არ ცნობდა ნოტარიალურად დაუმოწმებელ ანდერძებს, ასეთი ანდერძები ითვლებოდა ფორმის დაუცველად შედგენილად და, აქედან გამომდინარე, ბათილად². ასევეა ეს საკითხი გადაწყვეტილი რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით³. ასეთი მიდგომა რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული და ალბათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა, როდესაც გაითვალისწინეს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის პრაქტიკა და შესაძლებლობა მისცეს მოქალაქეებს შეადგინონ ანდერძი ნოტარიუსის (და კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული პირების) მონაწილეობის გარეშე.

¹ ზ. ახვლედიანი, „მემკვიდრეობის სამართალი“. თბილისი, 1997, გვ. 32.

² Е. В. Эйдинова, „Наследование по закону и завещанию“. Москва, 1984, стр. 79.

³ Гражданский кодекс РФ. Москва, 1996.

შინაურულ ანდერძთან მიმართებაში უნდა განვასხვაოთ მოანდერძის მიერ თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი, რომელიც ინახება მოანდერძესთან (მუხლი 1364-ე) და მოანდერძის ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი, რომელიც დალუქული კონვერტით (სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით), გადაეცემა ნოტარიუსს ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირს შესანახად.

ასეთი სახის ანდერძის შენახვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი ოფიციალური დეპონირებით ნოტარიუსთან ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთან (მუხლი 1365-ე).

ჩვენი აზრით, ასეთ დროს სამი მოწმე ადასტურებს მხოლოდ კონვერტის გადაცემას ნოტარიუსისათვის, ან სხვა თანამდებობის პირისათვის ისე, რომ არ ეცნობიან მის შინაარსს.

როგორც ირკვევა, ანდერძი, რომელიც შესანახად გადაეცემა ნოტარიუსს ან შესაბამის თანამდებობის პირს, არის 1364-ე მუხლით გათვალისწინებული შინაურული ანდერძის ერთ-ერთი სახე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ შინაურული ანდერძის ეს სახეც განთავსდებოდა 1364-ე მუხლში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებრობას იწვევს 1365-ე მუხლში გადმოცემული ანდერძის სახე და არ არის გამორიცხული, რომ იგი მიჩნეულ იქნეს შინაურული ანდერძისაგან განსხვავებულ ანდერძის სახედ, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ სირთულეებს შექმნის სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში.

შინაურული, ანუ როგორც მას იურიდიულ ლიტერატურაში უწოდებენ, „საკუთარი ხელით დაწერილი“ ანდერძის ფორმა გვხვდება მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, მაგალითად, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია, აშშ-ს უმრავლესი შტატი. სამო-

ქალაქო კოდექსის 1365-ე მუხლით გათვალისწინებული შინაური ანდერძის სახეს კი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ანდერძის დამოუკიდებელ ფორმად (იიჩნევს, რომელსაც „საიდუმლო ანდერძი“ ეწოდება (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, იტალია, იაპონია).

რაც შეეხება დახურულ ანდერძს, როგორც აღვნიშნეთ, იგი არის სანოტარო წესით დადასტურების გარეშე ანდერძის ერთ-ერთი სახე. სამოქალაქო კოდექსის 1367-ე მუხლის თანახმად, „მოანდერძის სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს – „დახურული ანდერძი“. ამ შემთხვევაში მოწმეები უნდა ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას.

დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

კანონით მოანდერძეს მინიჭებული აქვს უფლება ანდერძის შედგენისას გამოიყენოს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები. დახურული ანდერძის შედგენის დროს მათი გამოყენებისას აუცილებელია ორი მოწმის თანდასწრება, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებითა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნული მუხლის მეცნიერული ანალიზი ბადებს კითხვას – თუ რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს მოწმეთა მონაწილეობას დახურული ანდერძის შედგენისას. მუხლის დეფინიციაში მოცემული სიტყვები „მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ“ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას გარკვეულ პირთათვის მისი დადასტურების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

ასეთ დროს მოწმეები უნდა დაესწრონ მხოლოდ ანდერძის

შედგენას და მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მოანდერძის მიერ, მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

მიგვაჩნია, რომ დახურული ანდერძის შედგენის დროს მოწმეების უფლებამოსილება გამოიხატება არა ანდერძის, არამედ მოანდერძის მიერ ანდერძის შედგენის ფაქტის დადასტურებაში. ამიტომ მუხლის ეს უზუსტობა, ვფიქრობთ, მოითხოვს შესაბამის შესწორებას.

ანდერძის ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორცაა „დახურული ანდერძი“ ცნობილია აშშ-სა და ინგლისის კანონმდებლობისთვის, სადაც იგი განსხვავებულ სახელწოდებას ატარებს და ეწოდება „ანდერძი დადასტურებული მოწმეებით“, მაგალითად, ინგლისში კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, კანონი ითვალისწინებს ანდერძის მხოლოდ ამ ძირითად ფორმას, რაც მამკვიდრებელს არ უტოვებს არჩევანის თავისუფლებას. 1837 წლის კანონის 9-ე მუხლის თანახმად, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი უნდა იყოს მამკვიდრებლის მიერ (ან მისი მითითებით სხვა პირის მიერ) და დადასტურებული არანაკლებ ორი მოწმის მიერ მისივე თანდასწრებით. საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძისაგან განსხვავებით, ინგლისური კანონი არ მოითხოვს, რომ ანდერძი დაწერილი იყოს თავად მოანდერძის მიერ. ანდერძი მოანდერძის მაგივრად შეიძლება დაწეროს სხვა პირმა. დაბეჭდოს საბეჭდ მანქანაზე. დაშვებულია ანდერძის შედგენა ერთდროულად როგორც ხელით, ისე ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანდერძის ეს ფორმა მეტად გავრცელებულია. იურიდიულ ლიტერატურაში მას უფრო ხშირად ანდერძის ჩვეულებრივ ფორმას უწოდებენ.

შინაურულ ანდერძს, ჩვენი აზრით, გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პირველს განეკუთვნება ანდერძის გაყალბების შეუძლებლობა, აგრეთვე ის, რომ ასეთი სახის ანდერძით მონადერძის ნების საიდუმლოება უკეთ არის უზრუნველყოფილი. ამავე დროს, მას შესაძლებლობა აქვს გარკვეული ხარჯების (ტრანსპორტის, ნოტარიუსთან ან სხვა თანამდებობის პირთან გადასახდელი და ა.შ.) გაღების გარეშე თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება მისი ქონების ბედის თაობაზე.

მისი უარყოფითი მხარე კი ვლინდება იმაში, რომ ნოტარიუსთან ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გასაცემად წარდგენილი ანდერძი ხშირ შემთხვევაში, დღის წესრიგში დააყენებს მნიშვნელოვან საკითხს, რომ ანდერძი ნამდვილად შედგენილია მონადერძის მიერ თავისი სურვილით.

ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი სახის ანდერძი შედგენილი იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით. გარდა ამისა, როგორც წესი, ანდერძს ადგენს პირი, ემოციური მდგომარეობისა და გარკვეული სახის აფექტის ქვეშ, რაც ანდერძის შედგენისას არ გამორიცხავს მის არასწორ დამოკიდებულებას კანონის მოთხოვნებთან. მით უმეტეს, რომ ასეთ დროს პირისათვის, რომელიც მარტოა თავის თავთან, ნოტარიუსის გარეშე ძნელი გასათვალისწინებელია იმ პირობების დაცვა, რაც ანდერძისათვის აუცილებელია და შემდგომში შეიძლება საფუძვლად დაედოს ანდერძის ბათილობას.

მაგრამ ეს უარყოფითი მხარეები, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი საფუძველი, რომ პირს შევუზღუდოთ ანდერძის შედგენის თავისუფლება ნოტარიუსის ან სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე. მართლაც, როდესაც პირი ადგენს ნოტარი-

აღურ ანდერძს, იგი დარწმუნებულია, რომ დაცულია მისი იურიდიული ფორმა და სხვა კანონიერი მოთხოვნები და ამ მხრივ შედარებით უფრო ნაკლებია საფრთხე მოანდერძის ნების განუხორციელებლობისა, მაგრამ ხომ შეიძლება რომ ამ პირთა სამართლებრივი დახმარების გარეშეც პირმა დაიცვას კანონის მოთხოვნები და ცალკეული ცხოვრებისეული სიტუაციიდან გამომდინარე, მას არ ჰქონდეს შესაძლებლობა ან სურვილი საანდერძო განკარგულების გასაკეთებლად მიმართოს ნოტარიუსს. მართალია, ანდერძის დადასტურებისათვის გასაწევი ხარჯები არ არის იმდენად დიდი, რომ ბევრმა ვერ შეძლოს მისი გადახდა (საქართველოს კანონით „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ ანდერძის დადასტურებისათვის საზღაურად აღგენს 9 ლარს), მაგრამ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მართლაც შეიძლება არც იყოს აუცილებელი თუნდაც ამ თანხის გადახდა. ამდენად, კანონმდებელი სწორად მოიქცა, როცა გააფართოა ანდერძის სახეები და მიანიჭა უფლება მოქალაქეებს შეადგინონ ანდერძი ნოტარიუსის მონაწილეობის გარეშეც და დაუტოვა მათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ანდერძის სახეებს შორის, მით უმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი დაშვებულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ანალოგიური სახის ანდერძების შედგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის ზოგიერთი კანტონის კანონმდებლობა და ა.შ.

ანდერძის სახეთა ანალიზის შედეგად აშკარად ვლინდება სხვაობა შინაურულ და დახურულ ანდერძს შორის. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ შინაურული ანდერძის დროს მის შედგენასა და მოანდერძის ხელის მოწერას არ სჭირდება მოწმეთა დასწრება. ამავე დროს, იგი აუცილებლად დაწერილი უნდა იყოს მოანდერძის ხელით. რაც შეეხება დახურულ

ანდერძს, შესაძლებელია იგი შედგენილ იქნეს როგორც მოანდერძის ხელით უშუალოდ, ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენებითაც. მისი შედგენისას ჩოწმეთა დასწრება აუცილებელია. სხვაობის მიუხედავად მათ შორის საერთოც არის, კერძოდ, არც ერთ მათგანს არ სჭირდება სანოტარო წესით დადასტურება.

ანალოგიური სახის ანდერძის შედგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგალითად, საფრანგეთისა და შვეიცარიის ზოგიერთი კანტონის კანონმდებლობა. რაც შეეხება ინგლისის კანონმდებლობას, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობისაგან განსხვავებით, იგი უშვებს ანდერძის შედგენას როგორც თვითონ მოანდერძის მიერ, ასევე სხვა პირის მიერ და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ანდერძის ნამდვილობისათვის კანონი ერთ-ერთ პირობად მიუთითებს მისი შედგენის თარიღზე. აღნიშნული ეხება შინაურულ ანდერძსაც. არ არის გამორიცხული, რომ მოანდერძის მიერ შედგენილ იქნეს რამდენიმე შინაურული ანდერძი (რომელიც არ ეკრძალება მოანდერძეს) და მათზე მითითებულ არ იქნეს თარიღი. ასეთ შემთხვევაში თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის შეცვლის ან გაუქმებისას, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვი (მუხლი 1368-ე).

როგორც წესი, ანდერძის დადასტურება ხდება სანოტარო ბიუროში. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეს ავადმყოფობის ან სხვა პატივისადები მიზეზების გამო არ შეუძლია სანოტარო ბიუროში მისვლა, ნოტარიუსი უფლებამოსილია დაადასტუროს იგი მოანდერძის სახლში, საავადმყოფოში ან სასტუმრო-

ში. ამასთან, ნოტარიუსი მიუთითებს იმ მისამართზე, სადაც დადასტურებულ იქნა ანდერძი. ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს ამ სანოტარო მოქმედებას, პასპორტით ან მისი შემცველი დოკუმენტის მიხედვით დაადგენს მოანდერძის ვინაობას. თუ პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის. უნდა შემოწმდეს აგრეთვე მოანდერძის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. როდესაც ანდერძის ტექსტის შედგენა ხდება ნოტარიუსის მონაწილეობით, იგი ვალდებულია მოანდერძეს გააცნოს კანონმდებლობა მემკვიდრეობის შესახებ, გამოჰკითხოს მოანდერძეს მემკვიდრეთა შესახებ და დაადგინოს მისი ნამდვილი ნება. მან ასევე უნდა განუმარტოს მოანდერძეს, რომ შეიძლება მემკვიდრეებს გადაეცეს მხოლოდ ის ქონება, რომლებიც იმყოფება მის საკუთრებაში. ასევე გააცნოს სავალდებულო წილის შესახებ ნორმები და სხვა. თუმცა ნოტარიუსი არ არის ვალდებული მოანდერძეს მოსთხოვოს ზემოთ აღნიშნული გამოკითხვის შედეგად მიღებული ცნობების დოკუმენტური დადასტურება. ეს გამოწვეულია იმით, რომ როგორც ცნობილია, ანდერძის აღსრულების საკითხი წყდება სამკვიდროს გახსნის და არა ანდერძის შედგენის მომენტში, ხოლო ამ შუალედში, ანდერძის შედგენიდან სამკვიდროს გახსნამდე, შესაძლებელია შეიცვალოს მოანდერძის საკუთრებაში არსებული ქონების მოცულობა და ასევე მემკვიდრეთა წრეც. ამდენად, ნოტარიუსს არ შეუძლია უარი უთხრას მოანდერძეს ანდერძის დადასტურებაზე გარეშე პირების სასარგებლოდ, იმის მიუხედავად, რომ არსებობენ კანონისმიერი მემკვიდრეები, მაგრამ ნოტარიუსი ვალდებულია მოანდერძეს მიუთითოს იმ საანდერძო განკარგულებებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან

კანონს. თუკი მოანდერძე არ თანხმდება ასეთი განკარგულების შეცვლაზე, მისი კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ნოტარიუსმა უარი უნდა განაცხადოს ასეთი ანდერძის დადასტურებაზე. გარდა ამისა, ნოტარიუსსა და მასთან გათანაბრებულ პირებს შეუძლიათ უარი უთხრან პირს ანდერძის დადასტურებაზე, თუკი მოანდერძე არ არის უფლებაუნარიანი ან ქმედუნარიანი, ან თხოვნა ამ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა (ნოტარიუსის შესახებ კანონის მუხლი 54-ე). ნოტარიუსმა უარის თქმის შემდეგ არა უგვიანეს სამი დღისა მოანდერძეს უნდა მისცეს წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც დასაბუთებულ იქნება უარის თქმის მიზეზი და განუმარტოს მისი სასამართლოში გასაჩივრების წესი.

მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ნოტარიუსი ანდერძის შინაარსის გასაცნობად ნიშნავს დღეს და აცნობს მას დაინტერესებულ პირებს. აღნიშნულის თაობაზე იგი ადგენს ოქმს.

თუ ანდერძი დალუქული კონვერტით გადაცემული იყო ნოტარიუსისათვის შესანახად, მაშინ ოქმში უნდა აღინიშნოს ლუქის მთლიანობის შესახებ.

მოანდერძე ანდერძის შედგენისას უფლებამოსილია ანდერძში მიუთითოს სხვა მემკვიდრე იმ შემთხვევისათვის, თუ ანდერძში მითითებული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, არ მიიღებს სამკვიდროს ან ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. ასეთ მემკვიდრეს ეწოდება სათადარიგო მემკვიდრე. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც კანონით დადგენილი პირობების შემთხვევაში შეიძლება იყოს მემკვიდრე.

ანდერძით მემკვიდრედ დანიშნულ პირს არა აქვს უფლება

უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე არამემკვიდრის მემკვიდრედ აღნიშნული პირის სასარგებლოდ.

ძირითადი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმაში იგულისხმება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა საერთოდ და არა რომელიმე მემკვიდრის სასარგებლოდ¹.

სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი შეივსება ორ ეგზემპლარად. ერთი ეძლევა მონადერძეს, მეორე კი რჩება სანოტარო ბიუროში.

„ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი ტარდება რეესტრში და აღირიცხება სანოტარო ბიუროში არსებული ანდერძის აღრიცხვის ანბანურ დავთარში. ანდერძის აღრიცხვის ალფაბეტურ დავთარში აღირიცხება აგრეთვე ნოტარიუსისათვის შესანახად გადაცემული შინაურული ანდერძები და ის ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 42-43-44-ე და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1359-ე მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირების მიერ.

თუ ნოტარიუსმა მიიღო განცხადება დადასტურებული ანდერძის გაუქმების შესახებ ან ახალი ანდერძი, რომელიც აუქმებს ან ცვლის ადრე დადასტურებულ ანდერძს, იგი ამის თაობაზე აღნიშვნას აკეთებს სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო ჟურნალში – რეესტრში, ანდერძის ანბანურ დავთარში და ანდერძის იმ ეგზემპლარზე, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში. თუ მონადერძე წარმოადგენს მის ხელთ არსებულ ეგზემპლარს, აღნიშვნა ანდერძის გაუქმების შესახებ კეთდება ამ ეგზემპლარზეც, რის შემდეგ იგი

¹ ზ. ახვლედიანი, „მემკვიდრეობის სამართალი“. თბ., 1997, გვ. 34.

განცხადებასთან ერთად (თუ ანდერძი გაუქმებულია განცხადებით) თან ერთვის სანოტარო ბიუროში შენახულ ეგზემპლარს. ანდერძის გაუქმების შესახებ განცხადებაზე ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. თუ ანდერძი დადასტურებულია სხვა სანოტარო ბიუროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საკონსულოში, მონადერძე ან ნოტარიუსი სანოტარო წესით დადასტურებულ განცხადებას მისი გაუქმების შესახებ უგზავნის ანდერძის დამადასტურებელ ნოტარიუსს (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საკონსულოს) ან მონადერძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მომუშავე ნოტარიუსს, რომელსაც „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის „ბ“ და „ვ“ პუნქტების შესასრულებლად გამოყოფილი აქვს სამუშაო უბანი, სადაც თავს იყრის აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირების მიერ დადასტურებული ანდერძები¹.

ცნობა ანდერძის არსებობის ან მისი შინაარსის შესახებ გაიცემა მხოლოდ მონადერძის სიკვდილის შემდეგ მისი სიკვდილის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

რაც შეეხება ანდერძის შენახვას, სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი ინახება ნოტარიუსთან. სხვა ანდერძი (შინაურული ან დახურული) კი მონადერძის სურვილისამებრ შეიძლება შენახულ იქნეს სახლში, ცეცხლგამძლე კარადაში ან გადაეცეს შესანახად ნაცნობსა თუ მეგობარს. ანდერძის ასეთ შენახვას თან სდევს მისი დაკარგვის, დაღუპვის, დოკუმენტების გაფუჭების რისკი. ამიტომ ასეთი საზრუნავისაგან განთავისუფლების მიზნით

¹ იხ. ინსტრუქცია „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“, 1998, პუნქტი 74-75.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია რეკომენდაცია, რომ უმჯობესია ანდერძი (დალუქული კონვერტით) შესანახად მიენდოს ნოტარიუსს¹.

ანდერძის ფორმების განხილვისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუ ანდერძის შედგენისას, საქმე გვექნება ისეთ ურთიერთობებთან, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს საერთაშორისო სამართლით, უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო კერძო სამართლის ზოგადი ნორმები, კერძოდ, ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, ან სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან სადაც იმყოფება უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი.

ენას, როგორც ნების გამოვლენის საშუალებას, თანამედროვე სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ კანონში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული თუ რომელ ენაზე უნდა გაფორმდეს ანდერძი. ამდენად, რა თქმა უნდა, დასაშვებია მისი შედგენა ნებისმიერ ენაზე, რომელიც მოანდერძემ იცის. განსაკუთრებით ეს ეხება შინაურულ და დახურულ ანდერძებს. სანოტარო ანდერძი კი, ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, როცა ანდერძის ჩაწერა ხდება ნოტარიუსის მიერ, მოანდერძის კარნახითა და თარჯიმნის მონაწილეობით, რადგან ნოტარიუსმა არ იცის მოანდერძის ენა), შესაძლებელია შედგენილ იქნეს იმ ენაზე, რომელიც მოანდერძემ არ იცის, ასეთ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური წესები. კერძოდ, თუ მოანდერძემ არ იცის ენა, რომელზედაც შედგენილია ანდერძი, ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებული

¹ ზ. ახელელიანი, „მემკვიდრეობის სამართალი“, თბ., 1997, გვ. 33.

ლია ზეპირად უთარგმნოს მონადერძეს ანდერძის შინაარსი თვითონ ან თარჯიმნის მეშვეობით, რის შესახებაც ანდერძში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. ამის შემდეგ მონადერძემ ხელი უნდა მოაწეროს ანდერძს მისთვის გასაგებ ენაზე, ხოლო შემდეგ იმ პირმა ვინც გადაუთარგმნა მას ანდერძის შინაარსი (ნოტარიუსი ან თარჯიმანი) ანდერძის ენაზე უნდა გააკეთოს მონადერძის სახელისა და გვარის აღნიშვნა და თვითონაც უნდა მოაწეროს ხელი.

რაც შეეხება ანდერძის დადასტურებას, როგორც სანოტარო მოქმედებას, იგი „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად უნდა შესრულდეს სახელმწიფო ენაზე. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ენად აღიარებულია ქართული ენა, ხოლო აფხაზეთში – აფხაზური ენა (მუხლი მე-8). იმ შემთხვევაში, როცა მონადერძე ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს თარჯიმნის მონაწილეობით.

§ 2. სავალდებულო წილი

მოქმედი კანონმდებლობა ადგენს რა საანდერძო განკარგულების თავისუფლებას, ზღუდავს მას სავალდებულო წილის დაწესებით, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან. სავალდებულო წილის უფლებამქონე პირებს ეწოდებოდათ სავალდებულო მემკვიდრეები.

სავალდებულო წილის ცნება თავისი შინაარსით ნიშნავს იმას, რომ ანდერძში გათვალისწინებული პირებისა და შესაბამისად მათთვის განსაზღვრული წილის მიუხედავად, არიან პირები, რომელთა სამკვიდრო წილი წინასწარ კანონით არის „დაჯავშნული“.

სავალდებულო წილის ინსტიტუტმა მემკვიდრეობის საპარ-
თალში განვითარების გარკვეული გზა გაწვდო, რომელიც სხვა-
დასხვა პერიოდში (ფეოდალურ, სოციალისტურ) სხვადასხვა წესით
რეგულირდებოდა. რომის სამართლის პერიოდში სავალდებულო
წილის, მიღების უფლება ჰქონდათ აგნატებს, ემანსიპირებულ
შვილებსა და სხვა მემკვიდრეებს აღმავალი და დამავალი ხაზით,
ასევე მონადერძის ღვიძლ ძმებსა და დებს.

ამ უკანასკნელებს სავალდებულო წილის მიღების უფლება
უნარჩუნდებოდათ მაშინ, თუ ნაანდერძევი ქონება უნდა მიეღოთ
უფრო შორეულ მემკვიდრეებს.

სავალდებულო წილი შეადგენდა იმ ქონების მეოთხედს, რასაც
პირი მიიღებდა კანონით მემკვიდრეობისას, მოგვიანებით სავალდე-
ბულო წილის სიდიდე დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რამდენი
იყო კანონით მემკვიდრე.

მაგალითად, თუ კანონით მემკვიდრეობისას პირი მიიღებდა ქონების
არანაკლებ $1/4$, მაშინ მისი სავალდებულო წილი ედრებოდა კანო-
ნით მემკვიდრეობის დროს განსაზღვრული წილის $1/3$, ხოლო თუ
კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრე მიიღებდა ქონების $1/4$ -ზე
ნაკლებს, მაშინ მისი სავალდებულო წილი ედრებოდა ქონების
 $1/2$ (იუსტინიანეს 112 ნოველა). მონადერძე უფლებამოსილი იყო
ჩამოერთვა მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლება
მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგალითად, ქალ-
იშვილის ამორალური ცხოვრების წესი ან მისი გათხოვება მშობლებ-
ის ნების საწინააღმდეგოდ). საბჭოთა კავშირის არსებობისას, იყო
დრო, როდესაც სავალდებულო წილის ოდენობას უნდა შეედგი-
ნა $3/4$ მაინც იმ წილისა, რომელიც ეკუთვნოდათ კანონისმიერ
მემკვიდრეებს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის

14 მარტის ბრძანებულებით, „კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა შესახებ“, შრომისუნარო მემკვიდრის სავალდებულო წილის ოდენობა გაიზარდა იმ წილის სრულ ოდენობამდე, რაც მას ერგებოდა როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს. შემდგომში, კერძოდ, 1964 წელს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლით შეიცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტთა შემადგენლობა და თვით სავალდებულო წილის მოცულობაც. კერძოდ, ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, კვლავ შეცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტთა წრე და განსაზღვრა, რომ პირველი რიგის მემკვიდრეებს (მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს), ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

ანდერძის დადასტურებისას სავალდებულო წილთან დაკავშირებით მონადერძეს უნდა განემარტოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1372-ე მუხლების შინაარსი, რამაც შესაბამისად ასახეა უნდა პოვოს ანდერძის ტექსტში.

თუ სამკვიდროს გახსნისას აღმოჩნდება, რომ სავალდებულო წილის შესახებ წესები არ არის დაცული და სავალდებულო წილზე უფლების მქონე მემკვიდრეს ერგო დადგენილ წილზე ნაკლები, ვიდრე მას კანონით ეკუთვნოდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს, სავალდებულო წილის ჩათვლით, სამკვიდრო ქონების გადაცემა ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან. ამ შემთხვევაში, ანდერძი ამ ნაწილში ჩაითვლება ბათილად, მაგალითად,

მონდერძემ თავისი ქონება მეძკვიდრებს შორის გაანაწილა განსაზღვრულ ნაწილებად. სამკვიდროს გახსნისას აღმოჩნდა, რომ მის არასრულწლოვან შვილს ანდერძით მიკუთვნებული ჰქონდა თანხა, რომელიც ბევრად ნაკლები იყო მისთვის სავალდებულო წილით განსაზღვრულ ოდენობაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია მიიჩნიოს ანდერძი ნამდვილად და სამკვიდრო გაანაწილოს იმდაგვარად, რომ არასრულწლოვანმა მეძკვიდრემ მიიღოს სამკვიდრო კანონით განსაზღვრული ოდენობით, თუნდაც მისი შევსება მოხდეს სხვა მეძკვიდრეთა მიერ უკვე მიღებული სამკვიდრო ქონებიდან.

სავალდებულო წილის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი, რაც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლში, ამომწურავია და მასში მითითებული პირების მეძკვიდრეებს არ გადაეცემათ სავალდებულო წილის მიღების უფლება. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება მამკვიდრებლის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებზე, რომლებიც სამკვიდროს გახსნის დროს გამოიწვევიან წარმომადგენლობის უფლებით.

სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, სავალდებულო წილის უფლების მქონე პირები მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდნენ თუ არა.

სავალდებულო წილს წარმოადგენს ქონება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად.

თითოეული მეძკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ზემოთ ჩამოთვლილი

ყველა მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში, ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებინან.

პირი, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, მოვალეა სავალდებულო წილში ჩაითვალოს ყველაფერი, რაც მამკვიდრებლისაგან მიიღო მის სიცოცხლეში.

თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს ეანდერძა ქონება, რომელიც იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე, რასაც კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ანდერძით მთელი სამკვიდროს გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სავალდებულო წილი, პირველ რიგში, გამოიყოფა ანდერძით გაუთვალისწინებელი, ხოლო, თუ ეს საკმარისი არ იქნება, – ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან.

მამკვიდრებლის მიერ სხვა პირისათვის ნივთის ჩუქების შემთხვევაში, სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილის შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუ გარუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან 10 წელია გასული.

იმ პირებს, რომლებსაც კანონით უფლება აქვთ სავალდებულო წილზე, შეუძლიათ უარი თქვან მის მიღებაზე, რაც არ გამოიწვევს სხვა თანამემკვიდრეების სავალდებულო წილის გაზრდას.

აღნიშნულზე უარის თქმა უნდა მოხდეს სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმისათვის დადგენილ დროში.

იმ შემკვიდრის წილი, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთვა, გადადის ანდერძით შემკვიდრეებზე.

სავალდებულო წილის განმარტებიდან ირკვევა, რომ ახალმა სამოქალაქო კოდექსმა უარყო სავალდებულო წილით დაკმაყოფილების შესაძლებლობა იმ კატეგორიის პირებისათვის, რომელსაც ითვალისწინებდა ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი. კერძოდ, სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთმევა სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფ პირებს. ძველი კოდექსის მიხედვით (1964 წ.) რა შინაარსისაც არ უნდა ყოფილიყო ანდერძი, მათ ეკუთვნოდათ სამკვიდრო წილი, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი შემკვიდრეობის დროს ერგებოდა. როგორც აღნიშნულიდან ირკვევა, ახალი სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე სუბიექტთა წრე არსებითად განსხვავდება იმ პირთა წრისაგან, რომელთათვისაც ძველი კოდექსის პირობებში განსაზღვრული იყო სავალდებულო წილის მიღების უფლება.

ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთვათ მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ხოლო, მეორე მხრივ, გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ სავალდებულო წილი, კერძოდ, თუ ძველად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სავალდებულო წილის მიღების უფლება სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფი პირების გარდა, ჰქონდათ აგრეთვე არასრულწლოვან ან შრომისუუნარო შვილებს (მათ შორის, ნაშვილებს), გარ-

დაცვლილის არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს), უკვე დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წილის მიღების უფლებას ანიჭებს არა მარტო არასრულწლოვან ან შრომისუნარო შეილებს (მათ შორის, ნაშვილებს), არაშრომისუნარო მეუღლეს, მშობლებს (მშვილებლებს), არამედ ყველა პირველი რიგის მემკვიდრეს (შვილი, მშობელი, მეუღლე), ასაკისა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა უარყო რა მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი არაშრომისუნარიანი პირების სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობა, ამავე დროს, მათ უფლება მისცა მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სამკვიდრო ქონების მიღებაზე მემკვიდრეობის უფლებას.

მნიშვნელოვანია ის გარმოებაც, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალი, საიდანაც სათავეს იღებს სავალდებულო წილის ინსტიტუტი, მისი ცნების ქვეშ მოიაზრებდა ისეთი კატეგორიის პირებს, რომლებსაც სავალდებულო წილით უნდა მიეღოთ არსებობისათვის აუცილებელი სახსარი. ახალი სამოქალაქო კოდექსით კი სავალდებულო წილზე უფლება მიენიჭათ პირებს, რომლებიც, შესაძლებელია, სულაც არ საჭიროებდნენ ამდაგვარ დახმარებას. სავალდებულო წილი აზრს კარგავს მაშინ, როდესაც კანონით გათვალისწინებულ მასზე უფლების მქონე მატერიალურად უზრუნველყოფილ პირებს (მაგალითად, შვილებს, მეუღლეს) შეუძლიათ უგულებელყონ მამკვიდრებლის პიროვნება და ინტერესები და განათავსონ ის, მაგალითად, მოხუცებულთა სახლში, დატოვონ უყურადღებოდ და ა.შ. და აღნიშნულით თავიდან აიცილონ ის ვალდებულება, რაც განსაზღვრულია კანონით და

ოღითგანვე დადგენილია მორალური ნორმებით.

სავალდებულო წილთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ საკითხის განხილვა.

რამდენადაც სავალდებულო წილზე უფლება არის მემკვიდრეობის უფლების განსაკუთრებული სახე, ამდენად, მის მიმართ ვრცელდება ის ნორმები, რაც ზოგადად დადგენილია მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც იწვევენ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას ზოგადად. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მამკვიდრებელს ჯერ კიდევ სიცოცხლეში აქვს უფლება ჩამოართვას სავალდებულო წილის მიღების უფლება იმ მემკვიდრეს, რომელსაც კანონით ეკუთვნის იგი. აღნიშნული ზორციელდება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ, მოქმედებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთივე შედეგი დადგება მაშინაც, როცა მამკვიდრებელმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიმართა სასამართლოს, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისი გარდაცვალების შემდეგ.

რაც შეეხება იმ მემკვიდრის წილს, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოერთვა სავალდებულო წილის მიღების უფლება, იგი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება შევხვით ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობას სავალდებულო წილისა და სათადარიგო მემკვიდრის საკითხთან დაკავშირებით.

მაგალითად, ინგლისის მემკვიდრეობის სამართლისა და სასა-

მართლო პრაქტიკისათვის უცნობია ისეთი ცნებები, როგორცაა „სათადარიგო მემკვიდრე“ და „სავალდებულო წილი“. ჯერ კიდევ 1938 წლამდე ინგლისში მამკვიდრებელს შეეძლო მთლიანად მოესპო ოჯახისათვის მემკვიდრეობა, თუმცა გარდაცვლილის მეუღლეს, არასრულწლოვან და არაშრომისუნარიან შვილებს უფლება ჰქონდათ „სავალდებულო წილის“ მსგავსად, სასამართლოს მეშვეობით, მოეთხოვათ ე.წ. გონივრული წილი სამკვიდრო ქონებიდან. 1975 წლიდან კი ისეთივე უფლება მიეცა გარდაცვლილის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომელიც არ იმყოფებოდა ქორწინებაში სხვა პირთან.

რაც შეეხება გერმანიის კანონმდებლობას, აღნიშნული სავალდებულო წილის უფლება აქვს მამკვიდრებლის დამავალი ხაზის ნათესავებს, მათ შობლებსა და კანონიერ მეუღლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ინტერესები სათანადოდ არ არის დაცული ანდერძით. ეს უფლება შეიძლება რეალიზებულ იქნეს ანდერძისმიერი მემკვიდრისადმი წარდგენილი სარჩელით ამ წილის ფულადი ეკვივალენტით გადახდის შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანდერძის თავისუფლების პრინციპი შეზღუდულია მხოლოდ ცოცხალი მეუღლის ინტერესებით. კერძოდ, მრავალი შტატის კანონმდებლობის თანახმად (აიოვა, კანზასი, ნიუ-იორკსა და სხვა შტატებში), მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია თავისი შეხედულებებისამებრ აირჩიოს მემკვიდრეობის სახე (კანონისმიერი ან ანდერძისმიერი), რაც საშუალებას მისცემს მას თავი აარილოს მისთვის ანდერძით გათვალისწინებულ არასასურველ პირობებს და ინგლისის კანონმდებლობის მსგავსად, მიიღოს „გონივრული წილი“ მამკვიდრებლის ქონებიდან.

§ 3. საანდერძო(ი) დანაკისრი (ლევატი)

მნიშვნელოვან საანდერძო განკარგულებათა რიცხვს განეკუთვნება მონადერძის საანდერძო დანაკისრი (ლევატი).

მონადერძეს უფლება აქვს დააკისროს ანდერძისმიერ მემკვიდრეს რაიმე ვალდებულების შესრულება ერთი ან რამდენიმე პირის (საანდერძო დანაკისრის მიმღები, ლევატარის) სასარგებლოდ სამკვიდროს ხარჯზე, ხოლო საანდერძო დანაკისრის მიმღებნი იძენენ უფლებას მოითხოვონ ამ ვალდებულების შესრულება.

მონადერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ვალდებულება გადასცეს სხვა პირს სამკვიდროში შემავალი ქონებიდან განსაზღვრული ნივთი საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა უფლებით, აგრეთვე მისთვის ისეთი ქონების შეძენა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, ან განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ა.შ.

საცხოვრებელი სადგომით საძილდემშიო სარგებლობის უფლება განუსხვისებელია და არ გადადის საანდერძო დანაკისრის მიმღების მემკვიდრეებზე. იგი არ წარმოადგენს ამ სადგომში საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრების ცხოვრების საფუძველს, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი ნაანდერძევი სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას დაეკისრა.

არ არის გამორიცხული, რომ საანდერძო დანაკისრის შემსრულებელი მემკვიდრე გარდაიცვალოს სამკვიდროს გახსნამდე, ან უარი

განაცხადოს მემკვიდრეობის მიღებაზე, ასეთ დროს საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომელთაც დაევალება საანდერძო დანაკისრის შესრულება.

თუ საანდერძო დანაკისრის შესრულება დავალებული აქვს რამდენიმე მემკვიდრეს ერთდროულად, თითოეული ასრულებს მას სამკვიდროში მისი წილის პროპორციულად. საანდერძო დანაკისრის მიმღების მიერ უარის თქმის შემთხვევაში, შესაბამისი წილი დარჩება იმ მემკვიდრეს, რომელსაც დაევალება დანაკისრის შესრულება. საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირს საანდერძო დანაკისრის შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს სამი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამკვიდროს გახსნის შემდეგ საანდერძო დანაკისრის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მან ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე, ან უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, მისი მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, როდესაც მონადერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს რაიმე მოქმედების შესრულება საერთო სასარგებლო მიზნით. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათი. ასეთი მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ ვალდებულების შესრულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. რაც შეეხება მონადერძის მიერ მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდის დაკისრებას, ის უფლებამოსილია დააკისროს იგი ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს.

მემკვიდრისაგან მასზე დაკისრებული მოქმედების შესრულების მოთხოვნა შეუძლია სასამართლოს მეშვეობით ანდერძის აღმსრულებელს, ხოლო თუ ის არ არის, ყოველ მემკვიდრეს და

დაინტერესებულ საზოგადოებრივ თუ რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

საანდერძო დანაკისრის შესახებ მამკვიდრებელმა უნდა გადმოსცეს აუცილებლად საანდერძო განკარგულებაში (ანდერძში). საანდერძო დანაკისრის შესახებ სხვაგვარი გადმოცემა არ ჩაითვლება საანდერძო დანაკისრად.

საანდერძო დანაკისრი შესრულებულ უნდა იქნეს მხოლოდ სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილისა და მამკვიდრებლის ვალის დაფარვის შემდეგ. საანდერძო დანაკისრის მიმღებს აქვს უფლება და არ არის ვალდებული დაფაროს მამკვიდრებლის ვალები.

საანდერძო დანაკისრის მიმღებს შეიძლება ჩამოერთვას საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებულ მემკვიდრეობის უფლება, თუ მისი მოქმედება მიმართული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ან მისი ერთ-ერთი მემკვიდრის წინააღმდეგ, რითაც ხელს უწყობდა საანდერძო დანაკისრის მიღებას.

მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის სამართალში აღიარებულია ანდერძის თავისუფლების პრინციპი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მამკვიდრებელი უფლებამოსილია საანდერძო დანაკისრის შემსრულებელს დააკისროს ისეთი მოქმედების შესრულება, რაც შელახავს მემკვიდრის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ასე მაგალითად, მამკვიდრებელს არ შეუძლია დააკისროს ამა თუ იმ პროფესიის არჩევის, კონკრეტულ ადგილზე ცხოვრების, რელიგიური წესების შესრულების, ან პირიქით, არშესრულების, გარკვეულ პირობებთან დაქორწინების ვალდებულება და ა.შ.

საანდერძო დანაკისრში ზემოჩამოთვლილი პირობების მი-

თითება უფლებას აძლევს მემკვიდრეს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ანდერძის ამ ნაწილში დათქმული პირობების ბათილად ცნობის შესახებ. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საანდერძო დანაკისრის მიძღები მიიღებს მემკვიდრეობას საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული პირობების გარეშე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული პირობები არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მაგრამ მათი შესრულება შეუძლებელია საანდერძო დანაკისრის შემსრულებლის პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევაში, საანდერძო დანაკისრის შემსრულებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული პირობების შესრულების შეუძლებლობის მოტივით, მისი შესრულებლობის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზნით. სასამართლოს მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, საანდერძო დანაკისრის შემსრულებელი თავისუფლდება საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული პირობების შესრულების ვალდებულებისაგან და ლეგალობს მემკვიდრეობას ამ პირობათა შესრულების გარეშე.

მონდერძის მიერ საანდერძო დანაკისრის მართლზომიერ პირობებად ითვლება: ა) სამკვიდრო ქონების მიღება გარკვეული ასაკის მიღწევისას; ბ) სამკვიდროს მიღება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან გარკვეული წლების გასვლამდე; გ) პარაზიტული ცხოვრების წესის შეწყვეტა ან ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შეწყვეტა და ა.შ.

საანდერძო დანაკისრის მართლზომიერ და არამართლზომიერ ხასიათზე უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სასამართლომ,

რომელიც მათი განსაზღვრის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას საანდერძო დანაკისრის ძალაში დატოვების ან მისი ბათილად ცნობის შესახებ.

საანდერძო დანაკისრის შესრულება შეიძლება დაეკისროს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებსა და ხაზინასაც. ასეთ შემთხვევაში საანდერძო დანაკისრის შემსრულებელი არის მოვალე, ხოლო საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) კი – კრედიტორი.

„ანდერძის თავისუფლებისა“ და „საანდერძო დანაკისრის“ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიტანოთ ასეთი ისტორიული ფაქტი: როდესაც ამერიკელმა ასტრონავტმა ნეილ ამსტრონგმა 1969 წლის 21 ივლისს კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დაადგა ფეხი მთვარის ზედაპირზე, მან არც კი იცოდა, რომ ამ პირველმა ნაბიჯმა იგი იმ ქონების მფლობელი გახადა, რომელიც 1891 წელს საფრანგეთში ანა-ემელია ჰიუზმანმა – მდიდარი მრეწველის მეუღლემ და ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის სათავადასავლო რომანების დიდმა მოტრფიალემ – მთელი თავისი სიმდიდრე (100000 ფრანკი) უანდერძა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას და დააკისრა ამ უკანასკნელს, რომ ფული გადაეცა იმ „ადამიანისათვის, რომელიც ოდესმე პირველად დაადგამდა ფეხს რომელიმე ციურ სხეულს – „პლანეტა მარსის გამოკლებით“¹.

სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში საანდერძო დანაკისრის მიმღებს (ლეგატარს) არა აქვს უფლება მიმართოს ნოტარიუსს საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებულ უფლებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, მაშინაც კი, როდესაც საანდერძო დანაკ-

იხ. "Техника молодежи", 1971, N 11.

ისრის შემსრულებელი თავს არიდებს სამკვიდრო მოწმობის მიღებას. იმ შემთხვევაში, როდესაც საანდერძო დანაკისრის შემსრულებელი მემკვიდრე უარს არ აცხადებს მემკვიდრეობაზე, მაგრამ თავს არიდებს საანდერძო დანაკისრით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, ლეგატარი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საანდერძო დანაკისრის შესრულება მემკვიდრის მიერ სრულდება მხოლოდ ნაანდერძები სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ საანდერძო დანაკისრის შემსრულებელმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაისტუმროს მონანდერძის ვალები (თუ ასეთი აქვს მონანდერძეს), შემდეგ დააკმაყოფილოს სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეები (თუ ასეთებიც არიან) და დარჩენილი ქონებიდან მოახდინოს საანდერძო დანაკისრის შესრულება. მაგალითად, მონანდერძის სამკვიდრო ქონება შეადგენს 10 000 ლარს, მასვე გააჩნია 4000 ლარის ოდენობის ვალი, ხოლო სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეებად დარჩნენ მეუღლე და შვილი. ამავე დროს, საანდერძო დანაკისრის ღირებულება გათვალისწინებულია 2000 ლარით. სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიფაროს ვალი 4000 ლარის ოდენობით, ე.ი. $10000 - 4000 = 6000$ ლარი. აქედან, სავალდებულო წილის უფლების მქონე ორი მემკვიდრისათვის წილის რაოდენობა შეადგენს $10000:2 = 5000$. ლარს $4000 + 5000 = 9000$ ლარი. ვალებისა და სავალდებულო წილის გასტუმრების შემდეგ, სამკვიდრო ქონებიდან ანუ 10000 ლარიდან დარჩა $10000 - 9000 = 1000$ ლარი. რადგანაც საანდერძო დანაკისრის შესრულება უნდა განხორციელდეს სამკვიდროს

ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, რაც ჩვენი მაგალითის შემთხვევაში არის 1000 ლარი, ამიტომ საანდერძო დანაკისრიო გათვალისწინებული 2000 ლარი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ 1000 ლარის ფარგლებში. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღები ლეგატარი პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის.

შესაძლოა, რომ ანდერძით მემკვიდრე, რომელსაც დაევალა საანდერძო დანაკისრის შესრულება, თვითონ იყოს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდრო ქონების მხოლოდ იმ ნაწილის ფარგლებში, რაც მიიღო სავალდებულო წილის ზემოთ.

მაგალითად, თუ მემკვიდრემ სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო 300 ლარის ღირებულების ქონება, ანდერძით კი დაეკისრა დანაკისრის მიმღებისათვის 1000 ლარის ღირებულების ქონების გადაცემა, მაშინ ამ ვალდებულებას შესრულებს არა 1000 ლარის, არამედ 300 ლარის ფარგლებში.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავარკვიოთ, თუ რა შედეგები დადგება საანდერძო დანაკისრის შესრულებისას საანდერძო დანაკისრის შემსრულებლისა ან მისი მიმღების (ლეგატარის) გარდაცვალების შემთხვევაში როგორც სამკვიდროს გახსნამდე, ისე მისი გახსნის შემდეგ.

თუ მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, ან მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა, მაშინ საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც მისი წილი მიიღეს, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალ-

ისწინებული. საანდერძო დანაკისრის შემსრულებლის გარდაცვალების შემთხვევაში, საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება წყდება თუ საანდერძო დანაკისრის შესრულება შეუძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) გარდაიცვლება სამკვიდროს გახსნამდე, მაშინ საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება წყდება. მაგრამ, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე, მაშინ მისი მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, რომლებიც მის მაგივრად მიიღებენ დანაკისრს.

საანდერძო განკარგულების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს საანდერძო დანაკისრი საერთო სასარგებლო მიზნით. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათი.

ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საანდერძო დანაკისრის მომწესრიგებელი ნორმები.

იმ მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც ანდერძით ევალებოდა რაიმე მოქმედება საერთო-სასარგებლო მიზნით, ამ ვალდებულების შესრულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს. მაგალითად, მონდერძის მიერ მემკვიდრისათვის სახლის დატოვების შემთხვევაში საანდერძო დანაკისრით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სახლის ან მისი ნაწილის გამოყოფა (მაგალითად, ერთი ან რამდენიმე ოთახის) მუზეუმის მოწყობისათვის.

მემკვიდრისაგან, მასზე დაკისრებული მოქმედების შესრულებ-

ის მოთხოვნა, შეუძლია სასამართლოს მეშვეობით ანდერძის აღმსრულებელს, ხოლო, თუ ის არ არის, მაშინ – ყოველ შემკვიდრეს, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

რაც შეეხება საანდერძო დანაკისრის არაქონებრივ ხასიათს, იგი შეიძლება გამოვლინდეს მონადერძის დაკრძალვაში, მისი სახელის უკვდავყოფაში და ა.შ.

მონადერძეს შეუძლია დაავალოს შემკვიდრეს დაკრძალოს იგი რელიგიური წესების დაცვით, გაუკეთოს ქელები, კეთილმოაწყოს საფლავი და ა. შ.. ყველა ეს განკარგულება, როგორც წესი, უნდა შესრულდეს სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში და არ უნდა სცილდებოდეს ზომიერების ფარგლებს.

§4. ანდერძის მოშლა, შეცვლა და ბათილად ცნობა

ანდერძი გამოხატავს მონადერძის უკანასკნელ ნება-სურვილს, მაგრამ მონადერძეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან მოშალოს იგი და შეადგინოს სხვა ანდერძი.

მონადერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი:

ა) ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება;

ბ) სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით;

გ) ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით მონადერძის მიერ ან ნოტარიუსის მიერ მონადერძის განკარგულებით.

ანდერძის შეცვლა შეიძლება სხვა ანდერძის შედგენის გზით,

რომელშიც მითითებულ უნდა იქნეს ცვლილებები, რაც უშუალოდ უკავშირდება ადრინდელ ანდერძს. მაგალითად, მონადერძებ პირველი ანდერძით ვაჟსა და ქალიშვილს დაუტოვა საცხოვრებელი სახლი თანაბარწილად, ხოლო დანარჩენი ქონება – თავის დას. მას უფლება აქვს ახალ ანდერძში აღნიშნოს, რომ მთელ თავის ქონებას თანასწორად უტოვებს ვაჟს, ქალიშვილს, დას და ა.შ.

ადრინდელი ანდერძი ინარჩუნებს ძალას, თუ შემდგომ 'მეღგენილი ანდერძი ბათილად იქნება ცნობილი ან გაუქმებული სასამართლოს მიერ.

თავდაპირველი ანდერძის შეცვლას მაშინაც ექნება ადგილი, როდესაც ახალი ანდერძით მონადერძე აუქმებს თავისი განკარგულების ნაწილს, ხოლო სხვა ნაწილი რჩება თავდაპირველი ანდერძის რედაქციით.

სამკვიდროს დამტოვებელს უფლება აქვს მოშალოს ადრინდელი ანდერძი ისე, რომ ახალი აღარ შეადგინოს. ასეთ დროს მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა მის კანონისძიერ მემკვიდრეებს საერთო წესით.

ანდერძი აგრეთვე შეიძლება მოიშალოს სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით, რომელშიც აღინიშნება ყველა ის საკითხი, რაც წინა ანდერძში იყო დათქმული. მაგალითად, სამკვიდროს დამტოვებელმა პირველი ანდერძით შვილს დაუტოვა ავტომანქანა, ხოლო დანარჩენი ქონება – შვილიშვილს. ახალ ანდერძში კი მიუთითა, რომ მთელ თავის ქონებას იგი უტოვებს ვაჟიშვილს. აქედან გამომდინარეობს, რომ შემდგომი ანდერძი აუქმებს ადრინდელს მთლიანად ან მის ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლი).

ანდერძი მხოლოდ მაშინ გამოიწვევს იურიდიულ შედეგს,

თუ იგი თავისი შინაარსით არ ეწინააღმდეგება კანონს.

მოანდერძე, ანდერძის შედგენის მომენტში, ქმედუნარიანი უნდა იყოს. ანდერძის შედგენის შემდეგ მოანდერძის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვა არ გამოიწვევს ანდერძის ბათილობას, და პირიქით, ნამდვილი არ არის არაქმედუნარიანი პირის მიერ შედგენილი ანდერძი, თუნდაც იგი შემდგომში ქმედუნარიანად იქნეს აღიარებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს აღკოპოლს, ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ენიშნება მზრუნველი. ასეთი პირები უფლებამოსილი არიან დადონ ქონების განკარგვის გარიგებები, აგრეთვე განკარგონ ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, წერილმანი ყოფითი გარიგების დადების გარდა. აქედან გამომდინარე, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, შეუძლია თუ არა შეზღუდულქმედუნარიან პირს ანდერძის მოშლა ან შეცვლა, რამდენადაც ანდერძი თავისი იურიდიული ბუნებით არის გარიგება, სადაც მოანდერძის ნებაა გამოხატული, მისი მოშლა ან შეცვლა კი წარმოადგენს ახალ განკარგულებას ქონების იურიდიული ბედის შესახებ, შეზღუდულქმედუნარიანობა შეუძლებელს ხდის ანდერძის მოშლას ან შეცვლას. ყოვლად დაუშვებელია, რომ ამ ნების გამოხატვა დამოკიდებული იყოს ვინმეს, თუნდაც მზრუნველის თანხმობაზე.

არ არის გამორიცხული, რომ მოანდერძის მიერ შედგენილი იყოს რამდენიმე ანდერძი. აღნიშნულს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა, რომელიც ეხება მათი (რამდენიმე ანდერძის) არსებობის სამართლებრივ შედეგებს. თუ რამდენიმე ანდერძი ავსებს ან მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რა რამდენიმე სახის ანდერძის შედგენის შესაძლებლობას, ერთი პირის მიერ რამდენიმე ანდერძის შედგენის შემთხვევაში, უპირატესობას ანიჭებს სანოტარო წესით დადასტურებულ ანდერძს. უფრო მეტიც, სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. მაგალითად, თუ პირმა 1997 წლის დეკემბერში შეადგინა სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი, ხოლო 1998 წლის მარტში საანდერძო განკარგულება შეცვალა შინაურული ანდერძით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შედგენილია უფრო მოგვიანებით, იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 1997 წელს შედგენილი ანდერძი, რომელიც დადასტურებულია სანოტარო წესით. იმ შემთხვევაში, თუ შინაურული ანდერძი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, რომლებსაც არ შეჰხებია სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი, მაშინ შინაურული ანდერძი ინარჩუნებს თავის ძალას სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძის უპირატესობის მიუხედავად. აღნიშნული ეყრდნობა საანდერძო განკარგულების პრინციპს, რომლის თანახმადაც წინა ანდერძი ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი განკარგულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ანდერძით.

ანდერძის შეცვლისა და მოშლისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ იგი გამოცხადდეს ძალადაკარგულად. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს გარკვეული საფუძვლები. კერძოდ, ანდერძი ძალადაკარგულად ჩაითვლება: თუ პირი, რომლის სასარგებლოდაც შედგენილი იყო ანდერძი, გარდაიცვალა მონდერძეზე ადრე ან ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მონდერძის სიცოცხლეში, თუ

მონადერძემ გაასხვისა იგი, ან როცა ერთადერთმა მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე უკვე შედგენილი ანდერძის ბათილობას. აღნიშნულისათვის საკმარისია იმ პირობების არსებობა, რომლებიც იწვევენ გარიგების ბათილობას ზოგადად. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელით სასამართლოს შეიძლება მიმართონ მხოლოდ მონადერძის გარდაცვალების შემდგომ, რადგან მის სიცოცხლეში საანდერძო განკარგულების შესახებ დამოკიდებულებას (გაუქმების ან შეცვლის გზით) გამოხატავს მხოლოდ მონადერძე.

სასამართლოს მიერ ანდერძი ბათილად იქნება ცნობილი, თუ იგი შედგენილია ანდერძის შედგენისათვის კანონით დადგენილი წესების დარღვევით, აგრეთვე ბათილად იქნება ცნობილი საანდერძო განკარგულებები, რომლებიც თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება კანონს, საზოგადოებრივ ინტერესებს ან ერთმანეთს, ან შეცვლილია ისეთ მდგომარეობაში, როდესაც პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა (შეგნების ნაკლი) და წარემართა იგი (ნების ნაკლი).

ანდერძის ბათილად ცნობა შეუძლია სასამართლოს, მაგრამ სასამართლოს უფლება არა აქვს შეცვალოს ანდერძის შინაარსი. ასე მაგალითად, მ.მ. ანდერძით სახლის ნაწილი დაუტოვა ქალიშვილს პირველი ქორწინებიდან, ხოლო მეორე ნაწილი მეუღლეს იმ პირობით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ სახლის ეს ნაწილიც ქალიშვილის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ეს პირობა კანონსაწინააღმდეგოა, რადგანაც მემკვიდრის უფლებას ზღუდავს, რომელიც მემკვიდრეობით დატოვებული ქონების მესაკუთრე გახდა. თუმცა ანდერძის ბათილად ცნობის მაგივრად, სასამართლომ შეცვალა

ანდერძის შინაარსი, აღიარა რა ქალიშვილი მთლიანი სახლის მესაკუთრედ მემკვიდრეობის წესით და დაავალდებულა იგი მიეცა უფლება მამკვიდრებლის ცოლისათვის ესარგებლა საცხოვრებელი სადგომით უფასოდ მისი სიცოცხლის განმავლობაში.

თუ საანდერძო განკარგულება ეხება ისეთ ქონებას, რომელსაც არ მოიცავს სამკვიდრო, ასეთი ანდერძი ბათილია.

ბათილია საანდერძო განკარგულება იმის შესახებ, რომ მემკვიდრე სამკვიდროს შეიძენს განსაზღვრული დროით არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ უფრო გვიან, ასევე იმ პირზე მითითების შესახებ, რომელზედაც უნდა გადავიდეს სამკვიდრო მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ.

მემკვიდრის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საანდერძო განკარგულების შეუსრულებლობა მისივე სარჩელით, შეიძლება საფუძვლად დაედოს ანდერძის ბათილად ცნობას.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლით ანდერძის ბათილად ცნობის შემთხვევაში, ანდერძით მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ სამკვიდრო საერთო საფუძვლებით.

ბათილია ანდერძი, თუ იგი დადასტურებული არ არის სათანადო პირების მიერ. მაგალითად, ანდერძი დადასტურებული მედიცინის დის ან მკურნალი ექიმის მიერ და არა მთავარი ექიმის ან სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის მიერ. ასევე ბათილია ანდერძი, თუ ის დადასტურებულ არ არის საავადმყოფოს სხვა სტაციონარული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების, სანატორიუმების, ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების მორიგე ექიმების მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარი ექიმი (მისი მოადგილე სამედიცინო ნაწილში ან მორიგე ექიმი) იმავდროულად მკურნალი ექიმიც არის, ანდერძს იგი ადასტურებს არა როგორც

მკურნალი ექიმი, არამედ როგორც მთავარი ექიმი, მისი მოადგილე სამედიცინო ნაწილში ან მორიგე ექიმი.

აღსანიშნავია, რომ ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელთა დიდი რაოდენობა ეხება ანდერძის ბათილობას იმ მოტივით, რომ მოანდერძეს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო ანდერძის ნამდვილობის დადგენისას, არკვევს თუ რით იყო განპირობებული მოანდერძის ასეთი მდგომარეობა. ანდერძის შედგენისას მოანდერძის ფსიქიკური მდგომარეობის დასადგენად, სასამართლო, როგორც წესი, ნიშნავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას, რომლის დასკვნასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ საკითხზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისას, თუმცა იგი არ წარმოადგენს ერთადერთ უტყუარ მტკიცებულებას, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას. იგი მას იხილავს მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

... ქთბილისის ერთ-ერთი სასამართლო იხილავდა მოქ. ვ.-ს სარჩელს ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ მოანდერძეს ანდერძის შედგენის მომენტისათვის არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. მოსარჩელე აღნიშნულს ასაბუთებდა იმით, რომ მოანდერძე ანდერძის შედგენის მომენტისათვის იმყოფებოდა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც მისმა ახლობელმა ადამიანმა წარუდგინა მას ანდერძის ტექსტი ხელმოსაწერად. სასამართლომ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დანიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა,

რომლის დასკვნიდან გაირკვა, რომ მოანდერძეს ანდერძზე ხელის მოწერის მომენტში არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და გაეთვალისწინებინა მისი შედეგები, უფრო მეტიც, ავადმყოფის ისტორია მოწმობდა, რომ მას თავისი ავადმყოფობის სიმძიმის გამო არ შეეძლო ანგარიში გაეწია მისი მოქმედებისათვის. ამასთან, ყოველივე ეწინააღმდეგებოდა მოანდერძის დამოკიდებულებას მისი მეუღლისა და ოჯახის წევრების მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ.

ქალაქ თბილისში მდებარე ერთოთახიანი პრივატიზებული ბინა ირიცხებოდა ნ.ს. სახელზე. 1992 წელს მან მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ძმის შვილიშვილს მოსარჩელე გ.ს.

1995 წელს მოანდერძემ მოშალა თავისი ანდერძი და ახალი ანდერძით ქონება და ბინა დაუტოვა ს.ს.

გ.მ. 1998 წელს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ანდერძის გაუქმება იმ მოტივით, რომ ანდერძზე ხელმოწერა ნ.ს. არ ეკუთვნოდა, შემდგომ სარჩელის საფუძველი შეიცვალა და მოითხოვა ანდერძის ბათილად ცნობა იმის გათვალისწინებით, რომ მოანდერძე ვერ განაგებდა თავის მოქმედებას, რასაც საქმეში მოთავსებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების დასკვნა მოწმობს.

ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლომ 1999 წლის გადაწყვეტილებით გ.ს. სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად მოანდერძე არაქმედუნარიანად არ ყოფილა აღიარებული სასამართლოს მიერ. უნდა ითქვას, რომ ანდერძის ბათილად ცნობისათვის არ არის აუცილებელი დადგინდეს, რომ მოანდერძე

ქმედუნარო იყო, საკმარისია დადგინდეს, რომ მოანდერძეს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. ამდენად, ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით გ.ს. სარჩელის დაუკმაყოფილებლობა ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ მხოლოდ ამ მითითებული საფუძვლით უკანონოა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ.

ე.ს. ჰყავდა სამი ქალიშვილი, გარდაცვალების შემდეგ ე.ს.-მ. მის საკუთრებაში არსებული ბინა უანდერძა შვილიშვილს, შვილებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში და მოითხოვეს მემკვიდრის სახელზე გაცემული ანდერძის ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ იგი არ წარმოადგენდა მათი გარდაცვლილი დედის ნების გამოვლენას.

ექსპერტიზის მიერ დადგენილ იქნა, რომ ე.ს. არ ეკუთვნის ხელმოწერა შვილიშვილის სახელზე შედგენილ ანდერძზე. ამის გამო ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ ბათილად ცნო გარდაცვლილი ე.ს.-ს სახელით გაცემული ანდერძი, რომლითაც მან ქონება უანდერძა შვილიშვილს.

ანდერძის ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემკვიდრეს რომელსაც ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვა, უფლება აქვს მიიღოს სამკვიდრო საერთო საფუძვლებით.

ანდერძის ნამდვილობა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება სადავო გახადონ კანონით მემკვიდრეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა იმ საფუძვლებით, რომლებიც ზოგადად იწვევენ გარიგების ბათილობას.

სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილ უნდა

იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ხანდაზმულობის ეს ვადა არ ვერცელდება მესაკუთრის სარჩელზე, როცა მოანდერძემ მემკვიდრეს არასწორად უანდერძა სხვისი ქონება, როგორც თავისი. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვოს საკუთარი ქონება კანონით საერთოდ დადგენილი ხანდაზმულობის ვადებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი).

§ 5. ანდერძის აღსრულება

ანდერძის შედგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოანდერძის ნების სრულად განხორციელებას. მთავარია ის, რომ რაც ანდერძში არის მითითებული, შესრულებულ იქნეს სათანადო დონეზე, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამ ცნებას მემკვიდრეობის სამართალში ეწოდება ანდერძის აღსრულება.

მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძის აღსრულება თანაბრად ევალებათ ანდერძით მემკვიდრეებს, თუ ანდერძში არ არსებობს მითითება ანდერძის აღმსრულებლის ვინაობის შესახებ. თუმცა ანდერძით მემკვიდრეებს არ ეკრძალებათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ანდერძის აღსრულება მიანდონ ერთ-ერთ მემკვიდრეს ან სხვა პირს, მისივე წერილობითი თანხმობით. აღნიშნულმა ასახვა უნდა პოვოს როგორც თვით ანდერძში, ასევე ანდერძზე დართულ განცხადებაში.

მოანდერძეს ანდერძის აღსრულების მიზნით შეუძლია დანიშნოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე აღმსრულებელი. თუ ანდერძის აღმსრულებელი რამდენიმეა, მაშინ თითოეულს ერთპიროვნულად

შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ სამკვიდროს დაცვის მიზნით, სხვა შემთხვევაში საჭიროა მათ შორის შეთანხმება. ამავე დროს, მონადერძემ შეიძლება თვითონ კი არ დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი, არამედ მისი დანიშვნა დაავალოს მესამე პირს, რომელიც სამკვიდროს გახსნისას დაუყოვნებლივ ნიშნავს ანდერძის აღმსრულებელს, რის თაობაზეც ატყობინებს მემკვიდრეებს. ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ანდერძის აღსრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა აცნობოს ანდერძით მემკვიდრეებს. ამასთან, ანდერძის აღმსრულებლის უარის მოტივებს, მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის.

ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა არ ნიშნავს, რომ მას დაეკისროს ანდერძის მთლიანად აღსრულება. შესაძლებელია, რომ ანდერძის აღმსრულებელს დაეკისროს ანდერძის როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკეული განკარგულების (მაგალითად, საანდერძო დანაკისრის) აღსრულება (მუხლი 1414-ე).

ანდერძის აღმსრულებლის ვალდებულებას განეკუთვნება: ა) სამკვიდროს გახსნის მომენტიდან სამკვიდროს დაცვა და მისი მართვა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნოტარიუსის მეშვეობით; ბ) მემკვიდრეებისათვის შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ; გ) ანდერძის შესაბამისად სამკვიდროს გაყოფა და გადაცემა მემკვიდრეებისათვის და სხვა. ამ უფლებამოსილების ფარგლებში ანდერძისმიერი მემკვიდრეები კარგავენ სამკვიდროს მართვის უფლებას (მუხლი 1415-ე).

მართალია, ანდერძის აღმსრულებლის მოვალეობა უსასყიდლოა, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მან შეიძლება მი-

ილოს გასამრჯელო: ა) როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ანდერძში და ბ) როდესაც აღმსრულებელმა სამკვიდროდან გაიღო ხარჯები სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის.

თუ ანდერძის აღმსრულებელი მემკვიდრე არ არის, მას უფლება არა აქვს სამკვიდრო ქონებიდან გაილოს სხვა ხარჯები, იმ ხარჯების გარდა, რომელიც აუცილებელია მამკვიდრებლის მოვლის, მკურნალობისა და დაკრძალვისათვის, აგრეთვე მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, ხელფასის გასტუმრებისა და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის.

ანდერძის აღმსრულებელი, ანდერძის აღსრულების შემდეგ, მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანდერძის აღმსრულებლის უფლებამოსილება გრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე.

თუ ანდერძის აღმსრულებელი არაკეთილსინდისიერად ასრულებს საანდერძო განკარგულებას და განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გადაუხვევს ანდერძით გათვალისწინებულ მითითებებს, რითაც ზიანს მიაყენებს მემკვიდრეებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს მიყენებული ზიანისათვის. თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ყველა სხვა შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ანდერძის აღმსრულებლის გადაყენების მოთხოვნით (მუხლი 1419-ე).

თავი მეხუთე

სამკვიდროს მიღება და მისი გაფორმება

§ 1. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს გახსნასთან დაკავშირებულია მემკვიდრეობითი სამართალური თეროების წარმოშობა, რომლის შინაარსს შეადგენს მემკვიდრის უფლება, მიიღოს ან უარი განაცხადოს სამკვიდრო ქონებაზე და არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მემკვიდრეებს ამ უფლების განხორციელებაში. უფრო მეტიც, ამ უფლებებთან დაკავშირებული კანონით უფლებამოსილი თანამდებობის პირები (ნოტარიუსი, კონსული, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, სამხედრო სამსახურების, სოციალური დაცვის და ა. შ. თანამდებობის პირები) ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მემკვიდრეებს მემკვიდრეობით მიღებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ნებაყოფლობითი ხასიათის აქტს, რომლის დროსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრის სურვილს, მიიღოს ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. მემკვიდრის მიერ თანხმობის არარსებობისას სამკვიდრო მიღებულად არ ითვლება. თუ მემკვიდრე ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია, მისი სახელით სამკვიდროს იღებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები).

ქალაქ ბათუმში მდებარე საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო დ.ს. სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1951 წელს. მას დარჩა ორი მემკვიდრე ნ. და მ.

1963 წელს ზემოთ აღნიშნული სახლი ქალაქ ბათუმის N 1

სანოტარო კანტორაში მემკვიდრეობის წესით გაიფორმა გარდაცვლილის ვაჟმა ნ.მ. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1983 წელს ეს სახლი ქალაქ ბათუმის N 3 სანოტარო კანტორაში მემკვიდრეობის წესით გაიფორმა ნ.ს. მეუღლემ ლ.მ.

1989 წელს მ.მ. განცხადებით მიმართა სასამართლოს ქალაქ ბათუმის N 1 და N 3 სანოტარო კანტორებსა და ლ.ს. მიმართ სანოტარო მოქმედებაში ცვლილებების შეტანისა და მამისეული ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ. სარჩელი დასაბუთდა იმით, რომ იგი იყო გარდაცვლილი დ.ს. კანონიერი მემკვიდრე. მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მემკვიდრეობა და მისთვის ბოლო დროს გახდა ცნობილი, რომ სამკვიდრო სახლი გადაუფორმებია მის გარდაცვლილ ძმას და შემდეგში რძალს ლ.ს.

ქალაქ ბათუმის სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგანაც დადგინდა, რომ გარდაცვლილმა ნ.მ. სადავო სამემკვიდრეო სახლი 1963 წლის 9 იანვარს გადაიფორმა თავის სახელზე დის, მოსარჩელის მ.ს. თანხმობით. ამ უკანასკნელმა 1967 წელს მიიღო ერთოთახიანი კომუნალური ბინა და იქ გადავიდა საცხოვრებლად. ლ.ს. გარდაცვალების შემდეგ, 1983 წელს სადავო სახლი გადაიფორმა ნ. რუბაძის მეუღლემ – ლ.მ. ამ დროისათვის მოსარჩელე მ. სადავო ბინაში აღარ ცხოვრობდა და გადასული იყო საცხოვრებლად მის სახელზე რიცხულ ერთოთახიან ბინაში. იმის გათვალისწინებით, რომ მ.მ. უარი თქვა მემკვიდრეობაზე თავისი ძმის გარდაცვლილი ნ.ს. სასარგებლოდ. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 560-ე მუხლის (1964 წლის რედაქციით) შესაბამისად სწორად უარყო სარჩელი.

ამასთან, სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სანოტარო

მოქმედების შესრულებისას, რა დროსაც გარდაცვლილმა მ.მ. გადაიფორმა სადავო სამემკვიდრო სახლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლის (1964 წლის რედაქციით) შესაბამისად გასული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და 27 წლის შემდეგ ამ ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი არ არსებობდა.

სამკვიდროს მიღება ატარებს უნივერსალურ ხასიათს და ვრცელდება მთელ სამკვიდრო ქონებაზე, ვის გამგებლობაშიც არ უნდა იყოს და რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი. სამკვიდრო ქონების სხვადასხვა ადგილას ყოფნის შემთხვევაში, სამკვიდროს მიღების უფლება ხორციელდება არა მხოლოდ სამკვიდროს გახსნის ადგილას მყოფი ქონების, არამედ ყველა სხვა ქონების მიმართ, მათი მღებარეობის მიუხედავად.

სამკვიდროს გახსნა ავტომატურად არ იწვევს სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებზე გადასვლას. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამკვიდროს მიღება კანონით ან ანდერძისმიერ მემკვიდრეთა მხრიდან.

მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ისინი აღნიშნულის თაობაზე შეიტანენ განცხადებას სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სანოტარო ორგანოში ან ფაქტობრივად შეუდგებიან სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით მემკვიდრეს შეაქვს წერილობითი განცხადება. განცხადებაზე მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი ან კანონით მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი. ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება საჭირო არ არის, თუ მემკვიდრე პირადად გამოცხადდება ნოტარიუსთან სამკვიდროს გახსნის ადგილის

მიხედვით და შეიტანს განცხადებას. ასეთ დროს ნოტარიუსი აღგენს მემკვიდრის ვინაობას და ადასტურებს ხელმოწერის ნამდვილობას, რასაც აღნიშნავს განცხადებაზე და ჩაიწერს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელებასა და მის რეკვიზიტებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფოსტით ან სხვა პირის მიერ ნოტარიუსთან შევა განცხადება, რომელზედაც მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა დადასტურებული არ არის, ნოტარიუსი მემკვიდრეებს აძლევს წინადადებას გამოაგზავნონ სანოტარო წესით დადასტურებული განცხადება ან პირადად გამოცხადდნენ მასთან ასეთი განცხადების გასაკეთებლად.

რაც შეეხება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფლობას ან მართვას, ეს ნიშნავს იმას, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო. სამკვიდრო მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროდან წილის მიღებაზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ.

სამკვიდროს ფლობასა და მართვასთან დაკავშირებით, ლოგიკურად იბადება კითხვა — რა იგულისხმება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობასა და მართვაში?

ამ ცნების ქვეშ იგულისხმება მემკვიდრის ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია სამკვიდრო ქონების სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის, ამ ქონების ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნის, სავალდებულო და სხვა გადასახადების გადახდისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე ისევე ეპყრობა სამკვიდრო ქონებას, როგორც თავისას. აქედან გამომდინარე, სამკვიდროს ფაქტობრივმა დაუფლებამ შეიძლება გამოხატულება პოვოს, მაგალ-

ითად, მიწის ნაკვეთის დამუშავებაში, მოსავლის აღებაში, მის დაბინავებაში, ბინის (ან სახლის) გათბობის უზრუნველსაყოფად საწვავის მოტანაში და სხვა. მემკვიდრისა და მამკვიდრებლისა გარდაცვალებამდე ერთად ცხოვრების ხანგრძლივობას სამკვიდროს მიღებისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია (თუნდაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ სამკვიდროს გახსნამდე ერთი დღე).

მემკვიდრის მიერ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა, სამკვიდრო ქონების გაყოფის თაობაზე, უთანაბრდება სამკვიდრო ქონების მიღებას.

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში, სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს სასამართლოს მიერ, თუ ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ არსებობდა პატივისადები მიზეზი, რის გამოც მემკვიდრემ ვერ შეძლო კანონით დადგენილ ვადაში მიელო სამკვიდრო ქონება.

კანონში არ არის მითითებული, თუ რა გარემოებები შეიძლება მიიჩნიოს სასამართლომ პატივისადებ მიზეზად. სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ვადის ობიექტური მიზეზებით გაშვებას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

. . . ფ.-ს გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, მისმა კანონიერმა მეუღლემ ნ.-მ, რომელიც არ ცხოვრობდა მამკვიდრებელთან, სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადებით მიმართა ნოტარიუსს. ნოტარიუსმა განუცხადა, რომ მას გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადა და ურჩია ვადის გასაგრძელებლად მიემართა სასამართლოსათვის.

სასამართლომ სარჩელის საფუძველზე მოითხოვა მტკიცებულებანი, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინა ვადის გაშვების საპატიო ხასიათი. მათი ერთობლიობაში განხილვისა და შეფასების შემდგომ სასამართლომ დააკმაყოფილა ნ.-ს სარჩელი სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის აღდგენის თაობაზე. საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს აგრეთვე მიმართეს სარჩელით მამკვიდრებლის შეილებმა პირველი ქორწინებიდან, რომლებიც ასევე ითხოვნენ სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელებას, რომლის გაშვების მოტივად ასახელებდნენ მამკვიდრებლისგან ცალკე ცხოვრებას. უფრო მეტიც, მათ მშობლის გარდაცვალების შესახებ შეიტყვეს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ სამკვიდროს განხნიდან, ვინაიდან ისინი სამსახურებრივი მივლინებით ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ. სასამართლომ აღნიშნული სარჩელის განხილვისას, გამოითხოვა მტკიცებულებანი, რის საფუძველზეც უნდა დარწმუნებულიყო მათ სისწორეში. მტკიცებულებათა წარმოდგენის შემდეგ გაირკვა, რომ მოსარჩელებმა არათუ გვიან შეიტყვეს მამის გარდაცვალების შესახებ, არამედ ესწრებოდნენ კიდევ მის დაკრძალვას, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა დაკრძალვის დღეს დეპეშით გამოხატა მწუხარება. ყოველივე ზემოთქმულიდან, სასამართლომ დაადგინა, რომ მემკვიდრეებმა იცოდნენ სამკვიდროს განხსნის შესახებ და ვერ შეძლეს განცხადებით მიემართათ სანოტარო ორგანოსთვის მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების განსახორციელებლად. მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე სასამართლომ არ მიიჩნია მათ მიერ წარმოდგენილი მოტივები პატივსაღებად და შესაბამისად უარი განუცხადა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებაზე.

მსგავსი სარჩელების განხილვისას, სასამართლო ვალდებუ-

ლია მოიწვიოს ყველა ის მემკვიდრე, რომლებმაც კანონით გათვალისწინებულ ვადებში მიიღეს სამკვიდრო ქონება. ასეთ დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივი დაუფლების მოტივით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს არა მოსარჩელის, არამედ სამკვიდროს შიშლები ერთ-ერთი მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მემკვიდრეთა შორის არსებობს შეთანხმება სამკვიდროს მიღებაზე, მისთვის დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვების მიუხედავად, მემკვიდრეები უფლებამოსილნი არიან სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე მიიღონ სამკვიდრო. თუ გაშვებულია არა მხოლოდ სამკვიდროს მიღების ვადა, არამედ არის დავა მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელებისა და მემკვიდრედ ცნობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრემ გაუშვა სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა, მაშინ იმისგან დამოუკიდებლად გაუგრძელა თუ არა სასამართლომ გაშვებული ვადა ან მემკვიდრეები შეთანხმდნენ თუ არა ვადის გასვლის მიუხედავად სამკვიდროს მიღებაზე, მემკვიდრე სამკვიდრო წილს მიიღებს მხოლოდ იმ ქონებიდან, რომელიც შენარჩუნებულია ნატურით, ხოლო ქონების არარსებობის შემთხვევაში, მისი რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს.

მემკვიდრე უფლებამოსილია მოითხოვოს სამკვიდროს აღწერა, რისთვისაც კანონით დადგენილია ორთვიანი ვადა და იგი შედის სამკვიდროს მისაღებად დადგენილ საერთო ვადაში. სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით, ნოტარიუსი აღწერს ქონებას და გადასცემს მას შესანახად მემკვიდრეებს ან სხვა პირებს. სამკვიდროს

აღწერაში ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს ინსტრუქცია – „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“¹, რომლის თანახმადაც სამკვიდრო ქონების აღწერა ხდება სპეციალისტის, პოლიციის უბნის რწმუნებულისა და ორი მოწმის, აგრეთვე აღწერაში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით. ქონების აღწერის შესახებ დგება აქტი სამ ეგზემპლარად და ყველა მათგანს ხელს აწერს ნოტარიუსი, დაინტერესებული პირები (მემკვიდრეები), მოწმეები და ქონების შესანახად მიმღები პირი (ან პირები).

სასამართლოს მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების შემთხვევაში, სამკვიდროს მიღების ვადის გამშვებ მემკვიდრეს უნდა დაუბრუნდეს მისი წილი ქონება, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს ან გადავიდა ხაზინის საკუთრებაში. თუ ქონება შენარჩუნებულია, დაბრუნება მოხდება ნატურით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ფულის სახით. ამასთან, სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მემკვიდრე მიიღებს მემკვიდრეობას და შესაბამისად მასზე გაიცემა სამკვიდრო მოწმობა.

თუ სამკვიდროს მიღების უფლება წარმოიშობა სხვა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაში, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი გაგრძელდება სამ თვემდე. მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამკვიდრო მემკვიდრემ უნდა მიიღოს პირადად. დასაშვებია სამკვიდროს მიღება წარმომადგენლის მეშვეობითაც.

¹ ინსტრუქცია, „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებების შესრულების წესის შესახებ“, დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 1998 წლის 30 ივნისს.

თუ მემკვიდრე შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას ისე, რომ არ დაელოდა სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას, მას ეკრძალება ქონების განკარგვა სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. არ არის გამორიცხული, რომ სამკვიდროს ფლობას შეუდგეს კანონისმიერი მემკვიდრე, რომელმაც არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, აგრეთვე ანდერძით მემკვიდრემ ანდერძის ბათილობის შესახებ, ან, თუ კანონით მემკვიდრეებმა არ იცოდნენ სხვა უფრო ახალი კანონით მემკვიდრეების ან სხვა ანდერძის არსებობის შესახებ, მაშინ მათ დარჩებათ შემოსავალი, რაც სამკვიდროდან მიიღეს სარჩელის აღძვრამდე, ამავდროულად, ისინი უფლებამოსილი არიან მოითხოვონ სამკვიდროში დაბანდებული მთელი კაპიტალი.

შესაძლებელია, რომ სასამართლოში სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით დავის აღძვრამდე, სამკვიდროში შემავალი ნივთები გაიყიდოს. ასეთ დროს ნასყიდობის ხელშეკრულება ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ნივთების გაყიდვით მიღებული თანხა გადაეცემა ნამდვილ მემკვიდრეს.

თუ კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრედ მოწოდებული პირი გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ და ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ ვადაში, სამკვიდროს იმ წილის მიღების უფლება, რაც გარდაცვლილს ერგებოდა, მის მემკვიდრეებზე გადადის (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). სამკვიდროს მიუღებლობა მემკვიდრეობითი ტრანსმისიით არ ართმევს შესაძლებლობას მემკვიდრეს, მიიღოს ის სამკვიდრო, რომელიც უშუალოდ ეკუთვნოდა გარდაცვლილ მემკვიდრეს.

იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მიღებულ ქონებაზე უარს განაცხადებენ მისი მიმღები პირები, ქონება გადა-

დის იმ პირებზე, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ სამკვიდროს მისაღებად გარდაცვლილ მემკვიდრეებთან ერთად.

მემკვიდრე, როგორც წესი, სამკვიდროს მიღებაზე უარს ამბობს კონკრეტული პირის სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ასეთ უარს არ ჰქონდეს კონკრეტული მისამართი, ანუ არ იყოს გარკვეული პირი, ვის სასარგებლოდაც არის ნათქვამი უარი. ასეთ შემთხვევაში ის წილი, რომელზედაც გაცხადებულია უარი, შეემატება მემკვიდრეებად მოწვეულ კანონით მემკვიდრეთა წილს. თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ – ანდერძით მემკვიდრეთა წილს და იგი ნაწილდება მათ შორის მათი წილის პროპორციულად, რა თქმა უნდა, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ სამკვიდროზე უარის მთქმელი მემკვიდრე ერთადერთია მოცემული რიგის მემკვიდრეთა შორის, სამკვიდრო გადადის მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე.

უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე დასაშვებია არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდაც. ასეთ დროს შესაძლებელია უარის მთქმელმა მემკვიდრემ აღნიშნოს თითოეულის წილზე. თუ ასეთი მითითება არ არსებობს, სამკვიდრო წილი თანაბრად განაწილდება იმ მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც სამკვიდროს მიღებაზე უარი იყო ნათქვამი.

კანონი უშვებს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას შვილიშვილების სასარგებლოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი.

რაც შეეხება უმკვიდრო ქონების ხაზინაზე გადასვლას, ხაზინას არა აქვს უფლება უარი თქვას მასზე გადასული სამკვიდროს მიღებაზე.

სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულ პირობას უყენებს იმ პირებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ვინმეს სასარგებლოდ უარი განაცხადონ სამკვიდრო წილზე. აღნიშნული პირობა ეხება სამკვიდრო წილზე უარის თქმის შეუქცევად ხასიათს. კერძოდ, სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, უარის მთქმელ პირს ართმევს უფლებას, შეცვალოს გადაწყვეტილება სამკვიდრო წილთან მიმართებაში.

თუ მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს.

კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეს შეუძლია სამი თვის განმავლობაში უარი თქვას მემკვიდრეობაზე იმ დღიდან, როდესაც მან შეიტყო, ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. თუმცა აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარი სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით სანოტარო ორგანოში.

თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე საერთოდ და არა კონკრეტულად ვინმეს სასარგებლოდ, სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის შემდგომ მას ერთმევა უფლება დააკონკრეტოს იმ პირის ვინაობა, ვის სასარგებლოდაც ნათქვამია უარი.

ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

სამოქალაქო კოდექსის 1448-ე მუხლი ითვალისწინებს სამკვიდროზე უარის თქმის უფლების მემკვიდრეობით გადასვლას. თუ გარდაცვლილ მემკვიდრეს დარჩა რამდენიმე მემკვიდრე, თითოეულს შეუძლია უარი თქვას მის სამკვიდრო წილზე.

სამკვიდროს მიღებაზე ან მასზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს მხოლოდ ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

კანონით დაშვებულია სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით, თუ დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურად არის გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ. არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. კანონით დადგენილია, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა ან რაიმე პირობაზე დათქმა, ითვლება მამკვიდრებლის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად, თუმცა არსებობს გამონაკლისი, როდესაც უარი ეხება სამკვიდროში შემავალ სასოფლო-სამეურნეო მიწას. მემკვიდრეს, რომელიც არ მისდევს სოფლის მეურნეობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე (მუხლი 1436-ე).

შესაძლებელია, რომ მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძველით სამკვიდროდან ეკუთვნოდეს რამდენიმე წილი. ასეთ დროს მას შეუძლია მიიღოს ერთი წილი და უარი თქვას მეორეზე, ან უარი თქვას ყველა წილზე. ამასთან, მემკვიდრეს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ეკუთვნის შე-

მატების უფლებით, სამკვიდროს დანარჩენი ნაწილის მიუხედავად.

განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება კომლში მემკვიდრეობის უფლების გადასვლა კომლის წევრებზე.

კომლის ქონება ეკუთვნის ყველა მის წევრს საერთო თანასაკუთრების უფლებით. კომლის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაზე სამკვიდრო არ გაიხსნება, ე. ი. არ ხდება საერთო თანასაკუთრებიდან გარდაცვლილის წილის გამოყოფა და მემკვიდრეობით გადაცემა. მთელი ქონება კვლავ რჩება კომლის დარჩენილი წევრების საერთო საკუთრებად, მაგრამ არა მემკვიდრეობის წესით, არამედ მათი გამაერთიანებელი საოჯახო-შრომითი კავშირის გამო. კომლის ქონების ასეთი რეჟიმი ზღუდავს მისი წევრების საანდერძო განკარგულების თავისუფლების პრინციპს. კომლის წევრებს უფლება არა აქვთ დატოვონ ანდერძი კომლის საერთო ქონების რაიმე ნაწილზე. კომლის გარდაცვლილი წევრის მიერ დატოვებული ანდერძი კომლის ქონებაზე ბათილია.

ერთადერთი საფუძველი, როდესაც შეიძლება სამკვიდროს გახსნა კომლის ქონებაში, ეს არის კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალება. თუ კომლის უკანასკნელი წევრი არ დატოვებს ანდერძს, მაშინ კომლის ქონება გადადის მემკვიდრეობით საერთო საფუძველზე, ე.ი. კომლის უკანასკნელი წევრის კანონისმიერ მემკვიდრეებზე იმ პირობით, რომ არ დაიშალოს კომლის მეურნეობა (მუხლი 1463-ე).

კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი ქონება (ტანსაცემელი, დანაზოგი და სხვა) გადადის მემკვიდრეებზე საერთო საფუძველით, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხლები არიან კომლის სხვა წევრები, ხოლო კომლს არ შეუწყვეტია თავისი არსებობა.

§ 2. სამკვიდროს გაყოფა

სამკვიდრო ქონების ფლობა და მართვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მემკვიდრე კანონიერად ფლობს იმ წილს, რაც მას კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობისას ერგებოდა.

თუ სახეზეა რამდენიმე მემკვიდრე, სამკვიდრო ქონება უნდა გაიყოს კანონით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, თანამემკვიდრეთა შეთანხმებით შესაძლებელია მთელი სამკვიდროს გადასვლა ერთ თანამემკვიდრეზე, რომელიც, თავის მხრივ, მოვალეა სხვა თანამემკვიდრეებს მისცეს შესაბამისი კომპენსაცია. თანამემკვიდრეებს აგრეთვე აქვთ კანონით მინიჭებული უფლება, შეთანხმდნენ სამკვიდრო ქონების გაყოფის განსაზღვრული დროით შეჩერების თაობაზე.

სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიძღები მემკვიდრეების შეთანხმებით, იმ წილის შესაბამისად, რაც თითოეულ მათგანს ერგება კანონით. რაც შეეხება ანდერძით ქონების გაყოფას, ის მას არ საჭიროებს, რადგან მოანდერძეს თავისი განკარგულებით (ანდერძით) უკვე განსაზღვრული აქვს სამკვიდროს გაყოფის წესი. მოანდერძემ შესაძლებელია ანდერძით გათვალისწინებული სამკვიდრო ქონების გაყოფა მიანდოს მესამე პირს. თუ ეს უკანასკნელი არაკეთილსინდისიერად და, ამავე დროს, უსამართლოდ მოახდენს ქონების განაწილებას, მაშინ მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო ქონების გაყოფა მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებიდან. ასეთი გამოყოფა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაძლებელია ან კანონით არ არის აკრძალული.

ნატურით გაყოფის შესაძლებლობაში იგულისხმება განუყოფადი ნივთების ისეთი დანაწილება, რომელიც ამ ნივთს არ დაუკარ-

გავს სამეურნეო ან სხვა მიზნობრივ დანიშნულებას (მაგალითად, ავტომანქანა). თუ სამკვიდროში შემავალი ქონების გაყოფა გამოიწვევს მისი დანიშნულების მოშლას და ვერ მოხერხდება მემკვიდრეთა შეთანხმება მისი ერთერთ მემკვიდრეზე გადაცემის თაობაზე, ასეთი ქონება მათი შეთანხმებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით, გახდება მემკვიდრეთა საერთო წილობრივი საკუთრება.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეცვალა საჩუქრის სამართლებრივი რეჟიმი სამკვიდრო ქონებასთან მიმართებაში.

თუ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში მემკვიდრისათვის გაკეთებულ საჩუქარს არ თვლიდა სამკვიდრო ქონების ნაწილად და მის მიმართ არ გამოიყენებოდა მემკვიდრეობის სამართლის მომწესრიგებელი ნორმები, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა პრინციპულად შეცვალა საჩუქრიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, სამკვიდრო ქონების გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში. აღნიშნულის ნათესაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ ქართული ტრადიციებით გათვალისწინებული ქალიშვილის გამზითვების მაგალითი. თუ ძველი კოდექსით მზითვი, როგორც მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მხედველობაში არ მიიღებოდა სამკვიდროს გაყოფისას, დღეს იგი სამკვიდრო ქონებად ჩაითვლება, თუ გაკეთებული იყო სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში.

სამოქალაქო კოდექსმა განსაზღვრა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწისა და მასზე მოწყობილი საადგილმამულო მეურნეობის გაყოფის წესი და პირობები. კერძოდ, გაყოფა დაიშვება იმ შემთხ-

ვევაში, თუ ამგვარი გაყოფის შედეგად თითოეულ მემკვიდრეზე მოსული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფს სიცოცხლისუნარიანი მეურნეობის არსებობას; გაყოფა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები თვითონ აპირებენ გაუძღვნენ მეურნეობას, ხოლო, თუ არც ერთი მემკვიდრე არ მოისურვებს გაუძღვეს მეურნეობას, შესაძლებელია მათი შეთანხმებით მიწისა და მასზე მოწყობილი მეურნეობის გაყიდვა და მემკვიდრეების მიერ თავიანთი წილი ფულის მიღება. მემკვიდრე, რომელიც ვერ მიიღებს მიწის ნაკვეთს, მიიღებს შესაბამის წილს სხვა ქონებიდან; თუ ეს ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება, მაშინ სათანადო ფულად კომპენსაციას დადგენილი წესის მიხედვით.

თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყოფა შეუძლებელია, მაშინ მიწა უნდა მიეკუთვნოს იმ მემკვიდრეს, რომელიც საადგილმამულო მეურნეობაში ცხოვრობს და მამკვიდრებულთან ერთად ეწეოდა მეურნეობას; თუკი ასეთი მემკვიდრე არ არის, მაშინ მიეკუთვნება მას, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს მეურნეობას და აქვს ამის სურვილი.

ამავე დროს, თანამემკვიდრეთა შეთანხმებით მიწა და მასზე მოწყობილი საადგილმამულო მეურნეობა შეიძლება დარჩეს მათ საერთო საკუთრებაში.

კანონით დაუშვებელია სამკვიდროს გაყოფა ჩასახული მემკვიდრის დაბადებამდე. თუ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადება, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს მინიჭებული აქვთ უფლება გაიყონ სამკვიდრო მხოლოდ მისი კუთვნილი წილის გამოყოფით. ახალშობილის წილის მიკუთვნებისას, მისი ინტერესების დასაცავად მოწვეულ უნდა იქნენ მისი კანონიერი წარმომადგენლები. ჩასახული მემკვიდრის მკვდრად დაბადების შემთხვევაში, მისი წილი

სამკვიდრო განაწილდება მემკვიდრეთა შორის პროპორციულად. მათ კუთვნილ წილზე მიმატებით.

ახალი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არა მხოლოდ მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადაცემას, არამედ მათ მიერ სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც. ამასთან, კანონი დასაშვებად მიიჩნევს თანამემკვიდრეთა შეთანხმებით სავალო მოთხოვნების მთლიანად დაკისრებას, ერთ-ერთ მემკვიდრისათვის სამკვიდროდან შესაბამისად გაზრდილი წილის მიცემის სანაცვლოდ.

თითოეული თანამემკვიდრე ვალდებულია უზრუნველყოს სხვა თანამემკვიდრეთა მიერ შესაბამისი წილის მიღება.

თანამემკვიდრის მიერ სამკვიდროს გაყოფის შედეგად მოთხოვნის უფლების შექმნა, ვალდებულს ხდის თანამემკვიდრეებს ხელი შეუწყონ მოვალის გადახდისუნარიანობას გაყოფის მომენტში თავთავიანთი სამკვიდრო წილის მიხედვით, ხოლო თუ ასეთი ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა, მაშინ ვალდებულების შესრულების მომენტში (მუხლი 1467-ე).

თანამემკვიდრეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გარკვევა, აქვთ თუ არა თანამემკვიდრეებს მათი სამკვიდროს მიღებამდე სამკვიდროში შემავალი თავისი კუთვნილი წილის ან ცალკეული საგნების განკარგვის უფლება. კანონით დადგენილია, რომ თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს მხოლოდ თავისი წილი სამკვიდროში. ხელშეკრულება, რომლითაც ერთ-ერთი თანამემკვიდრე განკარგავს თავის წილს, უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ.

რაც შეეხება ცალკეულ საგნებს, კანონი ასევე ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს მემკვიდრის კუთვნილი წილიდან ცალკეული საგნების განკარგვის დაუშვებლობას. საკითხისადმი კანონის ამდაგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ სამკვიდრო მის

გაყოფამდე ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს და თუ რომელი საგანი შევა თითოეული მათგანის სამკვიდრო წილში, მისი დადგენა სამკვიდროს მიღებამდე გაურკვეველია, რადგან წილი სამკვიდროში არის რეალური ცნება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებაში და მისი გასხვისება ხელს არ შეუშლის შემძენისათვის შემდგომში წილის განსაზღვრას (მუხლი 1470-ე).

თანამემკვიდრის მიერ თავისი წილის განკარგვის შემთხვევაში, სხვა თანამემკვიდრეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც უნდა განხორციელდეს ორი თვის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ ეს უფლება გადადის მემკვიდრეობით და წყდება თანამემკვიდრისათვის წილის გადაცემის შემდეგ. უპირატესი უფლების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სხვა მემკვიდრეთა ბუნებრივი ინტერესები, რომლებიც მონაწილეობენ სამკვიდროს გაყოფაში. თუ ქონება საკმარისი არ იქნება მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მაშინ მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. იმ მემკვიდრეების მოთხოვნით, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაცია მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლის ვადით (მუხლი 1482-1483-ე).

კანონი უშვებს მემკვიდრისათვის წილის გათანაბრების შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებულია სამკვიდროს მისაღებად მოწვეული მემკვიდრეთა ვალდებულება სამკვიდროს გაყოფამდე სამკვიდრო ქონებას მიათვალონ ყოველივე, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში, მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ, რა თქმა უნდა,

მამკვიდრებლის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობისას, შთამომავლის მხრივ განსაკუთრებული წვლილის შეტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, მას (შთამომავალს – დამავალი ხაზის ნათესავს) უფლებას აძლევს გაუთანაბრდეს იმ ნათესაებს, რომლებიც მასთან ერთად ითვლებიან კანონით მემკვიდრეებად და ითხოვენ სამკვიდროს. მაგრამ თუ ეს პირი მომსახურებისათვის იღებდა გასამრჯელოს, ან გასამრჯელო წინასწარ შეთანხმებული იყო, ან მას გაწეული მომსახურების საფუძველზე შეუძლია წარადგინოს რაიმე მოთხოვნა სხვა სამართლებრივი საფუძველით, მაშინ მას ერთმევა კანონით მემკვიდრეებთან გათანაბრების უფლება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონი, სამკვიდროს გაყოფის გათანაბრებისას, ითვალისწინებს სამართლიანი განაწილების პრინციპს, რომლის თანახმად გაწეული მომსახურებისა და სამკვიდროს მოცულობის მიხედვით, გათანაბრება უნდა მოხდეს სამართლიანად. სამკვიდროს გამოყოფისას, გათანაბრებისათვის აუცილებელია, რომ სამკვიდრო საერთო თანხას გამოაკლდეს გათანაბრების თანხა და მიემატოს იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს.

პრაქტიკაში არცთუ იშვიათად ღებება საკითხი სამკვიდროს განხსნამდე ან განხსნის შემდეგ იმ შთამომავლის გამოკლების შესახებ, რომელიც როგორც მემკვიდრე, ვალდებული იქნებოდა გაეთანაბრებინა წილი. ასეთი შემთხვევებისათვის კანონით გათვალისწინებულია წილის გათანაბრების მოვალეობა დაეკისროს მემკვიდრეს, რომელმაც უნდა მიიღოს გარდაცვლილი მემკვიდრის წილი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სამკვიდროს განხსნისას მემკვი-

დრეები არ ცხოვრობენ მამკვიდრებელთან. ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით დადგენილი იყო 6 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეებს უნდა განეცხადებინათ მემკვიდრეობის მიღების, მასზე უარის თქმის ან გაყოფის თაობაზე. მაგრამ, ამავე დროს, მემკვიდრეებს არ ჰქონდათ გამოუცხადებელი მემკვიდრის ადგილსამყოფელის დადგენისა და მათი მოწვევის ვალდებულება. არცთუ იშვიათად მემკვიდრეები ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო (მამკვიდრებლის გარდაცვალების შეუტყობინებლობა, ავადმყოფობა, ხანგრძლივი დროით საზღვარგარეთ ყოფნა და ა. შ.) ვერ ახერხებდნენ კუთვნილი წილის მემკვიდრეობით მიღებას, რაც საფუძველი ხდებოდა იმისა, რომ ამ უფლების განხორციელების მიზნით სარჩელით მიემართათ სასამართლოსათვის ვადის გაგრძელებისა და სამკვიდროს კანონიერად გაყოფის თაობაზე. დღეს მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა შეავსო ეს ხარვეზი და მემკვიდრეებს დააკისრა ვალდებულება, დროულად მოახდინონ სხვა მემკვიდრეთა ადგილსამყოფელის დადგენა და უზრუნველყონ მათი მოწვევა სამკვიდროს მისაღებად.

მემკვიდრე, რომელიც ადგილზე არ იმყოფება, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი დადგენილია, თუ 3 თვის განმავლობაში უარს არ იტყვის სამკვიდროზე, დანარჩენი მემკვიდრეები ვალდებული არიან შეატყობინონ მას სამკვიდროს გაყოფის თაობაზე, ხოლო თუ შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში ის არ აცნობებს დანარჩენ მემკვიდრეებს ქონების გაყოფის თაობაზე შეთანხმებაში მონაწილეობის სურვილის შესახებ, დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გაყონ ქონება და გამოყონ ადგილზე არმყოფი მემკვიდრის წილი.

სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში, თუ ვერ მოხერხდა ადგილზე არმყოფი მემკვიდრის ადგილსამყოფელის დადგენა და არც რაიმე ცნობაა მისგან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, დანარჩენ მემკვიდრეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გაყონ ქონება და გამოყონ ადგილზე არმყოფი მემკვიდრის წილი.

მემკვიდრეებს, რომლებსაც მამკვიდრებელთან ერთად აქვთ საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე, მისი სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, აქვთ უპირატესი მემკვიდრეობის უფლება ამ ქონებაზე. უფრო მეტიც, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის ან საცხოვრებელი სადგომის მიღების უპირატესი უფლება. ასეთ დროს, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სამკვიდროს გაყოფაში მონაწილე სხვა პირთა ქონებრივი ინტერესები კანონით დადგენილი წესის ფარგლებში. კერძოდ, თუ ქონება საკმარისი არ იქნება მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მაშინ მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია (1482-ე მუხლი).

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მემკვიდრეობის განსაკუთრებული წესი იყო დადგენილი ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და ყოფაცხოვრების საგნებზე. აღნიშნული საგნები შეადგენდნენ სამკვიდროს ცალკე ნაწილს. სამკვიდროს ამ ნაწილის მისაღებად მოუწოდებდნენ მხოლოდ მის კანონისმიერ მემკვიდრეებს (მემკვიდრეს), რომლებიც სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდნენ არანაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე და თანაც საერთო მეურნეობა ჰქონდათ მასთან ან მის კმაყოფაზე

იმყოფებოდნენ. ასეთი წესის არსებობის პირობებში შეიძლება ამ ქონების მემკვიდრენი აღმოჩენილიყვნენ, მაგალითად, სამკვიდროს დამტოვებლის დები და ძმები და არა მისი ღვიძლი შვილები ან მშობლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების მემკვიდრეობის ასეთი წესი უზრუნველყოფდა იმ ყოფითი პირობების სტაბილურობას, რაც სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში ჩამოყალიბდა.

ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად მცხოვრებ მემკვიდრეებზე გადადიოდა იმ წილზე დამატებით, რაც მათ ერგებოდათ კანონით. ეს ქონება თანაბრად იყოფოდა მათ შორის.

იმისათვის, რომ ქონება, რომელიც ჩვეულებრივ საოჯახო მოწყობილობასა და საყოფაცხოვრებო საგნებს განეკუთვნებოდა, გადასულიყო მემკვიდრეებზე, საჭირო იყო შემდეგი 4 პირობის არსებობა: 1) მემკვიდრეებს, მემკვიდრეობის რიგის მიუხედავად, უნდა ეცხოვრათ სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად; 2) ეს ცხოვრება უნდა გაგრძელებულიყო არანაკლებ ერთი წლისა სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილამდე; 3) უნდა ჰქონოდათ საერთო მეურნეობა მასთან; 4) ან უნდა ყოფილიყვნენ მის კმაყოფაზე. აღსანიშნავია, რომ ახალი სამოქალაქო კოდექსი საოჯახო მოწყობილობისა და ყოფაცხოვრების საგნების მიმართ არ ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ წესს, ისინი საერთო წესით შედიან სამკვიდრო ქონებაში და მათზე ვრცელდება საოჯახო მონმარების საგნების მიღების უპირატესი უფლება მხოლოდ იმ მემკვიდრეთა მიმართ, რომლებიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლისა, ცხოვრობდნენ მამკვიდრებელთან ერთად. აღნიშნული უფლება ახალი

სამოქალაქო კოდექსით ვრცელდება საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიმართაც (მუხლი 1481-ე).

თუ გარდაცვლილთან არც ერთი მემკვიდრე არ ცხოვრობდა, მაშინ ეს საგნები გადადის კანონისმიერ მემკვიდრეებზე საერთო წესით.

§ 3. სამკვიდროს დაცვა

სამკვიდროს გახსნისას, შესაძლებელია, არ იყოს ცნობილი მემკვიდრეებისა და სამკვიდროს შემადგენლობის შესახებ. უდავოა, რომ ასეთი სამკვიდრო ქონება მოითხოვს დაცვას, რათა არ მოხდეს მისი განადგურება, განიაყება ან დატაცება. ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად, სამკვიდროს გახსნის ადგილის შესაბამისი ნოტარიუსი, დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის, ან თავისი ინიციატივით იღებს აუცილებელ ზომებს სამკვიდროს დაცვისათვის. სამკვიდრო ქონების დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს, მემკვიდრეებისა და კრედიტორების ინტერესების დასაცავად. ნოტარიუსის მიერ ქონების დაცვა გაგრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე (ჩასახული ბავშვის დაბადებამდე) ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე.

თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია (მამკვიდრებლის ან სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრები პირები აღწერის წინააღმდეგნი არიან, არ წარადგენენ ქონებას აღსაწერად, ანდა ქონება გადატანილია და ა. შ.), ნოტარიუსი შეადგენს აქტს და ამის შესახებ შეატყობინებს დაინტერესე-

ბულ პირებს, ხოლო საჭიროების შემთხვევებში – საფინანსო ორგანოს.

სამკვიდრო ქონების დაცვა შეიძლება გაგრძელდეს სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგაც, თუ ნოტარიუსთან შვეა განცხადება მემკვიდრეობის მიღების თანხმობის შესახებ იმ პირთაგან, რომელთა მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა სხვა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევაში და თუ სამკვიდროს მისაღებად კანონით დაწესებული ექვსი თვის ვადის გასვლამდე დარჩა სამ თვეზე ნაკლები. ამასთან, ნოტარიუსი მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს, სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით, მიღებული ზომების შეწყვეტის შესახებ.

თუ საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში ქონება აღმოჩნდება საზღვარგარეთ, მისი დაცვა ევალება საკონსულო დაწესებულების შესაბამის თანამდებობის პირს.

სამკვიდრო ქონება ყოველთვის როდი თხოულობს დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მემკვიდრეები შეუდგებიან ამ ქონებით სარგებლობასა და ფლობას სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე, ისინი თვითონ ახორციელებენ მის დაცვას, სამკვიდროს გახსნის დღიდან დადგენილი ვადის (ექვსი თვის) გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. ამ დროის განმავლობაში ისინი უფლებამოსილი არიან, გაწიონ ხარჯები, მაგრამ არა აქვთ უფლება განკარგონ სამკვიდრო.

სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი, ქონების დაცვის მიზნით, აღწერს სამკვიდროს და შესანახად გადასცემს მემკვიდრეს ან სხვა პირს. ამავე დროს, იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფებიან.

სამკვიდროში შემაჯალი ფულადი თანხები, რომელიც დარჩა მამკვიდრებელს. შეინახება დეპოზიტში მემკვიდრეთათვის გადაცემამდე.

ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (როდიუმი, პალადიუმი, ირიდიუმი, რუთენიუმი) მონეტებში, ზოდის ან ნედლეულის სახით და უცხოური ვალუტა, ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, ფასიანი ქაღალდები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები, აქციები, ობლიგაციები და სხვა), ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, მათ შორის ძვირფასი ქვები, მემკვიდრეთათვის გადაცემამდე, არსებული წესის მიხედვით, შესანახად ბარდება ბანკში.

გარდაცვლილის ქონებაში აღმოჩენილი იარაღი (სანადირო თოფის გარდა) და ფეთქებადი ნივთიერებანი, განსაკუთრებული აღწერილობის მიხედვით, ბარდება შინაგან საქმეთა ორგანოებს. თუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ლიტერატურული შრომები, ისტორიული ან მეცნიერული მნიშვნელობის წერილები, ისინი ცალკე აღიწერება და გადაეცემა მემკვიდრეებს ან მემკვიდრეების არყოფნის შემთხვევაში, შესაბამის ორგანიზაციებს, რომლებსაც აფრთხილებენ შენახვაზე პასუხისმგებლობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სავალდებულოა ნოტარიუსის მიერ დაილუქოს დოკუმენტები ან ის ადგილი, სადაც დაცულია აღნიშნული სახის დოკუმენტები.

დასაშვებია, რომ სამკვიდრო ან მისი ნაწილი არ იმყოფებოდეს სამკვიდროს გახსნის ადგილას. ასეთ დროს სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანო ავალებს ქონების სამყოფელი ადგილის სანოტარო ორგანოს ზომების მიღებას ამ ქონების დასაცავად.

თუ სამკვიდრო ქონება მართვას საჭიროებს, მას როგორც წესი, ნიშნავს სანოტარო ორგანო. მმართველი დაინიშნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი. აღნიშნულ ქონებაზე ნოტარიუსი ნიშნავს მმართველს, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება. მმართველი არ დაინიშნება, როცა თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო ან თუ დაინიშნულია ანდერძის აღმსრულებელი.

§ 4. სამკვიდრო მოწმობა

სამკვიდრო მოწმობა არის მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადასტურებელი დოკუმენტი უფლებამოსილების წესით მამკვიდრებლის უფლება-მოვალეობათა მემკვიდრეებზე გადასვლის შესახებ. იგი შესაბამისად მემკვიდრეობის უფლებათა წარმოშობის საფუძველია.

სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეს (ან მემკვიდრეებს) უფლება აქვს, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს, მოსთხოვოს სამკვიდროს გახსნის ადგილას მდებარე სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობა¹. მემკვიდრეთა წერილობითი განცხადებით ნოტარიუსი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით გასცემს სამკვიდრო მოწმობას. იმისათვის, რომ მემკვიდრეს წარმოემვას მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე საკუთრების უფლება, სამკვიდრო მოწმობის მიღება სავალდებულოა. თუმცა მისი მიუღებლობა არ უკარგავს მას უფლებას სამკვიდროზე, თუ ის დადგენილი წესით უკვე მიღებული იყო.

¹ ნოტარიუსი მემკვიდრეობის უფლების მოწმობას გასცემს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ანდერძი დადასტურებულა იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომელიც მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლში.

სამკვიდრო მოწმობა ეძლევა მემკვიდრეს (ან მემკვიდრეებს), სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ნები-სმიერ დროს.

ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევა-ში, თუ ნოტარიუსს (ან კონსულს) მოეპოვება ცნობა სხვა მემკვი-დრეების არარსებობის თაობაზე. სამკვიდრო მოწმობა მიეცემათ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა, ე.ი. ფაქტობრი-ვად ფლობენ ან მართავენ სამკვიდრო ქონებას ან შეიტანეს განცხ-ადება სამკვიდროს მიღების შესახებ სამკვიდროს გახსნის ადგილ-ას მდებარე სანოტარო ბიუროში.

მემკვიდრეები, რომლებსაც სამკვიდრო არ მიუღიათ კანო-ნით დადგენილ ვადაში, შესაძლებელია რომ შეტანილ იქნენ მოწმობაში ყველა იმ მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მი-იღეს სამკვიდრო, რაზედაც განცხადებულ უნდა იქნეს წერი-ლობით სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. ეს უკანასკნელი შეი-ძლება გაიცეს როგორც მთელ სამკვიდროზე, ასევე მის ნაწ-ილზე. სამკვიდრო მოწმობის მიცემა ერთი მემკვიდრისათვის სამკვიდროს ნაწილზე არ ართმევს უფლებას სხვა მემკვიდრეებს, მიიღონ მოწმობა სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე.

მამკვიდრებელთან მემკვიდრეთა ნათესაური და სხვა ურთ-იერთობის მტკიცებულებად ჩაითვლება მოქალაქეთა მდგომარე-ობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მოწმობა, ამონაწერი სააქტო ჩანაწერთა რეგისტრაციის წიგნიდან, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ნათესაური ფაქტის დადგენის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებ-ში შეიძლება მიღებულ იქნეს დაწესებულების ანდა ორგანიზაციის მიერ სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაცემუ-

ლი ცნობები, თუ ისინი სხვა დოკუმენტებთან ერთად ადასტურებენ მამკვიდრებელთან მემკვიდრის (ან მემკვიდრეების) ნათესაურ ან სხვა ურთიერთობას.

თუ ერთ ან რამდენიმე კანონით მემკვიდრეს საშუალება არა აქვს წარმოადგინოს ნათესაური ან სხვა ურთიერთობის დამადასტურებელი მტკიცებულება. რაც საფუძველს ქმნის მათ მემკვიდრეებად მოსაწვევად, ისინი შეიძლება შეტანილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი მემკვიდრის წერილობითი თანხმობით, რომლებმაც მიიღეს ეს მემკვიდრეობა და წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულებანი. მემკვიდრეთა თანხმობა უნდა გაფორმდეს წერილობით.

ანდერძით მემკვიდრეობისას, სამკვიდრო მოწმობის გაცემის დროს, ნოტარიუსი, შესაბამის მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით, ამოწმებს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტს, ანდერძის არსებობას, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, იმ სამკვიდრო ქონების შემადგენლობასა და ადგილსამყოფელს, რომელზეც უნდა გაიცეს მოწმობა, არკვევს იმ პირთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე სამკვიდრო ქონებაში, აგრეთვე უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის ანდერძი გაუქმებული იმ ნოტარიუსის მიერ, ვინც დაადასტურა იგი. ანდერძისმიერ მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, უნდა დადასტურდეს ანდერძში მითითებული პირისა და მამკვიდრებლის ნათესაური ან სხვა ურთიერთკავშირი, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულების საფუძველზე.

თუ სამკვიდროს შემადგენლობაში შედის მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, მაშინ მასზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში.

სამკვიდრო მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე, მათი სურვილისამებრ. მოწმობის მისაღებად მემკვიდრის პირადად გამოცხადება სავალდებულო არ არის, დასაშვებია მისი მიღება წარმომადგენლის საშუალებით.

არასრულწლოვან, ქმედუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონე მემკვიდრეთა სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემთხვევაში, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, ნოტარიუსი სამკვიდრო მოწმობის ასლს უგზავნის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მემკვიდრეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით¹.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული წესები სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ ეხება ფიზიკურ პირებს. ამავე დროს, კანონი ითვალისწინებს როგორც იურიდიული პირების, ისე ხაზინის მემკვიდრეობის უფლებას. უმკვიდრო ქონების ხაზინაზე გადასვლის შემთხვევაში, მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სამკვიდრო მოწმობა გაიცემა ისეთივე წესისა და პირობების დაცვით, რაც საერთოდ გათვალისწინებულია სამკვიდრო მოწმობის მისაღებად. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ხაზინას არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა, ხაზინის წარმომადგენელი ვალდებულია განცხადებით მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად.

რაც შეეხება ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დროს ხაზინაზე ან ანდერძით გათვალისწინებულ იურიდიული პირის სახელზე გასაცემ სამკვიდრო მოწმობას, ამ შემთხვევაშიც ნოტარიუსი სამკვიდრო მოწმობას გასცემს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის

¹ იხ. ინსტრუქცია „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“. 1998. თბ. გვ. 36.

შემთხვევებისათვის დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. ისე, რომ ყველა შემთხვევაში ხაზინასაც და იურიდიულ პირსაც (მის მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში) უნდა გააჩნდეთ სამკვიდრო მოწმობა, რომელიც დაადასტურებს მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე საკუთრების უფლებას.

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრეები იხდიან კანონით განსაზღვრულ სავალდებულო გადასახადს, რომელიც გათვალისწინებულია „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის მისაღებად ნოტარიუსთან (ან ამისათვის უფლებამოსილ თანამდებობის პირთან) გადახდილი სავალდებულო გადასახადი არ წარმოადგენს „ბაჟს მემკვიდრეობისათვის“, რომელიც გადახდება მემკვიდრეს ყოველგვარი სამკვიდროს მიღებისათვის, არამედ ეს არის საზღაური სამკვიდრო უფლებების გაფორმებისათვის და, აქედან გამომდინარე, სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის და იგი უშუალოდ უკავშირდება სანოტარო მოქმედების შესრულებას. აღნიშნული კანონით სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის საზღაური გამოიანგარიშება სამკვიდროს ღირებულებიდან, ამავე კანონით დადგენილი წესების გათვალისწინებით. რაც შეეხება რამდენიმე მემკვიდრის არსებობას, საზღაური გამოიანგარიშება შესაბამისად, თითოეული მემკვიდრის წილის პროპორციულად.

თავი მეექვსე

§1. საემეკვიდრეო ურთიერთობები საერთაშორისო კერძო სამართალში

სამემკვიდრეო სამართალი, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, წარმოადგენს იმ სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობას, რაც დაკავშირებულია გარდაცვლილის უფლება-მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლასთან. მემკვიდრეობით უფლების მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმოებულ საშუალებას საკუთრების უფლების მიღებისა, რაც აღიარებულია დასავლეთის ქვეყნების სამართლებრივი სისტემების მიერ და ემსახურება საწარმოო ურთიერთობების განმტკიცებისა და დაცვის მიზანს.

სამემკვიდრეო სამართალი ეყრდნობა ორი ფუძემდებლური პრინციპის ერთობლიობას, კერძოდ, ანდერძის თავისუფლებასა და ოჯახის ინტერესების დაცვას. აღნიშნული პრინციპები მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებს, თუმცა მათი თანაფარდობა აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უცვლელი არ დარჩენილა.

ანდერძის თავისუფლების პრინციპი, გამომდინარეობს რა კერძო საკუთრების თავისუფლების პრინციპიდან და გააჩნია განვითარების იგივე სისტემა, გარკვეულწილად შეზღუდვებს განიცდიდა იმის გამო, რომ სამემკვიდრეო ურთიერთობათა რეგულირების სფეროში იზრდებოდა სახელმწიფოს როლი. ანდერძის თავისუფლება, რომელიც კერძო მესაკუთრეს აძლევდა შესაძლებლობას თავად განესაზღვრა თავისი ქონების იურიდიული ბედი სიკვდილის შემდეგ, უფრო და უფრო იზღუდება მემკვიდრის ოჯახის სასარგებლოდ.

სამემკვიდრეო სამართალი, მიეკუთვნება რა სამოქალაქო სამართლის მეტად კონსერვატიულ და სტაბილურ ინსტიტუტს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განიცდის შესამჩნევ ცვლილებებს, რაც საშუალებას იძლევა გამოვყოთ ზოგიერთი საერთო, ახალი ტენდენცია.

XX საუკუნის II ნახევარში უცხოელი ელემენტის მონაწილეობის საკითხმა სამემკვიდრეო ურთიერთობებში დიდი გავრცელება პოვა, რაც განაპირობა მთელმა რიგმა ობიექტურმა ფაქტორებმა. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ტერიტორიაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება; აგრეთვე მოსახლეობის მიგრაციის ზრდა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს საქართველოდან საქართველოს მოქალაქეთა, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გასვლას, დაბოლოს, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის პირადი და საქმიანი ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაფართოება. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, თანდათან გაიზარდა და განვითარდა სამემკვიდრეო ურთიერთობებიც. დღესდღეობით სხვადასხვა სახის სამემკვიდრეო ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობენ უცხოელები (მაგალითად, საზღვარგარეთ სამემკვიდროს განხნისას და სხვა).

ზემოთ აღნიშნულ სფეროში არსებული პრაქტიკის სირთულე და მრავალფეროვნება, რომელიც კონკრეტული სამემკვიდრეო ურთიერთობების რეგულირებისას წამოიჭრება, აიხსნება სამემკვიდრეო სამართლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის განსხვავებულობით. ეს ფაქტი იმაშიც ვლინდება, რომ, მაგალითად, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება კანონითა და ანდერძით მემკვიდრეთა წრე; დადგენილია გან-

სხვაეუბლი მოთხოვნები ანდერძის ფორმის შესახებ; სამემკვიდრეო ქონების განაწილებისას გამოიყენება სხვადასხვა სისტემა და ა.შ.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალი პრინციპულად განსხვავდება დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სამემკვიდრეო სამართლისაგან. თუ კონტინენტურ ევროპაში უნივერსალური უფლებამონაცვლეობაა, რის შედეგადაც გარდაცვლილის უფლებები და მოვალეობები უშუალოდ მემკვიდრეს გადაეცემა, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, მამკვიდრებლის ქონება თავდაპირველად გადაეცემა გარდაცვლილის „პირად წარმომადგენელს“ მინდობილი საკუთრების უფლებით, რომელიც მემკვიდრეებს გადასცემს ქონების იმ ნაწილს, რაც დარჩება კრედიტორების დაკმაყოფილების შემდგომ.

§2. მემკვიდრეობა ანდერძით

ყველა ქვეყნის სამართლებრივი სისტემა მემკვიდრეობითობის საფუძველად ასახელებს ანდერძსა და კანონს. ანდერძით მემკვიდრეობას, რომელიც საშუალებას აძლევს მესაკუთრეს განკარგოს თავისი ქონება გარდაცვალების შემთხვევაში, გააჩნია წამყვანი როლი; ხოლო კანონით მემკვიდრეობას, თავისი არსის მიხედვით, სუბსიდიური მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ანდერძი.

ანდერძის მემკვიდრეობისას მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე

იურიდიული პირები (სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი „ბ“ პუნქტი).

ანდერძი მამკვიდრებლის ნების გამოვლინების კანონიერი ფორმაა, რომელიც შეეხება მისი ქონების იურიდიულ ბედს გარდაცვალების შემდეგ. ასეთი ნების გამოვლენას, როგორც წესი, გააჩნია ცალმხრივი ხასიათი. ამასთან, მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობას, რომელშიც გამოხატულია ორი ან რამდენიმე პირის სურვილი. ასეთი ანდერძი მიღებულია გერმანიაში, ინგლისსა და აშშ-ში.

ანგლოამერიკული სამართალი ითვალისწინებს ისეთ ანდერძსაც, რომელიც განსაზღვრავს რამდენიმე პირის ურთიერთმოვალეობებს. ზემოთ აღნიშნულ ე.წ. „ერთობლივ ანდერძს“ პირდაპირ კრძალავს საფრანგეთის კანონი. რაც შეეხება შვეიცარიის კანონმდებლობას, იგი არ შეიცავს არავითარ ცნობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამგვარ ანდერძს ბათილად აღიარებს.

მემკვიდრეობის თავისუფლების პრინციპი ნებას აძლევს მამკვიდრებელს ამოირჩიოს მემკვიდრედ ნებისმიერი პირი ისე, რომ არ გაითვალისწინოს უახლესი ნათესავების ინტერესები, თუმცა ეს პრინციპი გარკვეულწილად ზღუდავს მამკვიდრებელს ოჯახის წევრებთან მიმართებაში, რაც სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად რეგულირდება.

საფრანგეთში კანონმდებელმა დაადგინა ე.წ. „თავისუფალი წილის“ პრინციპი, რომლის ფარგლებშიც მამკვიდრებელი უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება. დარჩენილი ქონება შეადგენს „რეზერვს“ და განკუთვნილია მამკვიდრებლის უახლოესი ნათესავებისათვის, რომელთა რიცხვს ეკუთვნის მხოლოდ პირდაპირი

აღმავალი და დამავალი ხაზის ნათესავეები, გვერდითი ხაზის ნათესავეებს (ღვიძლ და-ძმასაც კი), აგრეთვე მეუღლეს არ მიუწვდებათ ხელი „რეზერვზე“ და შესაბამისად, შეიძლება მთლიანად სამკვიდროს გარეშე დარჩნენ. „თავისუფალი წილი“ შეესაბამება ქონების ნახევარს, თუ მამკვიდრებელს 1 შვილი დარჩა; ის უდრის 1/3-ს თუ 2 შვილი დარჩა, ხოლო 1/4-ს – 3 და მეტი შვილის არსებობის დროს, თუ მამკვიდრებელს არ დარჩა შვილი, უფლება „რეზერვზე“ გადადის აღმავალი ხაზის ნათესაობაზე – 1/4 ყოველი ხაზისათვის (ღელისა და მამის მხრიდან), არსებობს „თავისუფალი წილის“ განსაზღვრის განსაკუთრებული წესი მეუღლის სასარგებლოდ საჩუქრებისა და სამკვიდროს მიმართ.

შვეიცარიის კანონმდებლობაც ანალოგიური გზით წავიდა. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ რეზერვის წილის გამოანგარიშების მეთოდში და აგრეთვე იმაშიც, რომ „რეზერვზე“ უფლების მქონე ნათესავეების რიცხვში შეიძლება იყვნენ და-ძმები და მეუღლე. მემკვიდრეების რიცხვში და-ძმებისა და მეუღლის ჩართვის საკითხის გადაწყვეტა შედის კანტონების კომპეტენციაში.

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, დამავალი ხაზის ნათესავეებს, შშობლებსა და მეუღლეს ეკუთვნით „სავალდებულო წილი“, თუ ანდერძით, მათი ინტერესები სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. „სავალდებულო წილი“ შეადგენს იმის ნახევარს, რასაც ისინი მიიღებდნენ კანონით მემკვიდრეობის დროს. „სავალდებულო წილის“ უფლების რეალიზება ხდება მემკვიდრეებისადმი მოთხოვნის წაყენებით, რომ გადაიხადონ ამ წილის ფულადი ეკვივალენტი. სწორედ ეს არის „სავალდებულო წილსა“ და „რეზერვს“ შორის არსებითი განსხვავება.

ინგლისის მემკვიდრეობის სამართალში მემკვიდრეობის თავისუ-

ფლების პრინციპი სხვაგვარად არის გაგებული. კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს ცნებებს „სავალდებულო წილი“ და „რეზერვი“. მხოლოდ ბოლო პერიოდში ინგლისურ სამართალში გაჩნდა მამკვიდრებლის ოჯახის წევრთა ინტერესების დაცვის მექანიზმი. ასე მაგალითად, 1938 წელს „მემკვიდრეობის შესახებ კანონის“ მიღებამდე მამკვიდრებელს შეეძლო სამკვიდროს გარეშე დაეტოვებინა ოჯახი. აღნიშნულმა კანონმა მეუღლეს, არასრულწლოვან და შრომისუნარო შვილებს მიანიჭა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება სამკვიდრო ქონებიდან „გონიერული“ ანაზღაურების მოთხოვნით, თუ ასეთი ანდერძით არ იყო გათვალისწინებული. დღეს მოქმედი 1975 წლის კანონით „მემკვიდრეობის შესახებ“, ეს უფლება მიენიჭათ აგრეთვე ყოფილ მეუღლეს, რომელიც არ იმყოფება ხელმეორედ ქორწინებაში, ყველა შვილს, მათ შორის იმასაც, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფ და ზოგიერთ სხვა პირს, რომლებიც არ არიან მამკვიდრებლის სისხლით ნათესაეები. ამავე კანონით სასამართლოს მიენიჭა უფრო ფართო უფლებამოსილებანი, რათა თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ამ პირთათვის გადასახდელი „გონიერული“ თანხის ოდენობა.

აშშ-ში „თავისუფალი მემკვიდრეობის“ პრინციპი შემოიფარგლება მხოლოდ მეუღლის ინტერესებით. ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით (აიოვა, კანზასი, ნიუ-იორკი, და სხვა) მეუღლე შეიძლება იყოს როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრე. ისევე როგორც ინგლისში, ზოგიერთ შტატში მეუღლეს მამკვიდრებლის ქონებიდან აქვს „გონიერული“ ანაზღაურების უფლება განსაზღვრული დროის განმავლობაში.

ანდერძის გაუქმება მამკვიდრებელს შეუძლია როგორც მთლი-

ანად, ისე ნაწილობრივ, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა სა-
შუალება, კერძოდ, ახალი ანდერძის შედგენა; ანდერძის განად-
გურება; ოფიციალურად დეკონირებული ანდერძის გამოთხოვა და
სხვა. ანგლოამერიკული სამართლის მიხედვით, ერთობლივი ანდერძი
შეიძლება გაუქმდეს ცალმხრივადაც, თუმცა ამის შედეგად დარ-
ღვეული მეორე მხარის ინტერესები შეიძლება დაცულ იქნეს იძუ-
ლებითი წესით.

კანონის ძალით ანდერძის გაუქმებას ადგილი აქვს, როგორც
წესი, ქორწინების შეწყვეტისას, ხოლო ინგლისსა და აშშ-ში
დასაშვებია მონანდერძის დაქორწინების შემთხვევაშიც.

ანდერძი ძალას კარგავს, თუ პირი, რომლის სასარგებლოდაც
გაკეთდა განკარგულება, გარდაიცვლება მამკვიდრებელზე ადრე,
თუ სამემკვიდრეო განკარგულების ობიექტი დაიხარჯა (გასხვისე-
ბა) მამკვიდრებლის სიცოცხლეში.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში – ანდერძი ძალას კარგავს
ერთადერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროზე უარის თქმის შემთხ-
ვევაში, ანდა ლეგატარის არსებობისას – დატოვებულ მემკვიდრე-
ობაზე უარის შემთხვევაში.

ანდერძი იურიდიულად ბათილად იქნება ცნობილი დადგენი-
ლი ფორმის დაუკველობის შედეგად, შინაარსის განუსაზღვრე-
ლობის, მამკვიდრებლის ნების ნაკლის ანდა მის მიერ ანდერძის
შედგენის შეუძლებლობის გამო.

რაც შეეხება ანდერძის ფორმას, იგი უნდა შედგეს წერილო-
ბითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანო-
ტარო ფორმით ან მის გარეშე.

უცხო ქვეყნების კანონმდებლობის უმრავლესობა ითვალ-
ისწინებს ანდერძის წერილობით ფორმას, რომელიც დადგენილი

წესით უნდა იყოს დადასტურებული (მაგალითად, ნოტარიუსის მიერ). ზოგიერთ ქვეყანაში დასაშვებია ანდერძის შედგენა ე.წ. ოლოგრაფიული ფორმით, ე.ი. ანდერძი იწერება თავად მამკვიდრებლის მიერ და არ არის საჭირო მისი დადასტურება. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამგვარ ანდერძს შინაურულს უწოდებს).

კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობები ითვალისწინებენ ანდერძის შემდეგ ძირითად ფორმებს:

1) ანდერძი, რომელიც დაწერილია პირადად მონდერძის მიერ – ხელმოწერილი და დათარიღებული. აღნიშნული ფორმა ყველაზე მეტადაა გავრცელებული, ვინაიდან უზრუნველყოფს ანდერძის საიდუმლოების შენახვას.

2). ანდერძი, ე.წ. „საზოგადო (სახალხო) აქტის“ ფორმით, რომლის შედგენის დროსაც აუცილებელია ოფიციალური (თანამდებობის) პირის დასწრება (მაგალითად, ნოტარიუსი).

მაგალითად: საფრანგეთში ანდერძი დგება ორი ნოტარიუსის მონაწილეობით, ხოლო შვეიცარიაში – ერთი ნოტარიუსისა და ორი მოწმის თანდასწრებით.

3). საიდუმლო ანდერძი, რომელიც დგება მონდერძის მიერ და დაბეჭდილი სახით გადაეცემა ნოტარიუსს შესანახად, მხოლოდ, როგორც წესი, მოწმეთა თანდასწრებით. საფრანგეთის კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს ანდერძის ამგვარ ფორმას, ხოლო შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი, აღნიშნული საკითხების რეგლამენტაციას, ძირითადად, მიაკუთვნებს კანტონების კომპეტენციას.

ინგლისში, კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, კანონი ითვალისწინებს ანდერძის ერთდერთ, ძირითად, ფორმას და არ უტოვებს მონდერძეს არჩევანის შესაძლებლობას. 1837 წლის კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ანდერძი შედგე-

ნილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი — მოანდერძის მიერ, რომელიც დადასტურებულია არანაკლებ 2 მოწმის მიერ. ინგლისური სამართალი არ მოითხოვს, რომ ანდერძი დაწერილი იყოს თავად მოანდერძის მიერ.

ანდერძის აღნიშნული ფორმა მიღებულია აშშ-ს ყველა შტატში, ლუიზიანის შტატის გარდა, რომელიც ითვალისწინებს ფრანგულ მაგალითს.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ანდერძით შეიზღუდოს მემკვიდრეთა უფლებები; ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია ანდერძით დადგინდეს მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღების წესი და პირობები.

მაგალითად, უცხოეთის (კერძოდ, დიდი ბრიტანეთი) იურიდიულ პრაქტიკაში აღინიშნა ისეთი შემთხვევა, როდესაც ინგლისის მოქალაქე ქალბატონმა შეადგინა ანდერძი, რომელშიც თავისი ქონება უანდერძა საქართველოს მოქალაქეს — თავის დას, მხოლოდ იმ პირობით, რომ მემკვიდრე, ინგლისში ჩავიდოდა არა უგვიანეს 10 წლისა მისი გარდაცვალებიდან. საინტერესოა, ვალდებულია თუ არა მემკვიდრე ქონების მისაღებად ჩავიდეს ინგლისში მუდმივ საცხოვრებლად, როგორც ამას ინგლისელი იურისტები ამტკიცებდნენ, თუ იგი უბრალოდ გარკვეული დროით უნდა ჩავიდეს ინგლისში მემკვიდრეობის მისაღებად? სასამართლოს გადაწყვეტილებით, ანდერძი გულისხმობდა მემკვიდრის დროებით გამგზავრებას ინგლისში მემკვიდრეობის მისაღებად.

ამგვარი პრობლემების გადაწყვეტისას, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრა საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება — ქონების ადგილსამყოფელის, თუ ანდერძის შედგენის მიხედვით არსებული ქვეყნის სამართალი?!

საქართველოს კანონი – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.“

იმის გამო, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ემიგრაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში, საჭირო გახდა ისეთი კოლიზიური საკითხების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, როგორცაა: საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთა მემკვიდროს გახსნის ადგილი, მემკვიდროს გახსნა საზღვარგარეთ და ა.შ. ამგვარ ურთიერთობებში მონაწილეობას იღებს უცხოელი ელემენტი, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამდენად, ახალი სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს კანონის – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საშუალებით, შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული საკითხების სამართლებრივი რეგულირება.

ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მემკვიდრეობა და აგრეთვე დატოვონ მემკვიდრეობა ანდერძით; ამდენად, საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, ისინი შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში გაიხსნება მემკვიდრეობა, საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ და, მემკვიდრეთა სიაში არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, მას გააჩნია იგივე უფლებები, რაც საქართველოს მოქალაქეს.

ამ პრინციპით მოქმედებს კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა

და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, რომლის მონაწილე-
ნი. შემდგომში ხელშემკვრელი მხარეები არიან დამოუკიდებელ
სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები. კონვენ-
ცია ითვალისწინებს, რომ ხელშემკვრელი ქვეყნის მოქალაქე
უთანაბრდება მეორე ხელშემკვრელი ქვეყნის მოქალაქეს მემკვი-
დრეობით ურთიერთობებში. აღნიშნული კონვენციის მონაწილეა
საქართველოც. კონვენციის 44-ე მუხლი აღნიშნავს, რომ „თი-
თოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს შეუძლიათ მი-
იღონ ქონების მემკვიდრეობა, ანდა უფლებები კანონით ან ანდერძით
თანასწორობის პირობებში და იმავე მოცულობით, როგორც
მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს“, აქედან გამომ-
დინარე, საქართველო აღიარებს თანასწორობის პრინციპს სამემკვი-
დრეო ურთიერთობებში.

რაც შეეხება სამკვიდროს გახსნის ადგილს, აღნიშნულ საკ-
ითხს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1325-
1327-ე მუხლები. კერძოდ, სამკვიდროს გახსნის ადგილს საქართვე-
ლოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც დროებით
ცხოვრობდა საზღვარგარეთ და იქ გარდაიცვალა, წარმოადგენს
საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, საქართველოში მისი საცხოვრე-
ბელი ადგილი, ხოლო, თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ –
სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

როგორც აღნიშნული მუხლიდან ირკვევა, მემკვიდრეობითი
ურთიერთობების წარმოშობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც,
როდესაც მამკვიდრებელი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა
და საზღვარგარეთ ცხოვრობდა, გარდაიცვლება საზღვარგარეთ.
ყველა შემთხვევაში უცხო ელემენტის მონაწილეობით წარ-
მოშობილი მემკვიდრეობითი ურთიერთობა რეგულირდება მამკვი-
დრებლის ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, ანდა საერთაშორისო

შეთანხმების ნორმებით. კონვენცია – „სამართლებრივი დახმარების შესახებ“ (მუხლი 45-ე) განსაზღვრავს, რომ ქონების მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ხოლო უძრავი ქონების მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.

აქედან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის ნორმები, სადაც ეს ქონება იმყოფება, ხოლო, რაც შეეხება მოძრავ ქონებას, ამ შემთხვევაში, მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მამკვიდრებელს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ანდა რომელი ქვეყნის მოქალაქე-საც იგი წარმოადგენდა (უძრავი ქონების განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (149-ე მუხლი)).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოძრავი ქონების მემკვიდრეობის საქმეთა წარმოებაში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა სამკვიდროს დამტოვებელს სიკვდილის მომენტში; ხოლო უძრავი ქონების მემკვიდრეობის საქმეთა წარმოებაში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ქონება (კონვენციის 48-ე მუხლი).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ანდერძის ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მამკვიდრებელი ანდერძის შედგენის მომენტში. ანდერძის ნამდვილობისათვის საკმარისია, თუ ის შეესაბამება იმ ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლის ტერიტორიაზეც იქნა იგი შედგენილი.

ანალოგიურ წესებს ითვალისწინებს საქართველოსა და უკრაინას შორის დადებული ხელშეკრულება – „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის – „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ დადებული ხელშეკრულება, საქართველოსა და თურქმენეთს შორის დადებული ხელშეკრულება – „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნება თუ გავეცნობით საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების კანონმდებლობასაც. აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის სამართალი არაერთგვაროვანია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში წარმოებს გარკვეული რეჟიმი უძრავი ქონების მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. უძრავი ქონების მიმართ გამოიყენება ამ ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით არსებული კანონი, ხოლო მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით მოქმედებს მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული კანონმდებლობა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უძრავი ქონების მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, გამოიყენება ამ ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით არსებული სამართალი (საფრანგეთის კანონი), ხოლო მოძრავი ქონების მიმართ – მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული კანონმდებლობა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, განსხვავებით აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კანონმდებლობისაგან, ძირითად პრინციპად აღიარებულია ამ სამემკვიდრეო ქონების ერ-

თიანობა, რაც იმას გულისხმობს, რომ როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების მიმართ გამოიყენება მამკვიდრებლის მოქალაქეობის მისედვით არსებული ქვეყნის კანონმდებლობა.

შვეიცარიის 1987 წლის კანონის – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ – შესაბამისად, თუ მამკვიდრებელს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა შვეიცარიაში, გამოიყენება შვეიცარიული სამართალი, ხოლო, თუ პირს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა უცხო სახელმწიფოში, ასეთ შემთხვევაში, მოქმედებს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მამკვიდრებელს გააჩნდა უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

სამემკვიდრეო ქონების ერთიანობის პრინციპს აღიარებს: უნგრეთის 1979 წლისა და პოლონეთის 1965 წლის კანონები „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

როგორც წესი, მემკვიდრეობით ურთიერთობებთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები რეგულირდება სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობებით. ამ სფეროში მრავალმხრივი შეთანხმება მოქმედებს მხოლოდ გარკვეულ (ცალკეულ) საკითხებთან მიმართებაში და ამ მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დანმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ, რომლის მონაწილე არის საქართველოც.

საინტერესოა აგრეთვე საკითხი, თუ როგორ წარმოებს სამკვიდროს გახსნა საზღვარგარეთ და რომელი ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება ამ დროს. საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ პირთა გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლი), ასეთ შემთხვევაში, შესაბამისად მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც

იხსნება სამკვიდრო. სამკვიდრო, როგორც წესი, ნაწილდება მემკვიდრეებზე დადგენილი რიგითობის მიხედვით. რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც უცხო ქვეყნის (ანუ იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც სამკვიდრო იხსნება), ისე საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით (1327-ე მუხლი).

1. სწორია, ვინაიდან ოჯახიდან გატანილი ნებისმიერი საჩუქარი უნდა ჩაითვალოს მემკვიდრეთა სამკვიდრო წილში;

2. სწორია, ვინაიდან სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ათი წლის განმავლობაში;

3. არ არის სწორი, ვინაიდან სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში;

4. არ არის სწორი, ვინაიდან არავითარი საჩუქარი არ ჩაითვლება მემკვიდრის წილში.

№ 11

სამკვიდროს გახსნიდან მის მიღებამდე პერიოდში სამკვიდრო ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს.

შეუძლია თუ არა თითოეულ თანამემკვიდრეს გაასხვისოს მთელი სამკვიდრო თითოეული მათგანის მიერ სამკვიდროს მიღებამდე?

1. სამკვიდროს გაყოფამდე ერთიანი ქონების გასხვისება დაუშვებელია;
2. შეუძლიათ განკარგონ მხოლოდ მიღებული თანხა და გაანაწილონ სამკვიდროში მათი წილის შესაბამისად;
3. თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია მთელი სამკვიდროს გასხვისება და მემკვიდრეთა შორის ფულის განაწილება მათი წილის კვალობაზე;
4. შეუძლიათ გაასხვისონ, თუ ამაზე თანახმა იქნება თუნდაც ერთი თანამემკვიდრე.

№ 12

დაიშვება თუ არა სამკვიდროს გაყოფის შეჩერება?

1. არ დაიშვება;
2. დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით;
3. დაიშვება მხოლოდ ერთი წლის ვადით;
3. თანამემკვიდრეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ სამკვიდროს გაყოფა შეჩერდეს განსაზღვრული დროით.

№ 13

დაიშვება თუ არა სამკვიდროს გაყოფა ჩასახული მემკვიდრის დაბადებამდე?

1. დაიშვება;
2. დაიშვება სხვა დანარჩენი მემკვიდრეების თანხმობით;
3. თუ მემკვიდრე ჩასახულია, მაშინ სამკვიდროს გაყოფა შეიძლება მხოლოდ ამ მემკვიდრის დაბადების შემდეგ;
4. ჩასახული მემკვიდრის დაბადებამდე, სხვა მემკვიდრეთა მიმართ მემკვიდრეობა გაიცემა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

№ 14

თანამემკვიდრეს, სამკვიდროს მიღებამდე შეუძლია განკარგოს თავისი წილი სამკვიდროში, თუ ცალკეული საგნები თავისი წილიდან?

1. შეუძლია როგორც თავისი წილის. ისე წილში შემავალი ცალკეული საგნების განკარგვა;
2. შეუძლია მხოლოდ წილში შემავალი ცალკეული საგნების განკარგვა;
3. თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს მხოლოდ თავისი წილი სამკვიდროში;
4. თითოეულ თანამემკვიდრეს არ შეუძლია როგორც თავისი წილის, ისე წილში შემავალი ცალკეული საგნების განკარგვა.

№ 15

თანამემკვიდრის მიერ თავისი წილის განკარგვის შემთხვევაში, ვის აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება?

1. მხოლოდ თანამემკვიდრის ოჯახის წევრებს;
2. არავის;
3. მხოლოდ თანამემკვიდრებს;
4. ხაზინას.

№ 16

რა ვადაში უნდა განხორციელდეს თანამემკვიდრის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება?

1. ორი წლის ვადაში;
2. სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ვადაში;
3. სამკვიდროზე უარის თქმისათვის დადგენილ ვადაში;
4. ორი თვის განმავლობაში.

№ 17

ვის აქვს უფლება მოითხოვოს სამკვიდროს გაყოფისას იმ ნათესავებთან გათანაბრების უფლება, რომლებიც კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან და ითხოვენ სამკვიდროს?

1. მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფ პირებს;
2. პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის მომსახურებისათვის იღებდნენ გასამრჯელოს;
3. შთამომავალს, რომელმაც საოჯახო მეურნეობაში გაწეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილე-

ობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში;

4. არაეის არა აქვს უფლება.

№ 18

ნოდარ ტყებუჩავამ მის შვილს, გიორგის ანდერძით დააკისრა მათთან მცხოვრები დეიდაშვილისათვის, ელენე ყუფარაძისათვის, საცხოვრებელ სახლში ერთი ოთახის სამიღლეშიო სარგებლობის უფლების გადაცემა. სამკვიდროს გახსნიდან ორი წლის შემდეგ, გიორგი იძულებული იყო გაეყიდა მამის დანატოვარი სახლი, რისთვისაც მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც მერაბ ჩაფიძესთან დაამოწმა ნასყიდობის ხელშეკრულება. ახალმა მესაკუთრემ მერაბ ჩაფიძემ დააყენა სასამართლოში საკითხი ელენე ყუფარაძის გამოსახლების შესახებ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი. სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. სწორია, ვინაიდან მერაბ ჩაფიძე არის მესაკუთრე;

2. სწორია, ვინაიდან სასამართლოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს მესაკუთრის ნებისმიერი მოთხოვნა, საანდერძო დანაკისრის მიუხედავად;

3. არ არის სწორი, ვინაიდან საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების შემდგომი გადასვლისას საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული სამიღლეშიო სარგებლობა ძალას ინარჩუნებს;

4. სწორია, ვინაიდან სახლის გასხვისებისას გიორგი ტყებუჩავა უნდა შეთანხმებოდა ელენე ყუფარაძეს, როგორც სამკვიდრო ქონებით მოსარგებლე პირს.

მამუკა გასვიანმა ანდერძით მის ქალიშვილს, ეთერ გასვიანს დააკისრა. მათთან მცხოვრები თამარ ლარცულიანის სასარგებლოდ, სახლის ნაწილით სამიღღემშიო სარგებლობის უფლების გადაცემა. სამკვიდროს გახსნიდან ერთი წლის შემდეგ თამარ ლარცულიანი გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ თამარ ლარცულიანს დატოვებული ჰქონდა ანდერძი ქალიშვილის, ნინო ლარცულიანის სასარგებლოდ მის მიერ დაკავებული ფართობით სარგებლობის შესახებ; მიუხედავად ამისა, ეთერ გასვიანი აიძულებდა მას გაეთავისუფლებინა მის მიერ დაკავებული სადგომი, რაზედაც იგი კატეგორიულ უარს აცხადებდა და იშველიებდა დედის მიერ დატოვებულ ანდერძს. უფლების დასაცავად ნინო ლარცულიანმა მიმართა სასამართლოს, რომელმაც უარყო სარჩელი.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სახლის ნაწილით სარგებლობის უფლება ნინო ლარცულიანმა მიიღო ანდერძით;

2. არ არის სწორი, ვინაიდან სარგებლობის უფლება, როგორც სხვა უფლება გადადის მემკვიდრეობით;

3. სწორია, ვინაიდან საცხოვრებელი სადგომით სამიღღემშიო სარგებლობის უფლება არ წარმოადგენს ამ სადგომში საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრთა ცხოვრების საფუძველს;

4. სწორია, ვინაიდან თამარ ლარცულიანს არ ჰქონდა უფლება დაეტოვებინა ანდერძი მისი ქალიშვილისათვის იმ სახლის წილზე, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საანდერძო დანაკისრის საფუძველზე სამიღღემშიო სარგებლობის უფლებით.

გიორგი გასპარიანისა დატოვა ანდერძი, რითაც შვილს, ჟორა გასპარიანს დააკისრა მისი კუთვნილი ავტომანქანის ძმისშვილისათვის, ალექსანდრე გასპარიანისათვის გადაცემა სარგებლობის უფლებით.

გიორგი გასპარიანის გარდაცვალებიდან ორი წლის განმავლობაში ჟორა გასპარიანი არ ასრულებდა საანდერძო დანაკისრს.

საანდერძო დანაკისრის მიმღებმა პირმა ალექსანდრე გასპარიანმა მოითხოვა ჟორასაგან საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული ავტომანქანის სარგებლობის უფლების გადაცემა, რაზედაც მან კატეგორიული უარი განაცხადა. ამის შემდეგ ალექსანდრე გასპარიანმა მიმართა სასამართლოს სარჩელით. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება:

1. არ არის სწორი, ვინაიდან ჟორა გასპარიანი არის ერთადერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე;

2. არ არის სწორი, ვინაიდან ალექსანდრე გასპარიანმა გაუშვა ავტომანქანის სარგებლობის უფლების გადაცემის მოთხოვნის ვადა;

3. სწორია, ვინაიდან საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან;

4. სწორია, ვინაიდან საანდერძო დანაკისრის მიმღებს ნებისმიერ დროს უფლება აქვს დააყენოს მოთხოვნა ავტომანქანის სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ.

მუსიკოსმა თამარ ხურციძემ თავის შვილს, გია ხურციძეს, დააკისრა მისი კუთვნილი ვიოლინოს ახალგაზრდა მუსიკოსის თუ სალუქვაძისათვის საკუთრებაში გადაცემა. იმის გამო, რომ თეას უკვე ჰქონდა შეძენილი ძვირფასი ვიოლინო, უარი განაცხადა მის მიღებაზე.

თამარ ხურციძის მემკვიდრეებმა გია, რუსუდან და ვახტანგ ხურციძეებმა მიმართეს ნოტარიუსს სამკვიდრო ქონების გაყოფისა და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მისაღებად, ნოტარიუსმა მემკვიდრეთა შორის თანაბრად გაყო სამკვიდრო, მათ შორის ვიოლინოზე უფლებაც.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. სწორია, ვინაიდან გია, რუსუდანი და ვახტანგი კანონის თანახმად სარგებლობენ მემკვიდრეობის თანაბარი უფლებით;
2. სწორია, ვინაიდან ვიოლინოც შედის იმ სამკვიდროში, რომელიც თანაბარწილად უნდა გაიყოს მემკვიდრეთა შორის;
3. არ არის სწორი, ვინაიდან საანდერძო დანაკისრის მიძღვებას უფლება არ ჰქონდა უარი განეცხადებინა დანაკისრის მიღებაზე;
4. არ არის სწორი, ვინაიდან თუ სალუქვაძეს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა დანაკისრის მიღებაზე და სამკვიდროს შესაბამისი ნაწილი უნდა ღარჩენოდა გია ხურციძეს, რადგან მას დაეკისრა დანაკისრის შესრულება.

ნოდარ ლებანიძემ ანდერძით მის დიშვილს, ჯემალ რცხილაძეს დააკისრა ბიბლიოთეკის გადაცემა მისი ძმისშვილისათვის, ქეთევან ლებანიძისათვის. სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ეს უკანასკნელი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე. მემკვიდრეობის მიღებისას ნოდარ ლებანიძის მემკვიდრეებმა ნოტარიუსს განუცხადეს საანდერძო დანაკისრის არსებობისა და მისი მიძღვრის გარდაცვალების შესახებ და სთხოვეს ბიბლიოთეკაზე სამკვიდრო მოწმობა გაეცა ქეთევან ლებანიძის ერთადერთი ქალიშვილის სახელზე. ნოტარიუსმა უარი განაცხადა მის გაცემაზე.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. სწორია, ვინაიდან საანდერძო დანაკისრის მიძღვნი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ეს უფლება მის მემკვიდრეებზე არ გადადის;

2. სწორია, ვინაიდან საანდერძო დანაკისრის მიძღვნი, ქეთევან ლებანიძეს არ ჰქონდა დატოვებული ანდერძი მისი ქალიშვილის სასარგებლოდ;

3. არ არის სწორი, ვინაიდან სამკვიდროს გახსნის შემდეგ, საანდერძო დანაკისრის მიძღვნი დანაკისრის მიღებაზე თანხმობის გარეშე გარდაცვალებისას, მისი მიძღვნი უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, რომლებიც მის მაგიერად მიიღებენ დანაკისრს;

4. არ არის სწორი, ვინაიდან მას უნდა გაეცა სამკვიდრო მოწმობა იმ მოტივით, რომ მემკვიდრეები თანახმანი იყვნენ ბიბლიოთეკის ქეთევან ლებანიძის ქალიშვილისათვის გადაცემაზე.

შოთა გურგენიძემ, რომელსაც საკმარისი სახსრები გააჩნდა იმისათვის, რომ ბინა ეყიდა, ანდერძის შედგენისას, სხვა ქონებასთან ერთად, გაითვალისწინა ბინაც. გარდაცვალების შემდეგ, მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად. ნოტარიუსმა წარდგენილი დოკუმენტებიდან გაარკვია, რომ ანდერძში მითითებული ბინა შეძენილი იყო ანდერძის შედგენის შემდეგ და უარი განუცხადა მემკვიდრეს ბინაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. სწორია, ვინაიდან ანდერძის შედგენის შემდეგ შეძენილი ქონება არ შედის სამკვიდრო ქონებაში;

2. სწორია, ვინაიდან შოთა გურგენიძეს არ ჰქონდა უფლება ანდერძში შეეტანა ქონება, რომელიც მას მისი შედგენისას არ გააჩნდა;

3. არ არის სწორი, ვინაიდან მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენისას ჯერ კიდევ არ გააჩნდა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ასეთი ქონება მისი საკუთრება იქნება;

4. არ არის სწორი, ვინაიდან ნოტარიუსს შეუძლია მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, ნებისმიერ დროს შეძენილ ქონებაზე გასცეს სამკვიდრო მოწმობა.

1990 წელს ამერიკელმა ჯონი ლაისმა ქ. ქუთაისში შეიძინა საცხოვრებელი სახლი. 1997 წლის 20 დეკემბერს მან ამერიკაში დაწერა

ანდერძი, მისი ქართველი მეგობრის, გურამ ნაკაშიძის სახელზე. 1998 წელს იგი გარდაიცვალა ამერიკაში.

გურამ ნაკაშიძემ მიმართა ქ. ქუთაისის ნოტარიუსს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად. ნოტარიუსმა უარი განაცხადა მის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ანდერძი დატოვებულ იქნა ამერიკის მოქალაქის მიერ და სამკვიდრო მოწმობაც უნდა გაცემულიყო ჯონი ლაისის საცხოვრებელი ადგილის ნოტარიუსის მიერ.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან ქონება რაზედაც ანდერძი იყო შედგენილი იმყოფებოდა ქ. ქუთაისში;
2. არ არის სწორი, ვინაიდან პირი, რომელსაც ეანდერძა ქონება მუდმივად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში;
3. სწორია, ვინაიდან სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.
4. სწორია, ვინაიდან ანდერძი დადასტურებული იყო ამერიკის ნოტარიუსის მიერ.

№ 25

სიმონ ჯაფარიძე ცხოვრობდა მის საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სახლში, სადაც მასთან ერთად, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ცხოვრობდა მისი უფროსი ვაჟი, ვახტანგი. დანარჩენი ორი – ქეთევანი და ნუგზარი, ცხოვრობდნენ დამოუკიდებლად. სიმონ ჯაფარიძის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებმა დარჩენილი ქონება გაიყვეს თანაბრად ისე, რომ ნოტარიუსთან სამკვიდრო ქონების მისაღებად მისულებმა არ გაითვალისწინეს მამკვიდრებელთან მცხოვრები ვახტანგ ჯაფარიძის

სურვილი. საცხოვრებელი სახლის მისთვის გადაცემის შესახებ. სამკვიდროს მიღებისას საცხოვრებელი სახლი წილად ხვდა ქეთევან ჯაფარიძეს.

სწორია თუ არა ნოტარიუსის მოქმედება?

1. სწორია, ვინაიდან ყველა მემკვიდრეს აქვს მემკვიდრეობის მიღების თანაბარი უფლება;

2. სწორია, ვინაიდან ქეთევან და ნუგზარ ჯაფარიძეებმა უარი განაცხადეს საცხოვრებელი სახლის ვახტანგ ჯაფარიძისათვის გადაცემის თაობაზე;

3. არ არის სწორი, ვინაიდან მამკვიდრებელთან მცხოვრები მემკვიდრის უპირატესი მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ საოჯახო მონპარების საგნებზე;

4. არ არის სწორი, ვინაიდან ქონების გაყოფისას მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე, არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიღების უპირატესი უფლება.

№ 26

ზურაბ ქარქაშაძის გარდაცვალების გამო, ქ. თბილისში გაიხსნა მემკვიდრეობა. ქ. ქუთაისში მცხოვრებმა მემკვიდრემ, ლეონიდე ქარქაშაძემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის ნოტარიუსს მიეღო ზომები ქ. გორში არსებული სამკვიდრო ქონების დასაცავად. ქ. თბილისის ნოტარიუსმა უარი განაცხადა ასეთი მოქმედების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ამის უფლება მას არ

ქონდა და ურჩია ლეონიდე ქარქაშაძეს მიემართა სასამართლოსათვის.

სწორი იყო თუ არა ნოტარიუსის უარი?

1. სწორია, ვინაიდან სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომებს იღებს სასამართლო;

2. სწორია, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია მემკვიდრის განცხადების საფუძველზე მოახდინოს სამკვიდრო ქონების დაცვა;

3. არ არის სწორი, ვინაიდან სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი, სამკვიდროს ან მისი ნაწილის სამკვიდროს გახსნის ადგილას არყოფნის შემთხვევაში, ავალებს ზომების მიღებას ქონების სამყოფელი ადგილის სანოტარო ორგანოს ამ ქონების დასაცავად;

4. არასწორია, ვინაიდან ნოტარიუსს კანონით არ ევალება სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება.

№ 27

რას ადასტურებენ მოწმეები დახურული ანდერძის შედგენისას?

1. ანდერძის შედგენას;

2. ანდერძის გადაცემას ნოტარიუსისათვის;

3. დახმარებას უწევენ მონდერძეს ანდერძის შედგენაში;

4. ანდერძის შედგენას პირადად მონდერძის მიერ.

№ 28

რომან გოცაძემ ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა მის ვაჟს თემურ გოცაძეს, მის მიერ ამორალური საქციელის ჩადენის გამო. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ რომან გოცაძეს გული მოუბრუნდა შვილისაკენ და ოჯახის წევრებისა და ნათესავების თანდასწრებით აპატია მას ამ საქციელის ჩადენა. ორი წლის შემდეგ,

რომან გოცაძე გარდაიცვალა. მემკვიდრეებმა, მათ შორის თემურ გოცაძემ, მიმართეს ნოტარიუსს მემკვიდრეობის მისაღებად. ნოტარიუსმა თემურ გოცაძეს უარი განუცხადა სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე, ვინაიდან მას ანდერძით დაკარგული ჰქონდა მემკვიდრის უფლება; ნოტარიუსის უარი თემურმა გაასაჩივრა სასამართლოში.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია ნოტარიუსის მოქმედება და ცნო თემური ანდერძისმიერ მემკვიდრედ.

სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

1. არ არის სწორი, ვინაიდან მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრისათვის პატიების შესახებ ანდერძში უნდა გამოიხატოს აშკარა ფორმით;
2. არ არის სწორი, ვინაიდან მას არ ჰქონდა უფლება მამკვიდრებლის მიერ ანდერძით ჩამორთმეული მემკვიდრეობის უფლება აღედგინა მემკვიდრისათვის;
3. სწორია, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია მემკვიდრეთა მიერ დამოწმებული პატიება ცნოს მტკიცებულებად;
4. სწორია, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია სამკვიდროს გახსნის დღიდან სამი წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეული მემკვიდრის მოთხოვნა.

№ 29

ჟორა ნემსიწვერიძემ იცოდა რა მისი შვილის, დავით ნემსიწვერიძის მძიმე ავადმყოფობის შესახებ, ანდერძში დავითის მემკვიდრედ დანიშნა მისი ძმიშვილი გიორგი ნემსიწვერიძე; ჟორა ნემსიწვერიძის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრესთან დავით ნემსიწვერიძესთან ერთად მემკვიდრეობის უფლებაზე პრეტენზია განაცხადა გიორგი ნემ-

სიწვერიდემ იმ მოტივით, რომ ანდერძში იგი მითითებული იყო სათადარიგო მემკვიდრედ. მათ შიშობს ნოტარიუსს, რომელმაც სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი განუცხადა გიორგი ნემსიწვერიძეს.

სწორია თუ არა ნოტარიუსის უარი?

1. არ არის სწორი, ვინაიდან სათადარიგო მემკვიდრეს თანაბარი უფლება აქვს სამკვიდრო ქონებაზე;

2. სწორია, ვინაიდან სათადარიგო მემკვიდრეს მხოლოდ მაშინ აქვს სამკვიდრო ქონებაზე უფლება, თუ სამკვიდროს გახსნისათვის ცოცხალი არ იქნება პირი, ვის მემკვიდრედაც ის იყო დანიშნული;

3. არ არის სწორი, ვინაიდან მას უნდა გაეცა მემკვიდრეობა მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

4. სწორია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში სათადარიგო მემკვიდრის მემკვიდრედ ცნობა უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ.

№ 30

გივი მალლაკელიძემ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ანდერძით თანაბარ წილში დაუტოვა ქალიშვილს, ირინეს და ძმიშვილს — ზურაბს. სამკვიდროს გახსნის დროს აღმოჩნდა, რომ სახლი სამსართულიანია (მოანდერძეს ანდერძის დაწერის შემდეგ გივის სახლისათვის მესამე სართული დაუდგამს). სამსართულიან სახლზე მემკვიდრეობის უფლების შესახებ პრეტენზიებს აცხადებდნენ ირინე და ზურაბი.

რაც შეეხება მესამე სართულსა და სავალდებულო წილს ნაანდერძევი ქონებიდან, მასზე პრეტენზიას აცხადებდა გივი მალლაკელიძის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან — ნინო.

როგორც უნდა განაწილდეს საქვედრო ნოტარიუსის მიერ?

1. ნოტარიუსმა საჩსართულიანი საცხოვრებელი სახლი ანდერძისმიერი საქვედრო მოწმობით თანაბარ წილში მისცა ანდერძისმიერ მემკვიდრეებს – ირინესა და ზურაბს.

2. ნოტარიუსმა ორსართულიან საცხოვრებელ სახლზე ანდერძისმიერი საქვედრო მოწმობა მისცა ირინესა და ზურაბს.

მესამე სართულზე საქვედრო მოწმობა გივის ქალიშვილს – ნინოს.

3. ნოტარიუსმა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1/4 ნაწილზე სავალდებულო წილი მისცა ნინოს, 3/4 ნაწილი ანდერძისმიერი საქვედრო მოწმობით ირინესა და ზურაბს. მესამე სართული კანონისმიერი საქვედრო მოწმობით – ნინოს.

4. ნოტარიუსმა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის 1/4 სავალდებულო წილი მისცა ნინოს, 1/4 ნაწილი თანაბარ წილში ანდერძისმიერი საქვედრო მოწმობით – ირინესა და ზურაბს, ხოლო მესამე სართული კანონისმიერი საქვედრო მოწმობით – ირინესა და ნინოს.

№ 31

ნინო ჩხეტიანმა ვაჟიშვილს, თემურ ჩხეტიანს ანდერძით დააკისრა მათთან მცხოვრები ზურაბ მენაბდის სასარგებლოდ სახლის ნაწილით სამისდღემშო სარგებლობის უფლების გადაცემა. ნ. ჩხეტიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ზ. მენაბდეც, რომელმაც ანდერძით ეს უფლება დაუტოვა მის ქალიშვილს, რომელსაც აიძულებდა თ. ჩხეტიანი გაეთავისუფლებინა დაკავებული ფართობი. ზ. მენაბდის ქალიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და დაუსაბუთა, რომ მას ამ სახლში ცხოვრების უფლება ჰქონდა მამის მიერ

დატოვებული ანდერძის საფუძველზე. სასამართლომ უარყო ეს სარჩელი.

სწორია თუ არა სასამართლო გადაწყვეტილება?

1. სწორია, ვინაიდან ზ. მენაბდეს არ ჰქონდა უფლება დაეტოვებინა ანდერძი მისი ქალიშვილისათვის იმ სახლის ნაწილზე, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საანდერძო დანაკისრის საფუძველზე სამისდღემშიო სარგებლობის უფლებით.

2. სწორია, ვინაიდან საცხოვრებელი სადგომით სამისდღემშიო სარგებლობის უფლება არ წარმოადგენს ამ სადგომში საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრთა ცხოვრების საფუძველს (სამოქალაქო კოდექსის 1386-ე მუხლი).

3. არ არის სწორი, ვინაიდან სახლის ნაწილით სარგებლობის უფლება ზ. მენაბდის ქალიშვილმა მიიღო მემკვიდრეობით.

4. არ არის სწორი, ვინაიდან სარგებლობის უფლება, როგორც სხვა უფლება, გადადის მემკვიდრეობით.

№ 32

ვინ არის უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ?

1. მამკვიდრებლის მშობლები.

2. მამკვიდრებლის ნათესავები.

3. ნოტარიუსი.

4. პირი, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

ულირსი შემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს (სამოქალაქო კოდექსის 1312-ე მუხლი).

№ 33

ვის აქვს ანდერძის ნამდვილობაზე შედაეების უფლება?

1. მამკვიდრებლის ნათესავებს.
2. კანონით შემკვიდრეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს იმ გარემოებათა გამო, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევენ (სამოქალაქო კოდექსის 1408-ე მუხლი).
3. მხოლოდ პირველი რიგის შემკვიდრეებს.
4. მხოლოდ ანდერძის გარეთ დარჩენილ შემკვიდრეებს.

№ 34

დაიშვება თუ არა ანდერძის აღმსრულებლისათვის გასამრჯელოს მიცემა?

1. დაუშვებელია, რადგან ანდერძის აღსრულება უსასყიდლო მოქმედებაა.
2. დაუშვებელია, რადგან ანდერძის აღმსრულებელი წილს იღებს სამკვიდროდან.
3. დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ეს ანდერძითაა გათვალისწინებული.
4. დაიშვება სასამართლოს ნებართვის საფუძველზე.

ვის ევალუბა სამკვიდროს დაცვის მიზნით ქონების აღწერა?

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს.
2. მემკვიდრებს.
3. სანოტარო ორგანოს, რომელიც აღწერს მას და შესაძლებლად გადასცემს მემკვიდრეს ან სხვა პირს და იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც სამკვიდროს გახსნის ადგილზე არ იმყოფებიან (სამოქალაქო კოდექსის 1497-ე მუხლი).
4. სასამართლო აღმასრულებელს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ანზორ ტერელაძის გარდაცვალების შემდეგ მისმა თანამშრომლებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი თ. ტერელაძის შვილის თამაზის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ და ასაბუთებდნენ, რომ იგი ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისას ხშირად აყენებდა მამას ფიზიკურ შეურაცხყოფას. სასამართლომ უარი განუცხადა ა. ტერელაძის თანამშრომლებს სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ ისინი არ იყვნენ უფლებამოსილნი ასეთი სარჩელის შეტანაზე.

სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

1. არ არის სწორი, რადგან სარჩელის შეტანა უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ დაიშვება მხოლოდ მამკვიდრებელთან დაახლოებული პირის სარჩელით.

2. სწორია. რადგან სარჩელის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთათვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს.

3. არ არის სწორი, რადგან სარჩელის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ მამკვიდრებლის დებსა ან ძმებს.

4. რა არის სწორი, რადგან სარჩელის შეტანა შეიძლება ყველა იმ პირის მიერ, ვისაც გააჩნია მტკიცებულებანი.

№ 37

დაიშვება თუ არა სამკვიდროს გაყოფის შეჩერება?

1. არ დაიშვება.

2. დაიშვება მხოლოდ ერთი წლის ვადით.

3. თანამემკვიდრეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ სამკვიდროს გაყოფა შეჩერდეს განსაზღვრული დროით (სამოქალაქო კოდექსის 1458-ე მუხლი).

4. დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

№ 38

ლევან ბაქრაძეს ჰყავდა მეუღლე და ერთი ქალიშვილი. მან მთელი თავისი ქონება უანდერძა მის ქალიშვილს და ანდერძითვე დააკისრა 3000 ლარის გადახდა მისი ძმის, გურამ ბაქრაძის სასარგებლოდ.

ლევანის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ, გარდაიცვალა გურამი ისე, რომ ვერ მოასწრო დანაკისრის მიღებაზე თანხმობის გამოთქმა.

ვის ეკუთვნის საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული თანხა?

1. ანდერძისმიერი შემკვიდრის შემკვიდრეებს.
2. გურამ ბაქრაძის შემკვიდრეებს (სამოქალაქო კოდექსის 1396-ე მუხლი).
3. ლევან ბაქრაძის ცოცხლად დარჩენილ დედამამიშვილებს.
4. ხაზინას.

№ 39

ქეთევან კალმახელიძე 17 წლის ასაკში, კანონის მოთხოვნათა დაცვით დაქორწინდა 26 წლის ირაკლი რუხაძეზე, რის გამოც იგი გახდა სრული ქმედუნარიანი. ერთი წლის შემდეგ ისინი განქორწინდნენ სასამართლოს წესით.

იმოქმედებს თუ არა განქორწინება ქეთევან კალმახელიძის ქმედუნარიანობაზე?

1. განქორწინება არასრულწლოვან ქეთევან კალმახელიძის მიმართ ავტომატურად იწვევს ქმედუნარიანობის დაკარგვას.
2. არასრულწლოვანის განქორწინება არც ერთ შემთხვევაში არ მოქმედებს მის ქმედუნარიანობაზე.
3. განქორწინება არ მოქმედებს არასრულწლოვანის მიერ ქორწინებით შეძენილ ქმედუნარიანობაზე, ქორწინების ბათილად ცნობის გარდა (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი).
4. არასრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა განქორწინებული მეუღლის თანხმობა.

რა ვადაში შეიძლება შეტანილ იქნეს სარჩელი სასამართლოში პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ?

1. სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში.

2. სამკვიდროს მხრიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ დროს იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას.

4. სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს ხუთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას (სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლი).

განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

(მამკვიდრებლის სახელი, გვარი და გარდაცვალების თარიღი)

მცხოვრები _____
(მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი)

მემკვიდრეებს წარმოადგენენ: _____
(მემკვიდრის (მემკვიდრეების) სახე-

ლი, გვარი, მისამართი)

სამკვიდრო ქონებას შეადგენს: _____
(ქონების მითითება ადგილმდებარე-

ბის მიხედვით)

გთხოვთ, მომცეთ სამკვიდრო მოწმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლის შესაბამისად. საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა
მემკვიდრეები არ არიან.

(მემკვიდრის ხელის მოწერა)

(თარიღი და ადგილი)

(ნოტარიუსის მიერ შესრულებული დამადასტურებელი წარწერა)

განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის
თქმის შესახებ

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე _____
(მემკვიდრის სახელი, გვარი)

უარს ვაცხადებ _____
(მემკვიდრეობის სახელი, გვარი, გარდაცვალების თარიღი)

მიერ დატოვებულ სამკვიდრო ქონებაში შემავალ ჩემს კუთვნილ
წილზე ჩემი _____
[(სახელი და გვარი) ვის სასარგებლოდაც ხდება წილის დათმობა]

(მემკვიდრის სახელი და გვარი სრულად და ხელმოწერა)

ნოტარიუსის მიერ შესრულებული (დამადასტურებელი წარწერა)

განცხადება ემპკვიდრეუბითი ტრანსმიციით სამკვიდრო
მოწეუბის გაცემის შესახებ

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

_____ გარდაიცვალა
(თარიღი – რიცხვი, თვე, წელი)

მოქალაქე _____
(მამკვიდრებელი სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

მის მემკვიდრეებს წარმოადგენენ – მისი ვაჟი _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____ და
(მისამართი)

ქალიშვილი _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____, მაგრამ
(მისამართი)

მისი _____
(თარიღი – რიცხვი, თვე, წელი)

გარდაცვალების გამო, მის წილზე შემკვიდრე ვარ მე.
სამკვიდრო ქონებას შეადგენს: _____
(ქონების დასახელება.

_____ (ადგილმდებარეობის მითითებით)

ამ განცხადებით სამკვიდროს ვღებულობ მე და გთხოვთ, გასცეთ სამკვიდრო მოწმობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1226-ე მუხლით გათვალისწინებული შემკვიდრეები, ჩემ მიერ ზემოაღნიშნულის გარდა, არ არიან.

_____ (თარიღი)

_____ (ხელის მოწერა)

განცხადება შვილიშვილისათვის წარმომადგენლობის
უფლებით) საიკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

_____ გარდაიცვალა
(თარიღი - რიცხვი, თვე, წელი)

მოქალაქე _____, მცხოვრები
(მამკვიდრებლის სახელი, გვარი)

_____ (მისამართი)

მემკვიდრე, წარმომადგენლობის უფლებით, ვარ მე, მისი შვილ-
იშვილი _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

მამაჩემი, _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____, გარდაიცვალა
(მისამართი)

(გარდაცვალების თარიღი – რიცხვი. თვე. წელი)

სამკვიდრო ქონებას შეადგენს _____
(ქონების დასახელება მისი

„დგილმდებარეობის მიხედვით)

ამ განცხადებით, სამკვიდროს ვლტბულობ მე და გთხოვთ, გასცეთ სამკვიდრო მოწმობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული მემკვიდრეები, ჩემ მიერ ზემოაღნიშნულის გარდა, არ არიან.

(თარიღი)

(ხელის მოწერა)

განცხადება სავალდებულო წილის უფლებების მქონე
მემკვიდრისათვის სავალდებულო მემკვიდრის
გაცემის შესახებ

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

_____, გარდაიცვალა _____
(თარიღი – რიცხვი, თვე, წელი) (სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

მემკვიდრეებს წარმოადგენენ: 1/3 წილში ანდერძისმიერი მემკვიდრე,

მოქალაქე _____, მცხოვრები _____
(სახელი, გვარი) მისამართი

2/3 წილში კანონით მემკვიდრე, მე, მისი დედა, მოქალაქე

(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

სამკვიდრო ქონებას შეადგენს _____
(ქონების დასახელება მისი

ადგილმდებარეობის მითითებით)

ამ განცხადებით, საეალდებულო წილის უფლებით, სამკვიდროს
ვლებულობ მე და გთხოვთ, გასცეთ სამკვიდრო მოწმობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალ-
ისწინებული მემკვიდრეები. ჩემ მიერ ზემოაღნიშნულის გარდა,
არ არიან.

(თარიღი)

(ხელის მოწერა)

განცხადება მუშაკისათვის სამუშაო პირის სახელით
სამკვიდრო მოწოდების გაცემის თაობაზე

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

_____ გარდაიცვალა
(თარიღი – რიცხვი, თვე, წელი)

მოქალაქე _____, მცხოვრები
(მამკვიდრებლის სახელი, გვარი)

_____ (მისამართი)

მისი მემკვიდრეა შრომისუუნარო _____
(სამეურვეო პირის სახელი,

_____ გვარი, მისამართი)

მისი სამკვიდრო ქონება გამოიხატება: _____
(ქონების დასახელება

_____ ადგილმდებარეობის მითითებით)

ამ განცხადებით სამკვიდროს ვლებულობ მე, _____
(მეურვის სახელი,

გვარი, მისამართი)

და გთხოვთ, გასცეთ სამკვიდრო მოწმობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალ-
ისწინებული მემკვიდრეები, ჩემ მიერ ზემოაღნიშნულის გარდა,
არ არიან.

(თარიღი)

(მეურვის ხელის მოწერა)

სამკვიდროს რწმუნებულება წარმოებადგენელის იეჰოვა-
ბით სამკვიდროს მიღების შესახებ

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, მოქალაქე _____
(მარწმუნებელის სახელი, გვარი, მისამართი)

ამ რწმუნებით ვენდობი მოქალაქე _____
(რწმუნებულის სახელი, გვარი,

მისამართი)

რათა მან წარმართოს ჩემი სამემკვიდრო საქმე და მიიღოს
სამკვიდრო მოწმობა გარდაცვლილი _____
(მამკვიდრებლის სახელი, გვარი,

მისამართი)

სამკვიდრო ქონებაზე, რომელიც გამოიხატება შემდეგში

(სამკვიდრო ქონების დასახელება ადგილმდებარეობის მიხედვით)

ჩემ მიერ მითითებული მოქმედებების შესრულებისათვის,
ვენდობი მოქალაქე _____ , რათა
(რწმუნებულის სახელი. გვარი, მისამართი)

ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება ნოტარიუსთან, აილოს ცნობები
და დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრუ-
ლოს ყველა სხვა მოქმედება, რომელიც აუცილებელია რწმუნებ-
ულებაში მოცემული უფლებამოსილების შესასრულებლად.

ამ რწმუნებულებით მისდამი მინიჭებული უფლებები არ შეი-
ძლება გადაცემულ იქნეს სხვა პირისათვის.

რწმუნებულება გაცემულია _____ ვადით
(ვადის მითითება)

(მარწმუნებლის სახელი, გვარი და ხელის მოწერა)

განცხადება მემკვიდრის მოწმობაზე სამკვიდრო
მოწმობაში იმ მემკვიდრეთა შეტანის შესახებ,
რომლებსაც გაშვებული აქვთ სამკვიდროს
მიღების ვადა.

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

მე (ჩვენ) _____
[მემკვიდრის (მემკვიდრეების) სახელი, გვარი]

თანახმა ვარ (ვართ) _____
(მამკვიდრებლის სახელი, გვარი და

გარდაცვალების თარიღი)

სამკვიდრო ქონებაზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში შეტანილ იქნეს მემკვიდრე (მემკვიდრის სახელი, გვარი), რომელსაც გაშვებული აქვს სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა.

(თარიღი)

(განმცხადებლის სახელი, გვარი და ხელის მოწერა)

(ნოტარიუსის მიერ შესრულებული დამადასტურებელი წარწერა)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა
იმეპკვიდრის თანხმობაზე სამეპკვიდრო
მოწმობაში იმ იმეპკვიდრეთა შეტანის შესახებ,
რომელმაც არ აქვთ საშუალება წარმოადგინონ
იმეპკვიდრებელთან ნათესაური კავშირის
დამადასტურებელი დოკუმენტები

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)
მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)
მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

მე (ჩვენ) _____
[მემკვიდრის (მემკვიდრეების) სახელი, გვარი]

_____ (მამკვიდრების სახელი, გვარი, გარდაცვალების თარიღი)

მემკვიდრე (მემკვიდრეები), თანახმა ვარ (ვართ) სამეპკვიდრო
ქონებაზე გაცემულ სამეპკვიდრო მოწმობაში შეტანილ იქნეს მო-
ქალაქე _____, რომელსაც არ გააჩნია
(სახელი, გვარი)
მამკვიდრებელთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი
დოკუმენტები

_____ (თარიღი)

_____ (განმცხადების სახელი, გვარი, ხელის მოწერა)

_____ (ნოტარიუსის მიერ შესრულებული დამადასტურებელი წარწერა)

განცხადება ანდერძის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისის სანოტარო ბიუროს

ნოტარიუსს _____
(სახელი, გვარი)

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამ განცხადებით ვაუქმებ

ჩემი _____ სახელით _____
(სახელი, გვარი) (ანდერძის

დადასტურების თარიღი რეგისტრაციის ნომრის მითითებით)

(სანოტარო ბიუროს დასახელება, სადაც მოხდა ანდერძის დადასტურება
დადასტურებულ ანდერძს ვაუქმებ

(განმცხადებლის სახელი, გვარი და ხელის მოწერა)

(ნოტარიუსის მიერ შესრულებული დამადასტურებელი წარწერა)

კანონისმიერი მემკვირეოების უზღების მოწეობა.

რომელიც ეძღება ყველა მემკვიდრეს

კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწეობა

ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვადასტურებ, რომ 19 ___ წლის „ ___ „ _____

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვების სახელი, გვარი, დაბადების წელი

ქონების მემკვიდრეებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
1366-ე მუხლის საფუძველზე თანაბარ წილში ცნობილნი არიან:

_____ მემკვიდრეთა ნათესაური კეშირი სამკვიდროს დამტოვებულთან, მათი

_____ სახელები, გვარები, საცხოვრებელი ადგილები

სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაცემულია მოწეობა, შედგება:

პირის ქონება, რომელზედაც გაიცემა მოწმობა

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა იმ
გარდაივლილი მემკვიდრის ქონებაზე, რომელმაც ვერ
მოასწრო მემკვიდრეობის მიღება

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა

ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვადასტურებ, რომ 19 __ წლის „ __ „ _____

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი, დაბადების წელი

ქონების მემკვიდრეებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
1426-ე მუხლის საფუძველზე ცნობილია:

ნათესაური კავშირი სამკვიდროს დამტოვებლთან, სახელი, გვარი

მაგრამ ამ უკანასკნელის 19 __ წლის „ __ „ _____ გარდაცვალების
გამო, მემკვიდრეობა გადადის მის _____

მემკვიდრის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და მისი ნათესაური კავშირი

სამკვიდროს დამტოვებლთან

სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გადაცემულია
ეს მოწმობა შედგება:

აღინიშნება ქონება, რომელზედაც გაიცემა მოწმობა

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა გარდაცვლილი მემკვიდრის ქონებაზე, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა, მაგრამ არ გაიფორმა თავისი სამემკვიდრო უფლებები

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა

ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვადასტურებ, რომ 19 __ წლის „ __ „ _____

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი,

ქონებაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1499-ე, 1500-ე მუხლების საფუძველზე მემკვიდრედ ცნობილია _____

სახელი, გვარი საცხოვრებელი ადგილი

სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაცემულია ეს მოწმობა, შედგება:

აღინიშნება ქონება

აღნიშნული ქონება ეკუთვნის მოქ: _____ ,
სახელი. გვარი

რომელიც გარდაიცვალა 19 ____ წლის „ ____ „ _____ რომლის
მემკვიდრეც იყო მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი,

ნათესაური კავშირი სამკვიდროს დამტოვებელთან

რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა, მაგრამ არ გაიფორმა თავისი
სამკვიდრო უფლებები.

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა,
ბაცემული ზოგიერთი მემკვიდრის წილის ღირებულება და
ტოვების შემთხვევაში

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების
მოწმობა

ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვდასტურებ, რომ 19 ____ წლის „ ____ „ _____

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი,

ქონებაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე 1478-ე,
1479-ე მუხლების საფუძველზე მემკვიდრეებად წილში ცნო-
ბილნი არიან:

მემკვიდრეთა ნათესაური კავშირი სამკვიდროს დამტოვებელთან, მათი
სახელები, გვარები, საცხოვრებელი ადგილები

სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაიცა ეს მოწმობა მოცემული
წილებით, შედგება:

აღინიშნება ქონება, რომელზედაც გაიცემა მოწმობა

აღნიშნული სამკვიდრო ქონების _____ წილზე
მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ჯერ არ არის გაცემული

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა
სამემკვიდრეო სავალდებულო წილზე

კანონისმიერი მემკვიდრეობის
უფლების მოწმობა

ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვდასტურებ, რომ 19 __ წლის „ ____ „ _____

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი,

ქონების _____ წილზე მემკვიდრეებად საქართველოს
სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით ცნობილია

_____ მემკვიდრის ნათესაური ან სხვა დამოკიდებულება სამკვიდროს დამტოვებელთან,

_____ სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი

სამკვიდრო ქონება, რომლის მოცემულ წილზეც გაცემულია
მოწმობა, შედგება:

_____ აღინიშნება ქონება, რომელზეც გაიცემა მოწმობა

აღნიშნული ქონების _____ წილზე ანდერძის მიერი
უფლების მოწმობა ჯერ გაცემული არ არის.

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

ა ნ ღ ე რ ძ ი

დასახლებული პუნქტი

წელი, რიცხვი, თვე სიტყვიერად

მე, _____
მოანდერძის სახელი, გვარი

მცხ. _____
მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ზუსტი მისამართი

ამ ანდერძით ვიძლევი შემდეგი სახის განკარგულებას:

1. ჩემი კუთვნილი ქონებიდან _____

კუანდერძებ _____
სახელი, გვარი

ქონების ჩამონათვალი

2. სხვა დანარჩენი ქონება, რომელიც ჩემი სიკვდილის მომენტი-
სათვის აღმოჩნდება ჩემს საკუთრებაში, რა სახითაც არ უნდა
იყოს იგი, მე კუანდერძებ:

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-1356-ე მუხლების
შინაარსი ნოტარიუსის მიერ განემარტა.

4. ეს ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად,
რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო მეორე —
გადაეცა მოანდერძეს. _____

სახელი, გვარი

_____ (მოანდერძის ხელის მოწერა)
19 ____ წელი „ ____ „ _____ ეს ანდერძი დავადასტურე
მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები

ანდერძი ხელმოწერილია _____ მიერ
სახელი, გვარი

ჩემი თანდასწრებით, მისი პირადობა დადგენილია, ქმედუნარობა
შემოწმებულია.

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

ანდერკისმიერი მემკვიდრე(ო)ბის უფლების მოწმობა
ქალაქი (დაბა, სოფელი) _____
წელი. რიცხვი. თვე სიტყვიერად

მე, ნოტარიუსი _____
ინიციალები და გვარი

ვადასტურებ, რომ 19 — წლის „ — „ —

გარდაიცვალა მოქ. _____
სამკვიდროს დამტოვებლის სახელი, გვარი,

ანდერკის საფუძველზე, რომელიც დამოწმებულია 19 — წლის
„ — „ —

_____ ის მურ რეესტრში
ნოტარიუსის ინიციალები და გვარი, რომელმაც დააწმინდა ანდერკი

რეგისტრირებულია № _____ -ით, მის მემკვიდრეებად ანდერკში
მითითებულ ქონებაზე ცნობილი არიან: _____
მემკვიდრეთა სახელები, გვარები

საცხოვრებელი ადგილები

სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაცემულია ეს მოწმობა,
წარმოადგენს:

აღინიშნოს ქონება, რომელზედაც გაიცემა მოწმობა

სამემკვიდრო საქმის № _____

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

სამემკვიდრეო საქმის № _____

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

მინდობილობა

ქალაქი _____ 19 ____ წლის „ ____ „ _____
მე, ქვემოთ ხელისმომწერი, _____
სახელი, გვარი

მცხ. _____ ამ მინდობილობით სრულ
უფლებას ვაძლევ _____
სახელი, მამის სახელი, გვარი

მცხ. _____ მართოს და განაგოს
მთელი ჩემი ქონება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც არ
უნდა შეღებოდეს იგი; ამის შესაბამისად, დადოს კანონით ნებადართ-
ული ყოველგვარი გარიგება ქონების მართვასთან დაკავშირებით, კერ-
ძოდ: შეისყიდოს, გაასხვისოს, გაჩუქოს, მიიღოს საჩუქრად, გაცვა-
ლოს, დააგირაოს და მიიღოს გირაოდ შენობა თუ სხვა ქონება; ყველა
ამ შემთხვევაში, განსაზღვროს თანხა. ვადა და სხვა პირობები; თავისი
შეზღუდულებისამებრ აწარმოოს ყველა გარიგების გაანგარიშება, განა-
გოს საბანკო ანგარიშები, მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი განაცხადოს
მასზე, მიიღოს ჩემი კუთვნილი ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები,
აგრეთვე დოკუმენტები ყველა პირისაგან, დაწესებულებებისაგან, საწარ-
მოსაგან, ორგანიზაციისაგან, მათ შორის სახელმწიფო და სხვა ბანკე-
ბიდან, შეზნახველი საღაროდან, ფოსტა-ტელეგრაფიდან ყველა საფუძ-
ვლით; მიიღოს საფოსტო, სატელეგრაფო, ფასიანი და სხვა ყოველგ-
ვარი კორესპონდენცია და ამანათები, აწარმოოს ჩემი სახელით საქმე-
ბი ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, კოოპერაციულ და საზოგა-
დოებრივ ორგანიზაციაში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები
ყველა სასამართლო დაწესებულებაში იმ უფლებით, რაც კანონით
მინიჭებული აქვს მოსარჩლეს, მოპასუხეს, მესამე პირსა და დაზ-

არაღუბულს. მათ შორის უფლებით, სამივე ძორიგებით დაამთავროს, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები ქონებისა და ფულის მიღებაზე, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება და ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად.

ამ მინდობილობით

სახელი, გვარი

უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ რწმუნება გადასცეს სხვა პირებს თავისი შეხედულებისამებრ _____

მინდობილობა გაცემულია _____ ვადით და ძალაშია
ვალა მოუთითოს სიტყვიერად

19 ____ წ. „ ____ „ _____ ჩათვლით
_____ (ხელმოწერა)
მოქალაქის ხელმოწერა

19 ____ წ. „ ____ „ _____ ეს მინდობილობა დავაძოწქე

მე, ნოტარიუსმა _____
ინიციალები, გვარი

მინდობილობა ხელმოწერილია

მოქ. _____

სახელი, გვარი

მიერ საკუთარი ხელით ჩემი თანდასწრებით.

მარწმუნებლის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია

რეესტრში სარეგისტრაციო № _____

გადახდილია საზღაური № _____

მეორე ეგზემპლარი

ნოტარიუსი _____ (ხელმოწერა)

სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობა _____

შინაარსი

შესავალი	3
თავი პირველი	
მემკვიდრეობის ცნება და მისი განვითარების ისტორია	6
თავი მეორე	
მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ცნებები	21
§ 1. მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტები	21
§ 2. მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი	29
§ 3. სამკვიდროს გახსნა	62
თავი მესამე	
მემკვიდრეობა კანონით	73
თავი მეოთხე	
მემკვიდრეობა ანდერძით	85
§ 1. ანდერძის ფორმა	107
§ 2. საკვალდებულო წილი	123
§ 3. საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)	132
§ 4. ანდერძის მოშლა, შეცვლა და ბათილად ცნობა	140
§ 5. ანდერძის აღსრულება	149
თავი მეხუთე	
სამკვიდროს მიღება და მისი გაფორმება.	
§ 1. სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე	152
§ 2. სამკვიდროს გაყოფა	165
§ 3. სამკვიდროს დაცვა	174
§ 4. სამკვიდრო მოწმობა	177
თავი მეექვსე	
§ 1. სამემკვიდრო ურთიერთობები საერთაშორისო კერძო სამართალში	182
§ 2. მემკვიდრეობა ანდერძით	184
§ 3. მემკვიდრეობა კანონით	197
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	202
ამოცანები	219
დანართი	247
შინაარსი	279

ЧИКВАШИВИЛИ ШАЛВА ДАНИЕЛОВИЧ

НАСЛЕДСТВЕННОЕ ПРАВО

(на грузинском языке)

Издательство "Меридиани"

Тбилиси

2000

რედაქტორები: ნათელა ჩიკვაშვილი

მანანა ჩიკვილაძე

ტექ. რედაქტორი: ინგა ნაუროზაშვილი

კორექტორი: მარინე კილაძე

ხელმოწერილია დასაბუჯდად 24.11.2000

სააღ.-საგამომც. თაბახი 16,45

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17,5

ოფსეტური ქაღალდი №1, 60X84, $\frac{1}{16}$

შეკვეთა № 102. ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი, აკ. წერეთლის 112.